პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible] ბიბლიოთეკა

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მესამე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 1% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- სისხლისმღვრელი შეტაკება უმუშევრებსა და პოლიციას შორის პოლონეთში
- ბენგალიის პროვინციაში (ინდოეთი) აჯანყებულები თავს დაესხა არსენალს
- უკრაინის უზენაეს სასამართლოს განაჩენი უკრაინელ კონტრ-რევოლიუციონერთა შესახებ

ორშაბათი, 21 აპრილი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 91 (2739)

კადრების საკითხი ჩვენი უდიდესი ამოცანაა

სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა არის ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის მაღალი ტემპების გეგმა. ბრძოლა ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის მჭიდროთაა დაკავშირებული სოციალისტური მეურნეობის მშენებელ კადრების საკითხთან. კადრების საკითხი რეკონსტრუქტიული პერიოდის ყველაზე „ვიწრო" ადგილია და ამიტომ ის ამ პერიოდის მწვავე და ურთულესი პრობლემაა. სწორედ ამით აიხსნება, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცკას ივლისის პლენუმმა (1928 წ.) ახალი სპეციალისტების მომზადება მთელი პარტიის უმნიშვნელოვანეს საკითხად აღიარა და კადრების შექმნა გამოაცხადა სოციალისტური მშენებლობის დამკვრელ ამოცანად. ცკას ნოემბრის პლენუმმა, რომელმაც შეამოწმა ივლისის პლენუმის დირექტივის შესრულება კადრების მომზადების დარგში, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ივლისის პლენუმის შემდეგ ჩვენი მეურნეობისთვის საჭირო კადრების მომზადებას მეტად მცირე ყურადღება ექცეოდა, კადრების პრობლემა არ გამხდარა პარტიის პირველხარისხოვან ამოცანად და ამ დარგში გამეფებულია უგეგმობა და მუშაობის წარმოუდგენლად ნელი ტემპი.

ნოემბრის პლენუმის შემდეგ ფართოდ გაშლილმა საკოლმეურნეო მშენებლობამ კიდევ უფრო გაართულა კადრების საკითხი, რადგან სწორედ საკოლმეურნეო მოძრაობამ ცხადყო, რომ ჩვენ არ გვყავს როგორც მრეწველობისთვის, ისე სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის სპეციალისტთა საჭირო რაოდენობა. ამიტომ, ეხლა, ჩვენ სპეციალისტების **დეფიციტს** განვიცდით სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში. არსებულ სპეციალისტთა მასა ვერ აკმაყოფილებს ხუთწლიანი გეგმის მოთხოვნილებას ვერც რაოდენობის და, ვერც ხარისხის მიხედვით. კადრების პრობლემის განსაკუთრებული სიმწვავე ამ უკანასკნელ დროს ცხადყო აგრეთვე შახტის და სხვა ასეთივე ხასიათის ამბებმა.

ყოველივე ამის გამო კადრების შექმნა პარტიისა და ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანად იქცა და ამ საკითხის გადაჭრისაკენ უნდა იქნეს მიმართული მთელი ჩვენი ძალები, ჩვენი ყოველგვარი საშუალებანი. ამ თვალსაზრისით, ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციას „სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადების შესახებ", უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობა საჭირო კადრების განსაკუთრებულ დეფიციტს განიცდის და პროლეტარული კადრების მომზადებას დღემდე ჩვენში უმნიშვნელო ყურადღება ექცეოდა. საქ. კ. პ. (ბ) ცკას დადგენილებამ ბოლო უნდა მოუღოს ამ მდგომარეობას და გამოასწოროს სოციალისტური მშენებლობის ეს ძალზე ჩამორჩენილი ფრონტი; ამიტომ, ყოველგვარი უყურადღებობა კადრების მომზადების დარგში არსებითად ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისთვის ხელის შეშლას, ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებას ნიშნავს. ამიტომ არის ნათქვამი საქ. ცკას დადგენილებაში, რომ ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტიის ცალკე წევრებმა „გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ კადრების მომზადების მნიშვნელობის სათანადოთ შეუფასებლობასთან, როგორც მემარჯვენე გადახრის პრაქტიკულ გამოხატულებასთან".

დადგენილება ძირითად ამოცანად სახავს საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის ინჟინერების, აგრონომების, ეკონომისტების, საშუალო ტეხნიკური პერსონალის და სხვ. იმ რაოდენობით მომზადებას, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, რადგან საჭირო სპეციალისტთა გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობის მომზადების გარეშე არ შეიძლება გადაიჭრას საქართველოს, როგორც ტეხნიკურად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნის, ინდუსტრიალიზაციის პრობლემა.

ცკას დადგენილება ყურადღებას აპყრობს სპეციალისტთა რიცხვობრივ გადიდებას და მათი მომზადების ხარისხს. ამისთვის საჭიროა, ნათქვამია დადგენილებაში, ერთსა და იმავე კურსზე მეორეჯერ დარჩენის წესის მოსპობა, სპეციალისტების დანიშნულ ვადაზე გამოშვების უზრუნველყოფა, სადაც კი ეს მოსახერხებელია სწავლების ვადის შემცირება სამ წლამდე, სამოსწავლო გეგმების საფუძვლიანი გადასინჯვა მათი ზედმეტი საგნებისგან განტვირთვის და სპეციალიზაციის თვალსაზრისით, მოსწავლეთა მეტი რაოდენობის მიღება (სამოსწავლო წელში ორჯელ მიღების დაწესება), სწავლების სისტემის გაუმჯობესება საწარმოო პრაქტიკის გაძლიერებით, მოსწავლეთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება, სასწავლებელთა არსებული ქსელის რეორგანიზაცია (ცალკე ფაკულტეტის ინსტიტუტებათ გადაქცევით, დარგების გამრავლებით) და სხვ.

საქ. კომპარტიის (ბ) ცკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროლეტარულ ელემენტების ბირთვის ზრდას როგორც უმაღლეს სასწავლებლების, ისე ტეხნიკუმების მოსწავლეთა შორის; რადგან კადრების პრობლემა, უმთავრესად და უპირველესად ყოვლისა პროლეტარულ სახელმწიფოსთვის საიმედო კადრების, წითელი სპეციალისტების პრობლემაა, „აღინიშნოს — ნათქვამია დადგენილებაში — მუშათა ბირთვის ერთგვარი გადიდება 1929 — 30 წლის მიღებულთა შორის; მუშათა და მუშების შვილების რაოდენობა სახელმწ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში 1930 — 31 წლის მისაღებთა შორის აყვანილ იქნეს 70 პროც.-მდე მაინც; სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტში მუშების, მოჯამაგირეების, ღარიბ გლეხების, კოლმეურნეების და ამ კატეგორიის მუშათა შვილების პროცენტი აყვანილ იქნეს 75 პროც.-მდე მაინც; ხოლო პროლეტარული ნაწილი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უმაღლეს ტეხნიკურ სამხატვრო ინსტიტუტში გადიდებული იქნეს 70 პროც.-მდე მაინც, ამავე დროს **გაძლიერებულ იქნას უმაღლეს სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების გაწმენდა მტრულად განწყობილ ელემენტებისაგან** — მოსწავლეთა შემადგენლობის შესწავლისა და შემოწმების წესით".

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში და ტეხნიკუმებში ამგვარად გაბატონებული მდგომარეობა უნდა დაიკავონ პროლეტარულმა ელემენტებმა: მუშებმა, მუშის შვილებმა, ღარიბ გლეხებმა, მოჯამაგირეებმა. ასეთი სოციალური შემადგენლობის მოსწავლეთა უდიდესი რაოდენობა აშკარაა ვერ შესძლებს სათანადო ცოდნის მიღებას თუ ისინი არ იქნენ უზრუნველყოფილნი მატერიალურად, თუ მათთვის არ შეიქმნა სპეციალური განათლების მიღებისთვის აუცილებელი პირობები. საქ. კ. პ. (ბ) ცკას დადგენილება ითვალისწინებს ამ გარემოებას და ამიტომ მოითხოვს, რათა სტუდენტების უკიდურესად არადამაკმაყოფილებელი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროთ იქნეს ცნობილი 1930 — 31 წ. უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელთა და უმაღლეს სასოფ. - სამ. სასწავლებელთა სტუდენტების 70 პროც.-ის და ტეხნიკუმების მოწაფეთა 50 პროც. უზრუნველყოფა სახელმწიფო და სამეურნეო სტიპენდიებით; ამავე რიცხვში უზრუნველყოფილ იქნეს კონტრაქტაციის წესით სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტების 25 პროც., სასოფლო - სამ. ინსტიტუტის სტუდენტების 15 პროც., ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის მოწაფეების 15 პროც. და სასოფ. - სამ. ტეხნიკუმების მოწაფეთა 10 პროც.".

მაგრამ არ კმარა კადრების მომზადების თვალსაზრისით პროლეტარულ სტუდენტების მარტო მატერიალური უზრუნველყოფა, არამედ არა ნაკლებ საჭიროა სწავლის საქმის რაციონალიზაცია და სტუდენტის სამოსწავლო წლის მაქსიმალური დატვირთვა. თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ვადის შემცირება ერთი წლით მოითხოვს მოსწავლისათვის ისეთი პირობების შექმნას, რომ შესაძლებელი გახდეს სწავლების მხრივ მეტი რეალური შედეგების მიღწევა, თეორიული სწავლების მიზანშეწონილი შეხამება **საწარმოო პრაქტიკასთან.** ცკას დადგენილება მოითხოვს, რათა საწარმოო პრაქტიკამ რაც შეიძლება მეტი დრო დაიკაოს ყველა სპეციალურ სასწავლებელთა სამოსწავლო გეგმაში და მომავალ წლიდანვე უმთავრესი უმაღლესი სასწავლებლების (სახ. პოლიტეხნ. ინსტ.; სასოფ. - სამ. ინსტ.; უმაღლესი სამხატვრო ტეხნ.; ინსტ.; სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი; ინდუსტრიალური და სასოფლო - სამეურნეო ტეხნიკუმების) მოსწავლენი „გადაყვანილ იქნან **განუწყვეტელ საწარმოო პრაქტიკაზე**, გადიდებულ იქნეს საწარმოო პრაქტიკის ვადები საწარმოო სწავლების დროის რაოდენობის აყვანით 40—50 პროც.-მდე; შემოღებულ იქნეს თეორიული სწავლების და საწარმოო პრაქტიკის რიგრიგობით წარმოება (მაგ. 1 თვე — სწავლება, 1 თვე პრაქტიკა; 3 თვე — სწავლება, 3 თვე პრაქტიკა და სხვ.)".

მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა სწავლების განუწყვეტელ ნაწილს შეადგენს სპეციალურ სასწავლებლებში, საწარმოო პრაქტიკის მოგვარებასთან ერთად აუცილებელია უმაღლეს სასწავლებელთა და ტეხნიკუმების უზრუნველყოფა ლაბორატორიებით, კაბინეტებით, შენობებით და სხვა. საქ. კ. პ. (ბ) ცკას დადგენილება საჭიროდ სცნობს სპეციალურ თანხების გამოთხოვას უმაღლეს სასწავლებელთა შენობების გასაფართოებლად და ახლების ასაგებად; საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის მთელ პასუხისმგებლობას დადგენილება აკისრებს სამეურნეო ორგანიზაციებს (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მიწსახკომი, კოლმეურნეობათა ცენტრი და სხვ.) და ამასთანავე ერთად საჭიროდ სცნობს ამ ორგანიზაციების სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტების და ლაბორატორიების გამოყენებას უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების სასწავლო მუშაობისათვის.

კადრების მომზადება სხვაგვარად აყენებს საკითხს უმაღლეს სასწავლებელთა მმართველობის და სტუდენტთა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. არჩევითი გამგეობების ძველი წესი ამიერიდან იცვლება უმაღლეს სასწავლებლებში ერთმმართველობით, (დანიშნულ რექტორებით, დეკანებით და სხვ.), რომელნიც პასუხისმგებელნი არიან სასწავლებლის მთელი მუშაობისათვის კადრების მომზადების დასახული გეგმის შესრულებისათვის. ამის და მიხედვით უნდა მოხდეს სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნაც. სტუდენტთა ორგანიზაციებს უნდა ჩამოშორდეს ადმინისტრატიული ფუნქციები და გადაჭრით აღიკვეთოს სტუდენტთა ჩარევა ადმინისტრაციის ყოველდღიურ საქმიანობაში. სტუდენტთა პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები უმთავრესად უნდა ხელმძღვანელობდენ უმაღლეს სასწავლებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას; აფართოებდენ სტუდენტთა მასაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობას და სოციალისტური შეჯიბრების გაშლით და აკადემიური დისციპლინის განმტკიცებით ხელს უწყობდენ კადრების გამოშვების დაჩქარებას, წითელი სპეციალისტების მასიურ მომზადებას.

ჩვენ უნდა მოვახდინოთ მთელი ჩვენი ძალებისა და რესურსების მობილიზაცია ზემოხსენებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად და იმ უდიდესი ამოცანის გადასაჭრელად, რომელსაც გვიყენებს კადრების პრობლემა.

სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებში

სასოფლო - სამეურნეო შრომის ნაყოფიერების საკითხი საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შრომის ორგანიზაციას კოლმეურნეობებში უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ შრომის უკეთესი ორგანიზაცია, მტკიცე საწარმოო დისციპლინასთან ერთად კოლმეურნეობებში, არის შრომის ნაყოფიერების აწევის, მოსავლიანობის გადიდების და, მაშასადამე, საკოლმეურნეო წარმოების საქონლიანობის გადიდების გზა.

ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი წინადადებას აძლევდა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს — „მიაღწიონ გადამჭრელ გარდატეხას კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის ასაწევად კოლმეურნეობათა წევრების თავიანთ მოვალეობისადმი ნამდვილად შეგნებული დამოკიდებულების საფუძველზე". ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სახავდა ამ ამოცანის განხორციელების მეთოდებს, კერძოდ აღნიშნავდა იმას, რომ კოლმეურნეობებში საჭიროა გადატანილ იქნას კომუნისტური შრომის ის მეთოდები, რომლებიც შემუშავებულია მუშათა კლასის შემოქმედებითი ინიციატივით: „კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ასაწევად, — ნათქვამია პლენუმის გადაწყვეტილებებში, — ყოველმხრივ გამოყენებულ უნდა იქნას სოციალისტური შეჯიბრების მეთოდები, საწარმოო თათბირების მუშაობის განვითარება და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა".

მას შემდეგ, რაც პარტიამ გამოაქვეყნა ეს მოწოდება სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ კოლმეურნეობებში, რამდენიმე თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში უკვე დაგროვდა ერთგვარი გამოცდილება სოციალისტური შეჯიბრებისა კოლმეურნეობებში. შეჯიბრების მოწყობა, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ძნელი საქმეა კოლმეურნეობებში, ვიდრე ქარხნებსა და ფაბრიკებში. კულაკობა სარგებლობს საშუალო გლეხებისა და ქალების ჩამორჩენილი მესაკუთრული განწყობილებებით, ყველგან ეწევა აგიტაციას შეჯიბრების წინააღმდეგ და სცდილობს კოლმეურნეობებში შრომისადმი სოციალისტურ დამოკიდებულებას დაუპირისპიროს თავკერძო და მტაცებლური დამოკიდებულება. კოლმეურნეობათა უმრავლესობაში, რომელნიც მხოლოდ პირველ საკოლმეურნეო კამპანიას ატარებენ, ნამდვილი კოლექტივისტური შრომა ჯერ კიდევ ნაკლებად არის განმტკიცებული. ამით უფრო დიდი ყურადღება, ენერგია და სიფრთხილეა საჭირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის დროს კოლმეურნეობებში. აქა-იქ შეჯიბრების გაშლას ბიუროკრატიულად მოუდგენ და მასების ნამდვილ შეჯიბრებას სცვლიდნენ კრებებზე ლაყბობით და ზეიმო რეზოლიუციებით, რაც, რა თქმა უნდა, არავითარ პრაქტიკულ შედეგებს არ იძლეოდა.

მაგრამ მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა შესძლეს გადაექციათ შეჯიბრება ნაყოფიერი შრომის ნამდვილ იარაღად. იმ კოლმეურნეობებში, სადაც მოაგვარეს სწორი ხელმძღვანელობა შეჯიბრების მიმდინარეობის მიმართ, სადაც შეჯიბრებას სათავეში ედგა ღარიბი გლეხობა პარტიული უჯრედებისა და „25.000„-ის ანგარიშში, გაწვეული მუშების ხელმძღვანელობით, სადაც შესძლეს შეემუშავებიათ შეჯიბრების უმარტივესი ობიექტები და ფართოდ განეხილათ ისინი კოლმეურნეთა მთელ მასაში, — იქ სოციალისტური შეჯიბრება საუცხოვო შედეგებს იძლეოდა, ადიდებდა ნათესის ფართობს, აუმჯობესებდა მიწის დამუშავების ხარისხს და ადიდებდა ყოველ კოლმეურნეს გამომუშავებას წევის ძალის ყოველ ერთეულზე. სალსკის ოლქში (ჩრდილოეთი კავკასია) 18 კოლმეურნეობამ თესვის პირველ ხუთ დღეს დანარჩენ კოლმეურნეობებთან მუშაობის თანასწორ ტეხნიკურ პირობებში გეგმა შეასრულა 65 პროცენტით, მაშინ, როდესაც საშუალო შესრულება ოლქში 44 პროცენტს უდრიდა. კოლმეურნეობებმა „კრასნი ოქტიაბრ"-მა, „ნოვაია ნივა"-მ და „პუტ ილიჩა"-მ იმავე ვადაში თესვის გეგმა 85 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს.

სოციალისტური შეჯიბრება სოფლად დღემდე წარმატებით ვითარდებოდა თითქმის მხოლოდ კოლმეურნეობის შიგნით. შეჯიბრების მაჩვენებელია კონკრეტულობა და თვალსაჩინობა, შეჯიბრებაში ჩაბმულთა მახლობლობა და ნარდად შრომის ხელსაყრელობის აუცილებლობა, — ყოველივე ეს პირველ რიგში აყენებდა სწორედ შინასაკოლმეურნეო შეჯიბრებას.

მაგრამ პირველმა წარმატებებმა კოლმეურნეობებს შიგნით გამოიწვიეს შეჯიბრების ასპარეზის გაფართოება. სიზრანის ოლქში გაიმართა შეჯიბრება კოლმეურნეებსა და ინდივიდუალურ მეურნეებს შორის ნათესი ფართობის გადიდებაზე და ამ შეჯიბრებაში კოლმეურნეთა გამარჯვება იქნება საუკეთესო პრაქტიკული მაჩვენებელი საკოლმეურნეო შრომის უპირატესობისა ინდივიდუალურთან შედარებით.

თესვის კამპანიის მიმდინარეობაში ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა საინიციატივო ჯგუფები უფრო და უფრო ხშირად აბამდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მახლობელ კოლმეურნეობათა წევრებს.

ამჟამად სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებში კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე გადადის. კოლმეურნეობამ „ლენინსკი პუტ"-მა ხოპიორის მთლიანი კოლექტივიზაციის ოლქიდან გამოიძახა და შეჯიბრებაში გამოიწვია საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნეობები.

ეს გაბედული ნაბიჯი „ლენინსკი პუტ"-მა გადადგა მას შემდეგ, რაც მან წარმატებით განავითარა სოციალისტური შეჯიბრება თავის კოლმეურნეობის შიგნით ცალკე ეკონომიებსა და მახლობელ კოლმეურნეობებს შორის. „ლენინსკი პუტ"-მა გადალახა მთელი რიგი სიძნელენი და გამოასწორა გადახვევები, იგი მტკიცედ მიიწევს ნათესი ფართობის გაფართოებისაკენ, ხოლო ზოგიერთმა მისმა ეკონომიამ გეგმა უკვე გადაჭარბებით შეასრულა და თესვა ვადაზე ადრე დაამთავრა.

„ლენინსკი პუტ"-ის წარმატებები აიხსნება სწორი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობით, ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა კარგი ორგანიზაციით, საშუალო გლეხის ჩაბმით და კოლმეურნეობის აქტიურ მუშაობაში, კულაკის იზოლიაციით და სოციალისტური შეჯიბრების მეთოდით თესვის მომზადებისა და გატარების დროს. ცნობებს თავის სიძნელეთა და მიღწევათა შესახებ „ლენინსკი პუტ"-ი უზიარებს ყველა კოლმეურნეებს იმ წერილში, რომელიც „პრავდა"-ს დღევანდელ ნომერში იბეჭდება.

ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობის გზა და მისი მოწოდება — განმტკიცებულ იქნან კოლმეურნეობები მათში სოციალისტური შეჯიბრების გაშლით, უნდა გაიცნოს ყოველმა კოლმეურნემ.

სოციალისტური შეჯიბრება იქცევა საკოლმეურნეო შრომის მასიურ ფორმად. სოციალისტური შეჯიბრების საშუალებით ჩვენ მივაღწევთ კოლმეურნეობათა განმტკიცებას, მათ მიერ ბოლშევიკური თესვის გეგმების წარმატებით შესრულებას, მთლიანი კოლექტივიზაციის შემდგომ განვითარებას და კულაკობის ლიკვიდაციას.

„პრავდა", 20 აპრილი.

ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმების ტექსტი

დროებითი სავაჭრო შეთანხმება ს. ს. რ. კავ. მთავრობასა და შეერთებული სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობის შორის

მოსკოვი, 20 აპრილი. ს. ს. რ. კ. მთავრობა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობა, რომელთაც სურვილი აქვთ, რაც შეიძლება მალე დასდონ ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ ფორმალური ხელშეკრულება ს. ს. რ. კავშირსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებულ სამეფოს შორის, თანხმდებიან ჯერ-ჯერობით ქვემოთმოყვანილ დროებით შეთანხმებაზე, რომელიც ფორმალურ ხელშეკრულების დადებამდე გასწევს მოდუს ვივენდის მაგიერობას.

მუხლი 1-ლი

იმ მიზნით, რომ ს. ს. რ. კავშირსა და დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებულ სამეფოს შორის განვითარდეს და განმტკიცდეს სავაჭრო ურთიერთობა, მხარეები სთანხმდებიან, რომ, რომელიმე ქვემომოყვანილი დადგენილების დაუზიანებლად, ყველა ის შეღავათები, უფლებები და უპირატესობანი, რომლებიც ვაჭრობის დარგში საბჭოთა კავშირში და შეერთებულ სამეფოში შესაბამად მინიჭებული აქვთ ან შეიძლება შემდეგში მიენიჭოთ რომელიმე სხვა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომებს და მოქალაქეებს ამ იმ იურიდიულ პირებს, კომპანიების ჩართვით, რომლებიც დაარსებულნი არიან ამ სახელმწიფოს კანონებით, ან ამ ქვეშევრდომებისა, მოქალაქეებისა ან იურიდიული პირების კამპანიების ჩართვით, ქონებას ერთნაირად უნდა გავრცელდეს ბრიტანეთის მოქალაქეებზე და იმ პირებზე, რომლებიც ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებიან ან შეერთებული სამეფოს იურიდიულ პირებზე, კამპანიების ჩართვით, და ს. ს. რ. კავშირის მოქალაქეებზე ან იურიდიულ პირებზე, კამპანიების ჩართვით, და მათ ქონებაზე. დიდი ბრიტანეთის ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმოებს ს. ს. რ. კავშირში, ხოლო ს. ს. რ. კავშირის ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმოებს შეერთებულ სამეფოში უნდა მიეცეს ყველა ის შეღავათები, უფლებები და უპირატესობანი, რომლებიც მინიჭებული აქვს ან მომავალში შეიძლება მიენიჭოს რომელიმე მესამე უცხო სახელმწიფოს ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმოებს ყოველივე იმაში, რაც შეეხება შეტანისა და გამოტანის აკრძალვას ან შეზღუდვას საბაჟო გადასახადებს, გამოსაღებს ტრანსპორტზე, საქონლის შენახვას, საწყობებს, გამოსაღებების დაბრუნებას და აქციზს.

ამ შეთანხმებაში არაფერი არ გავრცელდება:

ა) ვაჭრობის შესახებ სპეციალურ დადგენილებებზე, რომლებიც შეტანილი არიან კავშირის მიერ დადებულ ან მომავალში დასადებ ხელშეკრულებებში იმ სახელმწიფოებთან, რომელთა მთელი ტერიტორია 1914 წლის 1-ლ აგვისტომდე ყოველმხრივ რუსეთის ყოფილი იმპერიის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ან აზიის კონტინენტალურ მოსაზღვრე სახელმწიფოებთან;

ბ) იმ უფლებებზე, რომლებიც მინიჭებული აქვს ან შეიძლება მიენიჭოს ს. ს. რ. კავშირის საბაჟო კავშირში შემავალ რომელიმე მესამე ქვეყანას:

გ) იმ უპირატესობებზე, რომლებიც კავშირმა მისცა ან შეიძლება მისცეს მოსაზღვრე სახელმწიფოებს მოსაზღვრე ზონების მცხოვრებთა შორის საქონლის ადგილობრივი გაცვლა-გამოცვლის საქმეში.

შენიშვნა: გამოთქმა—„ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფი პირები" ამ შეთანხმებაში გულისხმობს იმ პირებს, რომლებიც ეკუთვნიან მისი უდიდებულესობის პროტექტორატის ან სუვერენობის ქვეშ მყოფ ტერიტორიას ან რომელთა მიმართ მის უდიდებულესობას მანდატი აქვს მიღებული, მაგრამ, იგულისხმება, რომ პირველი მუხლის დადგენილებები არ ეხება ისეთ ტერიტორიაზე მყოფ პირებს, რომლებზედაც, თანხმად მე-5 მუხლის დადგენილებისა, ეს შეთანხმება არ ვრცელდება.

მუხლი მე-2

1. ვინაიდან ს. ს. რ. კავშირის კანონებით, საგარეო ვაჭრობა სახელმწიფოს მონოპოლიას შეადგენს, შეერთებული სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობა თანხმდება მისცეს უფლება ს. ს. რ. კავშირის მთავრობას, დაარსოს ლონდონში სავაჭრო დელეგაცია ს. ს. რ. კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის და მისი ორი მოადგილის შემადგენლობით, რომლებიც წარმოადგენენ ს. ს. რ. კავშირის საელჩოს ნაწილს.

2. სავაჭრო დელეგაციის მეთაური იქნება ს. ს. რ. კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი შეერთებულ სამეფოში. მას და მის ორ მოადგილეს, ამა მუხლის პირველი პუნქტის ძალით, მიენიჭება ყველა დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი; იმუნიტეტით ისარგებლებს ის სადგომიც, რომელშიაც მოთავსებული იქნება სავაჭრო დელეგაცია (ბუშჰაუს ოლდვიჩ-ლონდონის მეხუთე სართულის მარჯვენა ფრთა) და რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული მიზნისათვის. სავაჭრო დელეგაციის შტატიდან, სავაჭრო წარმომადგენლისა და მისი ორი მოადგილის გარდა, არავინ არ ისარგებლებს სხვა პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, გარდა იმ პრივილეგიებისა და იმუნიტეტის, რომლებიც შეერთებულ სამეფოში მინიჭებულია აქვთ ან შეიძლება მიენიჭოთ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფ სხვა ქვეყნების სავაჭრო ორგანიზაციებს.

3. სავაჭრო დელეგაციის ფუნქციას შეადგენს:

ა) ხელი შეუწყოს და წაახალისოს ვაჭრობის განვითარება ს. ს. რ. კავშირსა და შეერთებულ სამეფოს შორის;

ბ) წარმოადგინოს ს. ს. რ. კავშირის ინტერესები ყველაფერში, რაც კავშირის საგარეო ვაჭრობას შეეხება, გაუწიოს კონტროლი, გაუძღვეს და განახორციელოს ეს ვაჭრობა შეერთებულ სახელმწიფოსთან ს. ს. რ. კავშირისათვის და მისი სახელით.

4. რამდენადაც სავაჭრო დელეგაცია ვაჭრობის დარგში ს. ს. რ. კავშირის სახელით და მის სახარგებლოდ მოქმედებს, იმდენად, ამ უკანასკნელის მთავრობა იკისრებს პასუხისმგებლობას ყველა იმ გარიგებებისათვის, რომლებიც სავაჭრო წარმომადგენლის ან მისი სათანადო რწმუნებით აღჭურვილი სხვა პირების მიერ კანონიერად იქნებიან შესრულებული შეერთებულ სამეფოში. მაგრამ ს. ს. რ. კავშირის მთავრობა არ მიიღებს თავის თავზე არავითარ პასუხისმგებლობას იმ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების მოქმედებისათვის, რომლებიც, ს. ს. რ. კავშირის კანონებით, თითონ აგებენ პასუხს საკუთარი მოქმედებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა გარკვეულად აქვს ნაკისრი ს. ს. რ. კავშირის მთავრობისათვის და მისი სახელით მომქმედ სრულუფლებიან წარმომადგენელს.

5. სავაჭრო წარმომადგენლის და იმ პირთა გვარები, რომელთაც მისი მაგიერობის გაწევის რწმუნება ექნებათ, პერიოდულად გამოქვეყნდება ჟურნალ „ბოარდ ოფ ტრედ"-ში და, გარდა ამისა, სხვა გზითაც იქნება გამოცხადებული საზოგადოებისათვის გასაგები ფორმით. იმ პირთა უფლებამოსილობა—წარმოადგინონ სავაჭრო დელეგაცია გაგრძელდება იმ დრომდე, სანამ წინააღმდეგი ცნობა არ გამოქვეყნდება იმავე გზით.

6. ყოველი საკითხი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სავაჭრო დელეგაციის მიერ შეერთებულ სამეფოში დადებულ გარიგებათა მიმართ, გაირჩევა შეერთებული სამეფოს სასამართლოებში და ამ უკანასკნელის კანონების მიხედვით.

7. ს.ს.რ. კავშირის საკუთრების მიმართ შეერთებულ სამეფოში გამოყენებული იქნებიან ის ღონისძიებანი, რომლებიც შეიძლება კანონიერად იქნან გამოყენებული შეერთებული სამეფოს სასამართლოების დადგენილებების განსახორციელებლად, რამდენადაც ეს დადგენილებანი მიღებულია მეოთხე პუნქტში მოხსენებულ გარიგებებთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საკუთრება წარმოადგენს ისეთ ქონებას, რომელიც საერთაშორისო უფლებით თავისუფალია ამგვარი ღონისძიებებისაგან, როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის უფლების, ან ს.ს.რ. კავშირის დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლების ოფიციალური ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ქონება.

მუხლი მე-3

ბრიტანეთის გემები, მათი ტვირთები და მგზავრები და საბჭოთა კავშირის გემები მათი ტვირთები და მგზავრები საბჭოთა კავშირის და შეერთებულ სამეფოს ნავთსადგურებში და ტერიტორიალურ წყლებში თანაბრად ისარგებლებენ იმ უფლებებით, უპირატესობებით და შეღავათებით, რომლითაც ნაციონალური გემები, მათი ტვირთები და მგზავრები ან უპირატესი უფლების მქონე ერის გემები, მათი ტვირთები და მგზავრები სარგებლობენ ან შემდეგში შეუძლიათ ისარგებლონ.

ამ მუხლის დებულებანი არ ვრცელდება კაბოტაჟზე. შეთანხმების მონაწილე მხარეები ნაციონალური გემებისათვის იტოვებენ უფლებას საკაბოტაჟო ცურვისა იმ ნავთსადგურებს შორის, რომელნიც მდებარეობენ ერთსა და იმავე ნაპირზე. არა ერთ ნაპირზე მდებარე ნავთსადგურებს შორის კაბოტაჟის მიმართ ისინი კისრულობენ — შეუქმნან მეორე მხარის გემებს არა ნაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ის, რომლითაც სარგებლობენ რომელიმე სხვა უცხო სახელმწიფოს გემები.

ამ მუხლის დებულებები არ ვრცელდება:

ა) სპეციალურ კანონების გამოყენების დროს ეროვნული სავაჭრო ფლოტის დაცვისა აღდგენისა განვითარებისათვის;

ბ) იმ პრივილეგიებზე, რომლებიც ეძლევათ საზღვაო სასპორტო საზოგადოებებს;

გ) სანავთსადგურო სამსახურზე, როგორიც არის სალოცმანო საქმე, საბუქსირო საქმე, სიცოცხლის გადარჩენა და ზღვაზე დახმარების მიწოდება;

დ) სახელმწიფოს შინაურ წყლების ნაოსნობაზე, რომელიც საერთოდ დახურულია უცხოეთის გემებისათვის, თუნდაც ასეთი ნაოსნობა გახსნილი იყოს მოსაზღვრე სახელმწიფოთა გემებისათვის.

შენიშვნა პირველი: ამ შემთხვევაში არაფერი არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ იგი უფლებას აძლევდეს თვითეულ მხარის გემებს ითევზაონ მეორე მხარის ტერიტორიალურ წყლებში და გადმოტვირთონ დაჭერილი თევზი მეორე მხარის ნავთსადგურებში; სწორედ ასევე არაფერმა არ უნდა მისცეს ბრიტანეთის გემებს უფლება პრეტენზია იქონიონ რამე პრივილეგიებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მისცა ან შეიძლება მისცეს ყინულოვან ოკეანეზე მდებარე სახელმწიფოების სათევზაო ფლოტებს.

შენიშვნა მეორე: ვერაფერი ამ მუხლში ვერ დაარღვევს თვითეული მხარის უფლებას გამოიყენოს თავის ეროვნულ კანონმდებლობასთან შეფარდებით წესები იმიგრანტების, ემიგრანტების და სალოცავად მიმავალთა გადაყვან - გადმოყვანის საქმეში.

შენიშვნა მესამე: ამ მუხლის დებულებები არ ეხებიან ისეთ გემებს, რომელნიც ირიცხებიან მისი უდიდებულესობის თვითმმართველ დომინიონების ნავთსადგურებში, მათ ტვირთებზე და მგზავრებზე იმ დრომდე, სანამ ეს შეთანხმება მათზე არ გავრცელდება მე-4 მუხლში გათვალისწინებული წესით.

მუხლი მე-4

ამ შეთანხმების დადგენილებანი ურთიერთ შეთანხმებით ორივე მხარის მიერ მიღებული ყოველნაირი ცვლილებით შეიძლება გავრცელდეს მისი უდიდებულესობის ყოველ თვითმმართველ დომინიონზე (აგრეთვე ყოველ სამანდატო ტერიტორიაზე, რომელსაც განაგებს ასეთი დომინიონის მთავრობა), ან ინდოეთზე საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ყოველი ასეთი დომინიონის (ან ინდოეთის) მთავრობას შორის ნოტების გაცვლის საშუალებით.

მუხლი მე-5

ამ შეთანხმების დადგენილებანი ურთიერთ შეთანხმების პრინციპზე შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე მისი უდიდებულესობის თვითეულ კოლონიაზე, სამფლობელოზე ან პროტექტორატზე ან სამანდატო ტერიტორიაზე, რომელსაც განაგებს შეერთებულ სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობა, იმ შემთხვევაში, თუ მისი უდიდებულესობის ელჩი მოსკოვში ან, მის არყოფნის დროს, მისი უდიდებულესობის საქმეთა რწმუნებული ამის შესახებ მოახდენს ნოტიფიკაციას საბჭოთა კავშირის მთავრობასთან.

შეთანხმების მონაწილე მხარენი თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ მისი უდიდებულესობის ელჩი მოსკოვში (ან, მის არყოფნის დროს, მისი უდიდებულესობის საქმეთა რწმუნებული) მოახდენს ნოტიფიკაციას, რომელიც, ამ შეთანხმებას წინა პუნქტთან შეფარდებით, გაავრცელებს მისი უდიდებულესობის რომელიმე კოლონიაზე, სამფლობელოზე ან პროტექტორატზე ან სამანდატო ტერიტორიაზე, რომელსაც განაგებს შეერთებულ სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობა, — საბჭოთა კავშირის სავაჭრო ორგანიზაციებს უფლება ექნებათ გაგზავნონ სათანადო კოლონიაში, სამფლობელოში, პროტექტორატში ან სამანდატო ტერიტორიაში სათანადო მთავრობისათვის მისაღები აგენტები კომერციულ გარიგებათა განსახორციელებლად საბჭოთა კავშირსა და ასეთ კოლონიასა, სამფლობელოსა, პროტექტორატსა და სამანდატო ტერიტორიას შორის.

იგულისხმება, რომ ასეთი აგენტები ყველა შემთხვევებში დაემორჩილებიან ჩვეულებრივ კანონებს, რომლებიც ვრცელდებიან უცხოელებზე კოლონიაში, სამფლობელოში, პროტექტორატში ან სამანდატო ტერიტორიაში, სადაც ისინი ცხოვრობენ; აღნიშნული აგენტები არავითარი დიპლომატიური ან საკონსულო პრივილეგიებით ან იმუნიტეტით არ ისარგებლებენ.

მუხლი მე-6.

საბჭოთა კავშირის ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმოებს ენიჭება უპირატესობის ისეთივე რეჟიმი, როგორიც მინიჭებული აქვს ყოველი სხვა უცხო ქვეყნის ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმოებს; ასეთი ტერიტორიის ნიადაგისა და მრეწველობის ნაწარმოები საბჭოთა კავშირში აუცილებლად და სრულიად ისარგებლებს უპირატესი უფლების მქონე ნაციის რეჟიმით. ამავე დროს საბჭოთა კავშირის მთავრობა იტოვებს უფლებას— ყოველ დროს უარი განაცხადოს ამ მუხლზე, რომელიმე ცალკე დომინიონის ან ინდოეთის მიმართ.

მუხლი მე-7

ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან და ძალაში დარჩება იმ დრომდე, სანამ ძალაში შევა სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ სამეფოს შორის; ამავე დროს თვითეულ მხარეს უფლება ეძლევა ყოველ დროს აცნობოს მეორე მხარეს შეთანხმების შეწყვეტა და ამ შემთხვევაში შეთანხმება ძალაში რჩება 6 თვის განმავლობაში დღიდან ასეთი ცნობის გაგზავნისა.

რაც შეეხება მისი უდიდებულესობის თვითეულ ასეთ თვითმმართველ დომინიონს, ინდოეთს ან რომელიმე კოლონიას, სამფლობელოს, პროტექტორატს ან სამანდატო ტერიტორიას, რომელთა მიმართ, მე-4 მუხლის ძალით მოხდა ნოტების გაცვლა ან რომელთა მიმართ, ზემოდმოყვანილი მე-5 მუხლის ძალით, გაკეთებულ იქნა განცხადება ამ შეთანხმების შეფარდების შესახებ, — შეთანხმება შეიძლება შეწყვიტოს ცალკე თვითეულმა მხარემ 6 თვის დამლევისთვის, ან შემდეგ ყოველ დროს, რისთვისაც ამის შესახებ 6 თვით ადრე უნდა გააკეთოს განცხადება მისი უდიდებულესობის ელჩმა მოსკოვში, ან განცხადება უნდა გადაეცეს მას, ან და, ელჩის არ ყოფნის დროს, ეს განცხადება უნდა გააკეთოს მისი უდიდებულესობის საქმეთა რწმუნებულმა.

ყოველივე ამის დასადასტურებლად სათანადო რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს და თავიანთი ბეჭედი დაასვეს ამ ხელშეკრულებას.

დაწერილია ლონდონში ორ ეგზემპლიარად ინგლისურ ენაზე 1930 წლის აპრილის 16-ს.

შეთანხმება გადაითარგმნება რუსულ ენაზე რაც შეიძლება დაჩქარებით და შეთანხმებული იქნება მხარეებს შორის. ამის შემდეგ ორივე ტექსტი ცნობილი იქნება აუტენტიურად ყველა მიზნებისათვის. (ადს).

ოქმი

ამ შეთანხმების დადების დროს შეთანხმების მონაწილე მხარეები ხელმძღვანელობენ იმ სურვილით, რომ თავიანთ ეკონომიურ ურთიერთობაში მოსპონ დისკრიმინაციის ყოველი სახე. ისინი თანხმდებიან, რომ, რამდენადაც ეს თვითეულ მხარის მიერ მეორე მხარესთან ვაჭრობის გაგებას შეეხება, საქონლის ყიდვისა და გაყიდვის, ტონაჟის გამოყენების და ყველა ანალოგიურ საკითხებში ისინი იხელმძღვანელებენ მხოლოდ კომერციული და საფინანსო მოსაზრებებით და, ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობის დროს, არ მიიღებენ არავითარ ისეთ საკანონმდებლო ან ადმინისტრატიულ ღონისძიებას, რომელიც მეორე მხარის საქონელს ნაოსნობას, სავაჭრო ორგანიზაციებს და, საერთოდ, ვაჭრობას რაიმე მხრით ჩააყენებს უფრო ცუდ პირობებში, რომელიმე სხვა უცხო სახელმწიფოს საქონელთან, ნაოსნობასთან და სავაჭრო ორგანიზაციებთან შედარებით.

ზემოაღნიშნული პრინციპის მიხედვით, ვაჭრობა ს. ს. რ. კავშირსა და შეერთებულ სამეფოს შორის მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას, იმავე საფუძვლებზე, როგორც ვაჭრობა შეერთებულ სამეფოსა და სხვა უცხო სახელმწიფოებს შორის, რამდენადაც ეს დაკავშირებულია ყველა იმ საკანონმდებლო და ადმინისტრატიულ ღონისძიებებთან, რომლებიც მიღებულია ან შეიძლება მიღებულ იქნან შეერთებული სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობის მიერ კრედიტების მიცემის მიზნით ასეთი ვაჭრობის გასაადვილებლად. ამგვარად ყოველი გარიგების განხილვის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ საფინანსო და კომერციული მოსაზრებანი.

სოკოლნიკოვი.
ჰენდერსონი.

დამატებითი ოქმი.

მეორე მუხლის მეექვსე პუნქტი, ისე უნდა იქნას გაგებული, რომ სავაჭრო დელეგაციის მეთაურის და მისი ორი მოადგილის პრივილეგიები და იმუნიტეტი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმების მეორე მუხლის მეორე პუნქტით, არ იქნება გამოყენებული დიდი ბრიტანეთის სასამართლოებში, რომელიმე იმ სამოსამართლო საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც ს. ს. რ. კავშირის სავაჭრო დელეგაციის მიერ დიდ ბრიტანეთში დადებული კომერციული გარიგებებიდან გამომდინარეობენ.

სოკოლნიკოვი.
ჰენდერსონი.

ს. ს. რ. კავშირის ელჩის დეკლარაცია

ს. ს. რ. კავშირის მთავრობას და შეერთებული სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობის შორის სავაჭრო შეთანხმების ხელისმოწერის დროს ს. ს. რ. კავშირის მთავრობამ დამავალა გავაკეთო შემდეგი დეკლარაცია:

ს. ს. რ. კავშირის მთავრობა აცხადებს, რომ იგი ინარჩუნებს ს. ს. რ. კავშირის უფლებას ყოფილი რუსეთის ფლოტის ყველა სამხედრო და სავაჭრო გემების მიმართ, რომლებიც ან რუსეთის მთავრობის საკუთრებას შეადგენენ ან, საბჭოთა კანონებით, ექვემდებარებიან ნაციონალიზაციას და რომლებიც წაყვანილ იქნენ საზღვარგარეთ საბჭოთა მთავრობისაგან ფარულად და მისი თანხმობის გარეშე, ან სხვა რომელიმე გზით ხელი შეეშალა მათ ფაქტიურ გადასვლას საბჭოთა მთავრობის ორგანიზაციების ხელში.

სოკოლნიკოვი.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დეკლარაცია

მისი უდიდებულესობის მთავრობის მინდობილობით და სახელით ვაცხადებ, რომ დიდი ბრიტანეთის მისი უდიდებულესობის მთავრობისა და ს. ს. რ. კავშირის მთავრობას შორის დღეს ხელმოწერილი დროებით სავაჭრო შეთანხმების მე-4 და მე-6 მუხლების არც ერთი დებულება არ ვრცელდება ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოზე.

ჰენდერსონი.

ტექსტი ნოტისა, რომელიც ჰენდერსონმა გადასცა სოკოლნიკოვს სავაჭრო შეთანხმების ხელისმოწერის დროს

ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოს მთავრობის დავალებით, პატივი მაქვს ვაუწყო თქვენ აღმატებულებას რომ ირლანდიის მთავრობა თავის მხრით მზად არის გაცვალოს ს. ს. რ. კავშირის მთავრობასთან ნოტები, რომლებიც უპირატესი ხელისშემწყობის ბაზაზე დააწესებენ მოდუს ვივენდის იმ დრომდე, სანამ ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოსა და ს. ს. რ. კავშირს შორის დაიდებოდეს სავაჭრო ხელშეკრულება.

ჰენდერსონი.

ინგლის-საბჭოთა სავაჭრო შეთანხმების შემდეგ

ინგლისთან დადებული სავაჭრო შეთანხმების მნიშვნელობა

მოსკოვი, 20 აპრილი. მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ინგლისში ამხ. ბრონი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ბრონმა შემდეგნაირად დაახასიათა ინგლისთან დადებული დროებითი სავაჭრო შეთანხმების მნიშვნელობა.

„საბჭოთა კავშირის დროებითი სავაჭრო შეთანხმება ინგლისთან ჰქმნის ნორმალურ უფლებრივ პირობებს საქმიანი ურთიერთობის განვითარებისათვის ორივე ქვეყნის შორის. ინგლისის ხელმძღვანელ საქმიან და სამრეწველო წრეებს შეგნებული აქვთ საბჭოთა ბაზრის დიდი მნიშვნელობა ინგლისის მრეწველობისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით. ამ შეგნების საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს შეთანხმება ჩემსა, როგორც საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელსა, და საიმპერიო ქიმიური ტრესტის (ეგრედწოდებული მონდის კონცერნის) პრეზიდენტს შორის, დადებული 11 აპრილს ლონდონში. ეს შეთანხმება დაიდო ორი წლის ვადით და საბჭოთა კავშირისათვის კრედიტის საფუძველზე 30 მილიონი მანეთის გამანოყიერებელი ნივთიერების, საღებავების, ნახევარფაბრიკატებისა და ლითონების მიწოდებას. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს აგრეთვე იმას, რომ ჩვენს ქიმიურ მრეწველობას და წარმოების მთელ ნომენკლატურას ტეხნიკური დახმარება უნდა გაუწიოს ამ ქიმიურმა კონცერნმა, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი ქიმიური გაერთიანებაა მთელ მსოფლიოში. ჩვენი მრეწველობა გულდასმით უნდა გაეცნოს ინგლისის მრეწველობას, დაამყაროს მასთან უშუალო საქმიანი კონტაქტი და გააფართოვოს ურთიერთობა ინგლისთან, რათა ინგლისის მრეწველობამ და ინგლისის ტეხნიკამ შესძლოს დაიკავოს ჩვენს მშენებლობაში მათი ხვედრითი წონისა და მნიშვნელობის შესაფერი ადგილი. (ადს).

უზენაეს სასამართლოს განაჩენი

უკრაინის კონტრ-რევოლიუციონერთა შესახებ

ხარკოვი, 20 აპრილი. 19 აპრილს ღამით უკრაინის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი კონტრ - რევოლიუციონური ორგანიზაციის — „უკრაინის განთავისუფლების კავშირის" საქმის გამო.

განაჩენი ამტკიცებს, რომ ორგანიზაციის რაობა კონტრ-რევოლიუციონური იყო და რომ იგი მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აჯანყებისა და ინტერვენციის საშუალებით.

სასამართლო სცნობს, რომ „უკრაინის განთავისუფლების კავშირის ხელმძღვანელნი — ეფრემოვი, ნიკოვსკი, ვლადიმერ ჩეხოვსკი, დურდუკოვსკი და უკრაინის ახალგაზრდობის კავშირის ხელმძღვანელი პავლუშკოვი მეტად დიდ სოციალურ საშიშროებას წარმოადგენენ. მაგრამ სასამართლომ მხედველობაში მიიღო მათი სრული მონანიება და თავიანთი კონტრ-რევოლიუციონური მოქმედების დაგმობა და შესაძლებლად სცნო არ შეეფარდოს მათ, დახვრეტა.

სერგეი ეფრემოვს, ნიკოვსკის და ვლადიმერ ჩეხოვსკის მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ათ-ათი წლით და უფლებების ჩამორთმევა ხუთ-ხუთი წლით. პავლუშკოვს—თავისუფლების აღკვეთა 10 წლით და უფლებების ჩამორთმევა 3 წლით. დურდუკოვსკის, გონცოვს, ხოლოდნის, ბარბარს, უდოვენკოს, პოდგოეცკის მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა რვა-რვა წლით და უფლებების ჩამორთმევა სამ-სამი წლით, ბლიზნიუკს და სლაბჩენკო ივანიცს — თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი წლით და უფლებების ჩამორთმევა სამ-სამი წლით, გერმაიზეს, გრებენეცკის, ატამანოვსკის, ჩერნიახოვსკის, ზალესკის, ვოლოშკევიჩს, ბალოზვეჩს, დოლგუს და პეტრე ეფრემოვს — თავისუფლების აღკვეთა ხუთ-ხუთი წლით და უფლებების ჩამორთმევა ორ-ორი წლით. სტარიცკაია - ჩერნიახოვსკაიას თავისუფლების აღკვეთა 5 წლით და უფლებების ჩამორთმევა 3 წლით. მატუშევსკის თავისუფლების აღკვეთა 6 წლით. მარგულისს, ლებროვსკის და ტარას სლაბჩენკოს — თავისუფლების აღკვეთა სამ-სამი წლით, ბოტვინოვსკის და ნიკოლოზ ჩეხოვსკის — სამ-სამი წლით, ტრეზვინსკის, ტოკარევსკაიას, შილოს, ივჩენკოს, კრევეციუს, ტურკალოს, კუდრიცკის, ბელნოვას და დოვგის — თავისუფლების აღკვეთა სამ-სამი წლით პირობითად. დოგოს, დრიუშკევიჩს, ბაიკოს, ბელის, შევტიევს, კარპოვიჩს და პანჩენკოს მიესაჯათ უკრაინის ფარგლებიდან გადასახლება სამ-სამი წლით. თავისუფლების აღკვეთა ყველა მსჯავრდადებულთათვის სასტიკი იზოლიაციითაა. პირობითად მსჯავრდადებულნი დაუყონებლივ გაანთავისუფლეს. (ადს).

უმუშევართა სისხლისმღვრელი შეტაკება პოლიციასთან

ვარშავა, 19 აპრილი. ზავერცეში (დომბროვის რაიონი) მოხდა უმუშევართა სისხლისმღვრელი შეტაკება პოლიციასთან. როცა უმუშევრებმა გაიგეს, რომ ზავერცის მაგისტრატმა (ქალაქის თვითმმართველობამ) გაიღო ძალზე მცირე თანხა უმუშევართა დასახმარებლად (მათი რიცხვი კი 8.000 კაცს აღწევს), **შეიჭრენ მაგისტრატში და დაამტვრიეს მთელი მოწყობილება. მოსულ პოლიციას უმუშევრებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და ქვები დაუშინეს. ქუჩაში ბრძოლამ პოლიციასა და უმუშევრებს შორის 40 საათს გასტანა.**

როგორც „ექსპრეს პორანი" იუწყება, **შეტაკების დროს მოჰკლეს 2 უმუშევარი და დასჭრეს 19 კაცი.** პოლიციელთაგან 6 კაცი დაიჭრა.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანოს „რაბოტნიკ"-ის სიტყვით, **უმუშევართა წინააღმდეგ სამხედრო ნაწილები მოქმედებდნენ.** (ადს).

ზავერციაში მომხდარი შეტაკებების შედეგები

ვარშავა, 19 აპრილი. ზავერციადან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, უმუშევრებთან შეტაკების დროს პოლიციამ მოჰკლა 3 კაცი. დემონსტრანტებიდან დაიჭრა 30 კაცი. გარდა ამისა, დაიჭრა 6 პოლიციელი. დააპატიმრეს 40 მუშა, რომელთა უმრავლესობას კომკავშირელები შეადგენენ.

აჯანყება ბენგალიის პროვინციაში

ლონდონი, 19 აპრილი. ჩიტაგონგაში (ბენგალიის პროვინცია) აჯანყებულები თავს დაესხნენ პოლიციის არსენალს და რკინის გზის კვანძს. **დაანგრიეს არსენალის შენობა და სხვა შენობები სადგურზე. შეტაკების დროს მოკლულ იქნა ერთი პოლიციელი და ერთი ჯარისკაცი. აჯანყებულებს 4 კაცი მოუკლეს. აჯანყებულებმა გაწყვიტეს ტელეგრაფი და აშალეს რკინის გზის ლიანდაგი.**

ჩიტაგონგაში მომხდარი ამბების შესახებ, მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ არსენალზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა 100 აჯანყებული. **პოლიციის რაზმებმა დაიჭირეს ქალაქის ყველა სტრატეგიული პუნქტები.** ქალაქში მასიური ჩხრეკაა. (ადს).

„მუშათა" მთავრობამ ინგლისში არ შეუშვა საბჭოთა ფეხბურთელები

ტომ ბელის განცხადება

ლონდონი, 19 აპრილი. საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების (ინგლისში) მდივანმა **ტომ ბელმა** გამოაქვეყნა განცხადება იმის გამო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა კლაინსმა საბჭოთა ფეხბურთელებს ინგლისში შესვლის ნება არ მისცა. საბჭოთა ფეხბურთელებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ შეჯიბრებაში ინგლისის პროლეტარულ ფეხბურთელებთან. ტომ ბელი მოუწოდებს მუშათა მასებს — პროტესტი განაცხადონ შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს ჩაშალოს კავშირი ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მუშებს შორის. აღნიშნავს, რომ უარის თქმის ერთად-ერთი მიზეზი არის საბჭოთა კავშირის მუშებისადმი ღრმა სიძულვილი და მუშების დაძმობილების შიში (ადს).

პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობა

გერმანიის პრესა ილაშ[illegible] ნეთის პროტესტის წინააღმდეგ.

ბერლინი, 19 აპრილი. პოლონეთმა ჟენევაში პროტესტი განაცხადა გერმანიის საბაჟო პოლიტიკის გამო. გერმანიის პრესა სასტიკად ილაშქრებს ამ პროტესტის წინააღმდეგ.

„დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგ"-ი სწერს: „პოლონეთის მიმართვას ერთა ლიგისადმი მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: ახლავე დააკისროს გერმანიას პასუხისმგებლობა იმისთვის, თუ არ მოხდა პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაცია". (ადს).

განმარტება სას.-სამ. გადასახადის გადახდევინების შესახებ

მოსკოვი, 20 აპრილი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ბრიუხანოვმა შემდეგი შინაარსის დეპეშით მიმართა საბჭოთა კავშირის ფინორგანოებს:

„ნათესის გასადიდებლად, ფართოდ ეცნობოს მოსახლეობას, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხურ მეურნეობათა ცალკე წევრები უარს იტყვიან თავიანთი მიწის ნორმაზე, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ამ მეურნეობებს გადახდებათ წარსული წლის ნათესი ფართობის, მიხედვით, სულერთია დასთესენ თუ არა ამ მიწებს ეს მეურნეობანი. ამავე დროს კოლმეურნეობები და ინდივიდუალური მეურნეობები, რომლებიც მიიღებენ ამ მიწებს, განთავისუფლდებიან 1930-31 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ამ მიწებზე.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტის მე-10-ე პლენუმი

გუშინ გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მეათე გაფართოებული პლენუმი.

მოხსენებით საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის მსვლელობის და თბილისის ოლქში საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ გამოვიდა ამხ. **ლადო სუხიშვილი.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ლომთათიძემ, კეხრიშვილმა, ურუშაძემ, თოთაძემ, ქურჩიშვილმა, ჯაფარიძემ და ზოგირაძემ.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

უსირცხვილო და დაგვიანებული განცხადება გენერალ კუტეპოვის დაკარგვის შესახებ

მოსკოვი, 20 აპრილი. „იზვესტია"-ს პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება:

გაზეთ „ტან"-მა დაბეჭდა ოფიციალური განცხადება შემდეგი სათაურით: „გენერალ კუტეპოვის დაკარგვა". განცხადებაში ნათქვამია: „იმ ცნობების მიხედვით, რომელიც პრესაში იყო გამოქვეყნებული, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ გენერალ კუტეპოვის დაკარგვის დღიდანვე პოლიცია განსაკუთრებულ ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ერთ გარკვეულ სახელმწიფოს უცხო მოქალაქეებს, რომელნიც საფრანგეთში ცხოვრობენ. ჩვენ დავალებული გვაქვს განვაცხადოთ, რომ ეს ცნობები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ამ საქმეზე დაწყებულ კვლევა - ძიების დროს პოლიციამ მიიღო ზომები იჭვმიტანილ მოქალაქეთა მიმართ, მათი ეროვნების მიუხედავად".

„იზვესტია" განმარტავს ამ ცნობას და აღნიშნავს: საფრანგეთის ხელისუფლების ეს განცხადება თავდაყირა აყენებს კუტეპოვშჩინის კამპანიას და მასთან დაკავშირებულ ანტი - საბჭოთა გამოსვლებს. ეს ძირს უთხრის იმ უსირცხვილო ცილისწამების კამპანიას, რომელსაც თვეობით აწარმოებდა საფრანგეთის და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების პრესა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რით არის გამოწვეული ეს განცხადება? „ტან"-ის ამავე ნომერში მოთავსებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ბრიანი დაბრუნდა ლონდონში. ჩანს, ჰენდერსონმა უკვე აცნობა ბრიანს ინგლის - საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

მაგრამ საფრანგეთის მთავრობის ეს ნაბიჯი საკმაო არ არის. ტარდიე-ბრიანის მთავრობამ უფრო გარკვევით და გაბედულად უნდა ცხადჰყოს, როგორ უყურებენ საფრანგეთის პოლიტიკის ხელმძღვანელები იმ უმსგავსობას, რომელსაც ადგილი აქვს პარიზში საბჭოთა წარმომადგენლობებთან ურთიერთობაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. საოლქო კომიტეტის
პლენუმის გაგრძელება
შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის წითელ დარბაზში

კოლექტიური თესვა წარმატებით ვითარდება ყველა რაიონებში

ინდივიდუალურ მეურნეობათა მიწები დათესილი უნდა იქნეს მთლიანად.—კოლმეურნეობათა მუშაკებო, დაეხმარეთ ინდივიდუალურ მეურნეებს ნათესების სივრცის გაფართოვებაში, მოაგვარეთ მათთვის მანქანა-იარაღებისა და მუშა-ხელის მიწოდება

საგაზაფხულო სას.-სამეურნეო კამპანია ქუთაისის ოლქში

მიმდინარე წლის საგაზაფხულო კამპანია, წინანდელთან შედარებით, სხვათა შორის, იმითაც განსხვავდება, რომ ამ კამპანიის ყველა დეტალები წინასწარ იყო გათვალისწინებული გეგმით.

საოლქო აღმასკომმა თავის დროზე დაამუშავა კამპანიის გეგმა ცალკე რაიონების მიხედვით. თავის მხრივ ყველა სარაიონო აღმასკომებმა დაამუშავეს ასეთივე გეგმები სასოფლო საბჭოების მიხედვით. ეს გეგმები განხილული იყო ყველა სასოფლო საბჭოების მიერ და გადატანილი გლეხთა ფართო მასაში.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამ პირველ გეგმის შედგენაში სავსებით უზრუნველყოფილი იყო ოლქის მოსახლეობის ფართო აქტიური მონაწილეობა, მაგრამ ამის მიუხედავად ამ გეგმებს მაინც ახლავს ზოგიერთი დეფექტები.

საგაზ. კამპანიის მსვლელობის შემოწმებით გამოირკვა, რომ ა.-წ. 1-ლ აპრილისათვის გეგმით გათვალისწინებული სიმინდის ფართობის დამუშავება შესრულდა 95 პროცენტით, რადგან ზოგიერთ რაიონებისათვის (ქუთაისი, სამტრედია და ხონი) გეგმის შემდგენლებმა მხედველობიდან გაუშვეს შემოდგომის ნათესის არე და ამიტომ თავისუფალი სახნავი გათვალისწინებულ იქნა იმაზე მეტი, ვიდრე ის ფაქტიურად იყო.

გეგმა ვერ იქნება აგრეთვე შესრულებული ტექნიკურ კულტურების მიმართ (არახისის თესვის გეგმა შესრულდება მხოლოდ 50 პროცენტით, ბამბის 75 პროცენტით და სოიასი—70 პროცენტით), რის მიზეზადაც მიჩნეულ უნდა იქნეს სათესლე მასალის მიუწოდებლობა. სათესლე მასალის უქონლობის გამო კარტოფილის თესვის გეგმა შესრულებული იქნება მხოლოდ 60 პროცენტით, ხოლო ნათესი ბალახის თესვა—45 პროცენტით.

თესლის ნაკლებობა გამოიხატება შემდეგში: არახისი საჭიროა 350 ფუთი, სოია 8958, ბამბა—528, სიმინდი—4.000, ქერი—2.000, ლობიო—8.234, კარტოფილი—32846, ლომი—213, ბალახები—1561 და ბოსტნეული—99.

რაც შეეხება ხელუხლებელ სათესლე მარაგის შეგროვებას, ამ მხრივ შემდეგი მდგომარეობაა. სულ გათვალისწინებული იყო შესაგროვებლად 268.085 ფუთი, ფაქტიურად შეგროვდა 381.151 ფუთი. ამას გარდა შემოზიდულია ოლქში 34.490 ფუთი თესლი.

სიმინდის ხელუხლებელი სათესლე მარაგი შეგროვილია 75 პროც. მეტი, ვიდრე ამას გეგმა ვარაუდობდა, ასევე გადაჭარბებითაა შეგროვილი ლობიოს და სოიას თესლი, ხოლო კარტოფილზე და ბამბაზე გეგმა ვერ იქნა შესრულებული.

ზოგ ადგილას სათესლე მასალის თავის დროზე და გეგმიანათ გაუნაწილებლობამ თან მოჰყვა საერთო ბეღლიდან გლეხების მიერ სათესლე მასალის თვითნებურად განაწილება (მერევი და ხრეითი, ჭიათურის რაიონი), ლაჩი, კორბოული (საჩხერის რაიონი) და ქუთაისის რაიონის ერთ სოფელში, მაგრამ ეს დროზე იქნა შემჩნეული საოლქო ორგანოების მიერ და ადგილებს მიეცათ გარკვეული დირექტივები შეგროვილ სათესლე მასალის განაწილების შესახებ.

აღსანიშნავია აგრეთვე ხარისხოვანი თესლის განაწილების და გამოყენების საკითხი. 1 აპრილისათვის ვანის რაიონს მიღებული ჰქონდა 4 000 ფუთი ხარისხოვანი თესლი, რომელიც რაიონმა ვერ გამოიყენა იმ დროს, როცა ზოგიერთი სხვა რაიონები განიცდიდენ ხარისხოვან თესლის ნაკლებობას.

სათესლე მასალის გარჩევის და შეწამვლის საქმეში აუცილებლად მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს. ასე მაგალითად, გაზაფხულის ხორბალი გაიწმინდა მთელი 100 პროცენტით, ხოლო ქერი 54 პროცენტით, შეწამლულია ქერი 35 პროცენტით, პური 33 პროცენტით, ხოლო სიმინდი 55 პროცენტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ადგილას (ბაღდათი) დასარიგებელი სათესლე მასალის განაწილების და შეწამვლის დაგვიანების გამო რამდენიმე კარგი ამინდიანი დღე დაიკარგა ხვნა-თესვისათვის, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა გლეხობის ნაწილში.

მიმდინარე კამპანიის უარყოფით მხარეთაგან უმთავრესია ზოგიერთ რაიონში თესვის დაგვიანება. ა.-წ. 1- აპრილისათვის მოხნული იყო ოლქში მთელი ფართობის 28 პროც., ხოლო დათესილი კი იყო 7 პროც.

იარაღ-მანქანების შემოტანა

ამჟამად ოლქში არის სულ: ტრაქტორი—17, გუთანი—5165, რკინის ფარცხი 1036, სათესი—5059, ტრიერი—78, სანიავებელი—543, კულტივატორი 1046 და სხვ., მაგრამ აქ საყურადღებოა ერთი გარემოება — მთელ რიგ რაიონებში (საჩხერე, ვანი, სამტრედია და სხვ.) მიღებულია ნაწილი ისეთი სისტემის გუთნები, რომლებიც ამ რაიონებისათვის და საერთოდ დასავლეთ საქართველოს ნიადაგისათვის შეუფერებელია და ამიტომ ეს გუთნები ყრია უსარგებლოდ, იმ დროს, როცა სხვა რაიონებს თავისუფლად შეეძლოთ მათი გამოყენება.

თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით, მოწყობილი იყო იარაღ-მანქანების შემკეთებელი 4 სარემონტო სახელოსნო, 20 სამჭედლო და 38 შემკეთებელი ბრიგადა, რომლებმაც შეაკეთეს ა.-წ. 1-ლ აპრილამდე 800 გუთანი, 3 ტრაქტორი და 511 სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო იარაღები. შეკეთებულია აგრეთვე წვრილი სასოფლო-სამ. იარაღები 22.000-ზე მეტი.

საჩხერის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა ჩივის, რომ მიუხედავად არა ერთი მიმართვისა, „სოფლის კავშირის" მაინც არ მიაქვს ჩვენთვის გამოუსადეგარი გუთნები (ასეთი გუთნები აწყვია საჩხერეში—65, ვანში—200).

სატრაქტორო ვალდებულებათა შეგროვება გათვალისწინებული იყო სულ 91.600 მანეთის რაოდენობით, ხოლო ფაქტიურათ შეგროვილია 17.300 მანეთი.

აქვე უნდა აღინიშნოს წვრილი სასოფლო-სამეურნეო იარაღების (თოხი, ნაჯახი, წალდი და სხვ.) სიმცირე, რაც უმთავრესად თესვის დამთავრების შემდეგ იჩენს თავს, განსაკუთრებით კოლექტივებში. კოლექტივებმა ამთავითვე უნდა იზრუნონ მათ შეძენაზე.

წვრილი იარაღების სიმცირეს უკვე ეხლავე გრძნობენ ზოგიერთი კოლექტივის წევრები (ბაღდათი).

რაც შეეხება მუშა-საქონელს, ამ მხრივ გარდა მისი ნაკლებობისა (ქუთაისის ოლქი მუშა-საქონლის სიმცირით ცნობილია—თითო კომლზე მოდის მხოლოდ 1,2 მუშა-საქონელი) თესვის კამპანიაში ამ გამწევი ძალის გამოყენებას ძალზე აბრკოლებდა საქონლის საკვების სიმცირე (ბაღდათი, ოკრიბა, სამტრედია), საგაზაფხულო კამპანიასთან დაკავშირებით ოლქში ფურაჟის საგრძნობი რაოდენობა შემოიზიდა, მაგრამ ზოგიერთმა რაიონებმა მათი ხვედრი ფურაჟი თავის დროზე არ ჩაიბარეს, რის გამო ადგილი ჰქონდა ფურაჟის გაფუჭებასაც (სვირი და მუხიანი).

ოლქში მუშაობს აგრეთვე ერთი ცხენის კოლონა, 32 ცხენით და 6 ხარის კოლონა—190 ხარით, მაგრამ აქ აღსანიშნავია ამ კოლონების, კერძოდ კი „სოფლის კავშირის" მიერ გადმოგზავნილ კოლონების მოვლისა და გამოყენების საკითხი. ვანის რაიონში მუშაობს ხარების 3 კოლონა, ხარებს არ ჰყავს სპეციალურად მიჩენილი მომვლელი, ისინი მოთავსებული არიან სრულიად უვარგის და უსუფთაო ბინაში. მოუვლელობის გამო ხარებს გაუჩნდა ქასრის ავადმყოფობა. ამას გარდა საქონელი არ არის უზრუნველყოფილი საკვებით. კოლონის ხარებისათვის თბილისიდან გადმოგზავნილი ფურაჟი სხვებს გაუნაწილეს და ეს ხარები უსაკვებოთ დარჩა—რის გამოც სახნავად მათი გამოყენება შეუძლებელი ხდება.

კოლონების საქონლის მოვლის საქმე მოუგვარებელია აგრეთვე ქუთაისის რაიონშიაც.

კონტრაქტაცია

ოლქში კონტრაქტაცია გათვალისწინებული იყო: სიმინდი 50200 ჰექტ., ფაქტიურად დადებულია ხელშეკრულება 39895 ჰექტ. სოია—6.678, ფაქტიურათ—3.302, კარტოფილი 100, ფაქტიურათ 133, ხახვი 65, ფაქტიურათ 133, არახისი 200, ფაქტიურათ 25 ჰექტარი. ამგვარად, კონტრაქტაციის გეგმა არაა შესრულებული. მაგრამ ეს კიდევ არაა იმდენად დამაფიქრებელი, რამდენად ის გარემოება, რომ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები დადებულია ზოგიერთ ისეთ კოლექტივების გამგეობებთან, რომლებიც ხელშეკრულების შემდეგ უკვე დაიშალენ, ხოლო მათ ნაცვლად კონტრაქტაციის ჯგუფურ განაერთებებში გატარება სუსტად მიმდინარეობს. ამ მდგომარეობას საჭიროა ეხლავე მიექცეს სათანადო ორგანოების ყურადღება.

ვენახები

ვენახში მუშაობა რამდენიმეთ მოისუსტებს. მევენახეობის ისეთ რაიონებში, როგორიცაა ზესტაფონი და ბაღდათი, ა. წ. 1-ლ აპრილისათვის გასხლულ-გაწმენდილი იყო ვენახის ფართობის მხოლოდ 61 პროც. ზესტაფონის რაიონში და 77 პროც. ბაღდათის რაიონში. ბაღდათის რაიონში მწვავედ სდგას ხარდნის (ვენახის სარი) საკითხი. ხარდნის დანაკლისი უდრის ამ რაიონში დაახლოვებით 20 პროც. ამიტომ საჭიროა კოლმეურნეობების გამგეობებმა ეხლავე მიიღონ საჭირო ზომები ვენახების ჭიგოთი უზრუნველსაყოფად.

სულ ოლქში გეგმით გათვალისწინებული იყო ვენახის ფართობის ზრდა 305 ჰექტარი, ხოლო ფაქტიურათ გამზადებულია (გადაბრუნებულია) სავენახე მიწა 241 ჰექტარი. ამნაირათ გეგმის შესრულება მოსალოდნელია 80 პროც.

კრედიტები სოფლის მეურნეობას

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში სოფლის მეურნეობაში დაბანდებულია გრძელვადიანი სესხი 13.416 მანეთი, და მოკლევადიანი 26.726 მან. აქედან კოლმეურნეობებზე მოდის 27.914 მანეთი, ანუ 69,5 პროც.

აგროპერსონალი

ოლქში მუშაობს სულ 47 აგრონომი და 29 აგრო-ტექნიკოსი. ამათ გარდა საგაზაფხულო კამპანიასთან დაკავშირებით დროებით სამუშაოთ მოვლინებულია 34 აგრონომი, 11 აგრო ტექნიკოსი და 38 პრაქტიკანტი (სტაჟიორი). ყველა სოფლებში არჩეულია აგრორწმუნებულები. სულ ოლქში არჩეულია 2.062 აგრორწმუნებული, რომლებიც გადამზადებული იქნენ მოკლევადიან კურსებზე.

მოწყობილი იყო 120 აგროკურსები, აქედან 108 საერთო ხასიათის, ხოლო 12 სხვადასხვა განხრით (მევენახეობა და სხვა), რომლებიც მოისმინა 3395 მსმენელმა.

აგრომინიმუმი 1-ლ თებერვლამდე გატარებული იყო 350 სოფელში.

სარწყავი არხების გაწმენდა

ხონის, ბაღდათის და ქუთაისის რაიონებში გაწმენდილი იქნა სარწყავი არხები 138 კილომეტრის მანძილზე.

კოლექტივიზაცია

საგაზაფხულო სას.-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში, ისე ქუთაისის ოლქშიაც ფართოდ გაიშალა მუშაობა კოლექტივიზაციის და კულაკობაზე შეტევის ფრონტზე.

კოლექტივიზაციის წინასწარი შედგენილი გეგმით, სადაც სავსებით დაცული იყო ცალკე რაიონების თავისებურებანი, ნავარაუდევი იყო გლეხთა მეურნეობების კოლექტივებში გაერთიანება 20,8 პროც., ხოლო სახნავი მიწების 20,2 პროც. შედგენილი იყო აგრეთვე მეორე (მაქსიმალური ვარიანტი) გეგმა, რომელიც გულისხმობდა მოსახლეობის 26,9 პრ., და მიწის ფართობის 27,4 პროც. გაერთიანებას, მაგრამ კოლექტივიზაციის ფრონტზე გაშლილმა ტემპმა ორივე გეგმა „უკუაგდო" და თებერვლის ბოლო რიცხვებისათვის, როცა კოლექტივებში გაერთიანებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. უკვე გაერთიანებული იყო ოლქის მოსახლეობის 89,5 პროც., მიწის ფართობის 87, პროც. და მუშა-საქონლის 91 პროც. ამავე დროს თუ გეგმით ნავარაუდევი იყო შედარებით წვრილი კოლექტივები (საშუალოდ 60 კომლი თვითეულ კოლმეურნეობაზე), სინამდვილეში შეიქნა გაცილებით უფრო მსხვილი კოლექტივები (თითო კოლმეურნეობაზე მოდიოდა 274 კომლი). გეგმა გადაჭარბებით იქნა აგრეთვე შესრულებული კოლმეურნეობათა სახეების მხრივ. ასე მაგალითად, თუ გეგმა ვარაუდობდა 14 პროც. მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელ ამხანაგობებს, თებერვლის ბოლო რიცხვებისათვის, ასეთი მარტივი ფორმის გაერთიანება თითქმის არც კი იყო. როგორც ცნობილია, კოლექტივიზაციის საქმეში, ქუთაისის ოლქშიაც იყო დაშვებული ზოგიერთი შეცდომები (იძულებითი ღონისძიებები, მეწველი საქონლის, საჯდომ ცხენების, შემოდგომის ნათესების გაერთიანება და სხვა).

ს. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებისა და ამხ. სტალინის წერილის („თავბრუდახვევა წარმატებისაგან") გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო კოლმეურნეობათა გადასინჯვა, რომლის შედეგათ ა. წ. 1-ლ აპრილისათვის ჩვენ მივიღეთ შემდეგი სურათი: სულ ჩამოყალიბებული იყო 666 კოლმეურნეობა, შემდეგ მოხდა მათი გამსხვილება და 666-ის ნაცვლად შეიქნა 384 კოლმეურნეობა. აქედან ნაწილი დაიშალა, ხოლო ნაწილი გადავიდა მარტივ ფორმაზე.

ა. წ. 1-ლ აპრილისათვის წმენდა ჩატარებული იყო 22 კოლექტივში, საიდანაც გაირიცხა 2.637 კომლი, ე. ი. 2,5 პროც.

ამგვარად, პირველ აპრილისათვის ქუთაისის ოლქში დარჩა: 4 კომუნა—318 კომლით, 265 სას.-სამ. არტელი 49.556 კომლით და 33 მარტივი განაერთებები 1,806 კომლით, სულ 295 კოლმეურნეობა—51.680 კომლით, ე. ი. კოლმეურნეობებში გაერთიანებულია ოლქის მთელი მოსახლეობის 44,3 პროც., განსაზოგადოებულია 73.264 ჰექტარი სახნავი მიწა, რაც შეადგენს მთელი სახნავი ფართობის 38,1 პროც., და 54.829 სული მუშა-საქონელი, რაც შეადგენს ოლქის მთელი მუშა-საქონლის 40,4 პროც., განსაზოგადოებულია აგრეთვე 6.658 ჰექტარი ვენახი (38 პროც.) და 5037 სული მეწველი საქონელი (მესაქონლეთა არტელებში).

მართალია 1-ლ აპრილის მდგომარეობა მთლიანად სტაბილურათ ვერ ჩაითვლება, რადგან ზოგიერთ რაიონებში ზოგი კოლექტივის წევრები კიდევ განიცდიდენ მერყეობას, მაგრამ დიდი ცვლილებები როგორც ამას 10 აპრილისათვის მიღებული ცნობებიც ადასტურებენ, მოსალოდნელი არაა, მით უფრო, რომ კოლექტივებიდან გასულ გლეხებთაგან ნაწილმა დაბრუნება იწყო უკანვე. 1-ლ აპრილისათვის კოლმეურნეობებში დაბრუნებული იყო გასულებიდან 768 კომლი. კოლექტივში დაბრუნება დაიწყო უმთავრესათ ამხ. სტალინის წერილის („პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს") გამოქვეყნების შემდეგ, რომლის პოპულარიზაცია ფართოდ იქნა ჩატარებული და ეხლაც ტარდება მთელს ოლქში.

არსებულ კოლმეურნეობათა განკარგულებაში იყო ა. წ. 1-ლ აპრილისათვის: ტრაქტორი 8, გუთანი 3.392, ფარცხი 765, კულტივატორი 825, სათესი 369, სანიავებელი 375, ტრიერი 55 ცალი.

მიწადმოწყობა და მიწადსარგებლობა

ოლქში მუშაობს 24 მიწისმზომელი, მაგრამ, ცხადია, ეს რიცხვი საკმარისი ვერ იქნებოდა და ამიტომ ზოგიერთმა კოლექტივებმა ერთმანეთს შორის მიწების მოცვლა და გამიჯვნა თვითვე მოახდინეს ისე, რომ ამ მხრივ გაუგებრობას და უკმაყოფილებას ადგილი არ ჰქონია. მიწის საკითხი რამდენიმეთ გამწვავდა კოლექტივიდან გასვლის დროს, რადგან მიწების ნაწილი დამუშავებული იყო საერთო ძალით.

შრომის ორგანიზაცია

შრომის ორგანიზაციის და აღრიცხვის საქმე ჯერ ვერაა სავსებით დამაკმაყოფილებლად დაყენებული. კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის შემოწმებამ გამოარკვია, რომ ზოგიერთ კოლექტივებში შესრულებულ მუშაობის აღრიცხვა არ არის მოგვარებული და იგი არ ქვეყნდება, რის გამოც არ იციან თუ კოლექტივის რომელი წევრი როგორ მუშაობს. რაც შეეხება შრომის ორგანიზაციის ახალ სისტემას, სანარდო მუშაობას—უნდა ითქვას, რომ ფაქტიურად სანარდო მუშაობა ჯერ არ გატარებულა, თუმცა გამომუშავების ნორმები და შრომის სატარიფო განაკვეთები თითქმის ყველგან დამუშავებულია. სანარდო სისტემის გატარებაში კოლექტივის წევრები არ ყოყმანობენ. ყოყმანობენ, ეჭვიანობენ და მის ცხოვრებაში გატარებას აფერხებენ თვით ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკები. ამ მხრივაც საჭიროა გარდატეხის მოხდენა. 112 კოლექტივში შექმნილია შრომის ბიუროები, მაგრამ მათი ფუნქციები ადგილებზე კარგათ ვერაა გარკვეული. მათ ფუნქციებში ვერ ერკვევიან არამც თუ გლეხები, არამედ აგრონომები და მოანგარიშეთა ნაწილიც. ზოგ ადგილას შრომის ბიუროები ისე ესმით, თითქოს ის კიდევ მიუზომავს სანარდო სამუშაოს და კიდეც შეაფასებს და ჩაიბარებს, ზოგან კი ესმით, როგორც შრომის შემფასებელი ორგანო და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც გამოკვლევამ გამოარკვია აგრონომების ნაწილს სანარდო მუშაობა ესმის მხოლოთ თეორიულად, მაგრამ იგი სრულიად არ აქვთ დამუშავებული პრაქტიკულად. მაგალითად ვინ მიუზომავს სამუშაოს, რამდენი ხნის სამუშაოს მიუზომავს, მიუზომავს თითეულად თუ ბრიგადებათ, როგორ მოხდება შესრულებულ სამუშაოს ჩაბარება და სხვა.

ამიტომ შრომის ორგანიზაციის საკითხების გასარჩევათ მოწვეულ იყო რამდენიმე სპეციალური თათბირი, როგორც რაიონებში, ისე ოლქში, სადაც დაწვრილებით იქნა განმარტებული და დამუშავებული შრომის ორგანიზაციის ყველა საკითხები.

სერიოზულად დასამუშავებელია აგრეთვე საკითხი იმ დახარჯულ შრომის ანაზღაურებისა, რომელიც კოლმეურნეობათა წევრების მიერ გაწეულია სანარდო სისტემის გატარებამდე და სადაც აღრიცხვით არამც თუ სამუშაოს ხასიათი და ხარისხი სჩანს, არამედ ზოგან დღეების რიცხვიც კი არაა სწორედ აღრიცხული.

295 კოლექტივიდან მოანგარიშე მუშაობს მხოლოდ 107-ში. საჭიროა მოანგარიშეები კიდევ 158 კოლმეურნეობაში. რადგან ანგარიშიანობის და აღრიცხვის საკითხს კოლმეურნეობათა მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, საჭიროა მოანგარიშეთა საჭირო კადრის მომზადება.

კლასიური ხაზის გამრუდების ზოგიერთი ფაქტები

როგორც კავშირის სხვა კუთხეებში, კლასიური ხაზის დამახინჯების შემთხვევები ქუთაისის ოლქშიც იყო, რაც გამოიხატა: საშუალო გლეხის შეცდომით კულაკთა სიაში შეტანაში (ქუთაისის რაიონი), გლეხობისადმი უხეშ მოპყრობაში (ცაგერი, ხარაგოულის რაიონი), გლეხების დაშინება-მუქარაში (ზესტაფონის რაიონი), შემოდგომის ნათესების, საჯდომ ცხენების, საოჯახო მოხმარების ძროხების, ვენახების და სხვათა განსაზოგადოებაში.

კლასიური ხაზის დამახინჯებისათვის მიცემული იქნა პასუხისგებაში 15 კაცი, ხოლო თანამდებობიდან მოიხსნა 16.

ყველა ამ შეცდომებს მოხერხებულად იყენებდნენ კულაკები და ეწეოდენ აშკარა აგიტაციას კოლექტივიზაციის წინააღმდეგ (ხონი, სამტრედია, ზესტაფონი, საჩხერე, ვანი და სხ.), მაგრამ კულაკები მარტო აგიტაციით არ კმაყოფილდებოდნენ, ზოგჯერ აშკარა შეტევაზედაც გადადიოდნენ. ხონის რაიონში ს. ცხუნკურში, როდესაც კოლექტივის წევრი გლეხები, რიცხვით 100 კაცი, გავიდნენ ხარებით სახნავად, მათ თავს დაესხა 10 კულაკი, რომლებმაც გლეხებს დაუჩეხეს უღლები და ზოგიერთებს სცემეს კიდეც, რასაც მოჰყვა არეულ-დარევა და მუშაობის ჩაშლა.

კულაკები არ ერიდებოდნენ კოლექტივის აქტიური წევრების მოკვლასაც. ს. გორაში მოჰკლეს კოლექტივის აქტიური წევრი გრიშა ლიპარტიანი, ქვ. სიმონეთში პარმენ ქასრაშვილი, სოფ. ტყვაში (რაჭა) კულაკების წაქეზებით სასიკვდილოთ დასჭრეს კოლექტივის აქტიური წევრი მ. ლომთაძე, ს. ლუძევში (ხარაგოულის რაიონი) პ. ფილაშვილს, რომელიც სათესლე ფონდს აგროვებდა, კულაკებმა დაუწვეს სახლი, ს. დიმში დაწვეს კოლექტივის წევრის ცერცვაძის სახლი. კოლექტივის წევრების სახლისათვის ცეცხლის წაკიდების შემთხვევები იყო აგრეთვე ვანის, ქუთაისის და ზესტაფონის რაიონებში. კულაკებმა ცეცხლი წაუკიდეს აგრეთვე ვენახის სარებს (სამტრედია), ორი ზვინი ჩალას (ზესტაფონის რაიონი) და სხვ. კულაკები მიმართავდნენ გლეხების დაშინებასაც. ს. არგვეთში [illegible] თავის მოჯამაგირე სახლიდან გააგდო, როგორც კი გაიგო, რომ იგი კოლექტივში ჩაეწერა. ს. ჭიორაში კულაკები თავს დაესხენ სკოლას, სადაც ღარიბთა და საშუალო გლეხთა კრება ძიდიოდა, ჩაამტვრიეს შენობის მინები და მოახდინეს დებოში.

ზოგან კულაკები, სადაც აქტიური ბრძოლით არაფერს გამოელოდნენ, მიმართავდნენ სხვაგვარ მანევრებს. კოლექტივებში გაძრომას და შიგნიდან მის სახელის გატეხას. მაგალითად ს. ღარისხევში (ხარაგოულის რაიონი) 2 კულაკმა თითონ დაიწყეს კოლექტივში ღარიბების ჩაწერა და კოლექტივის „მოწყობა". ასევე მოიქცენ ს. ბაჯითშიც (საჩხერის რაიონი). არ დაუცადეს მიმაგრებულ ამხანაგს, თვითონ მოიწვიეს საერთო კრება და დაიწყეს კოლექტივის მოწყობა, მაგრამ მათი ოინები მაშინვე იქნა გამოაშკარავებული და სინათლეზე გამოტანილი.

შალ. ჭილიძე.

როგორ მიმდინარეობს ნათესების კონტრაქტაცია

მემინდვრეობის კავშირის ცნობით, 20 აპრილისათვის საქართველოში, ავტონომიურ რესპუბლიკების გამოკლებით, კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 69.599,5 ჰექტარ ნათესზე, რაც შეადგენს გეგმის (137.950) 50,4 პროცენტს. აქედან კონტრაქტაცია ჩატარებულია 2276 ჰექტარ პურის ნათესზე, 4.615,5 ჰექტარ ქერის ნათესზე და 62.708 ჰექტარ სიმინდზე. კოლმეურნეობებში კონტრაქტაცია ჩატარებულია 56.577 ჰექტარ ნათესებზე, საწარმოო განაერთებასა და ჯგუფურ განაერთებში — 13.022 ჰექტარზე.

ოლქებისა და მაზრების მიხედვით მდგომარეობა ასეთია: ახალციხის მაზრაში კონტრაქტაცია ჩატარებულია 2.333 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 95,2 პროცენტს; გორის ოლქში—3.783 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 22,7 პროცენტს, თბილისის ოლქში—1.234,5 ჰექტარზე, გეგმის 11,6 პროც., კახეთის ოლქში—5.417 ჰექტარზე, გეგმა შესრულებულია 41,3 პროც.; ზუგდიდის მაზრაში—10.362 ჰექტარზე—გეგმის 74 პროც.; სენაკის მაზრაში—11.128 ჰექტარზე—გეგმის 79,5 პროც.; ქუთაისის ოლქში—23.227 ჰექტარზე—გეგმის 46,42 პროცენტი; ოზურგეთის მაზრაში—12.115 ჰექტარზე, გეგმის 100,9 პროც. ახალქალაქის მაზრიდან ცნობები არ არის მიღებული. ამრიგად, კონტრაქტაციის მხრივ ყველაზე ჩამორჩენილია თბილისის ოლქი, სადაც შესრულებულია გეგმის მხოლოდ 11,6 პროცენტი.

კრედიტები კოლმეურნეობებს

კოლექტიურ მეურნეობათა საბრუნავი თანხის გასადიდებლად გადადებული 135.000 მანეთი საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა ოლქებსა და მაზრებს შორის შემდეგ ნაირად განაწილა: თბილისის ოლქის კოლმეურნეობებს მიეცა—5.000 მანეთი, გორის ოლქის კოლმეურნეობებს—25.000 მანეთი, ქუთაისის ოლქის კოლექტივებს—50.000 მანეთი, სამხრეთ-ოსეთს—10.000 მანეთი, აჭარისტანს—5 000 მანეთი, აფხაზეთს—5.000 მანეთი, ზუგდიდის მაზრას—5.000 და სენაკის მაზრას—10.000 მ., და ოზ. მაზრისათვის გადადებულია—20.000 მან. აღნიშნული თანხის განაწილება დავალებული აქვს ოზურგეთის კოლმეურნეობათა სამაზრო კავშირს, რომელიც აჭიანებს მის განაწილებას, რის გამოც თანხის გადაგზავნა შეჩერებულია.

განაწილებული თანხა სასოფლო-სამეურნეო ბანკს გადაეცა აპრილის 13—15 რიცხვებში. როგორც ირკვევა, ბანკს ეს თანხა დღემდე არ გამოუყენებია დანიშნულებისამებრ.

მესაქონლეობის ერთთვიურის შედეგები

მესაქონლეობის ერთთვიური საქართველოში დაიწყო 5 მარტს და გაგრძელდა 5 აპრილამდე. კამპანიის ჩასატარებლად გამოყოფილი იყო სულ 23 მესაქონლე სპეციალისტი. სპეციალისტთა საჭირო კადრების უყოლობის გამო, ერთთვიურის ჩატარება განზრახული იყო მხოლოდ სამრეწველო მესაქონლეობის რაიონებში.

მესაქონლეობის კავშირის ცნობით, მესაქონლეობის ერთთვიურის გეგმით დასახულ ღონისძიებათა მთლიანად განხორციელებას ხელი შეუშალა სწორედ ამავე პერიოდში კოლმეურნეობათა მშენებლობაში მომხდარმა გარდატეხამ, რომლის დროსაც მესაქონლეობის რაიონებში დაიწყო მესაქონლეთა კოლმეურნეობების დაშლა. ამის გამო მთელ რიგ რაიონებში (გარე-კახეთი, ყარაია, ბორჩალო, ბაშკიჩეთი) საჭირო შეიქნა ერთთვიურის შეწყვეტა და გადადება. მესაქონლეობის ერთთვიურის ნაყოფიერ მსვლელობას აგრეთვე ხელი შეუშალა თესვის კამპანიამ. ადგილობრივი მუშაკების და აქტივის მთელი ყურადღება ამ პერიოდში მიქცეული იყო თესვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რის გამოც მესაქონლეობის ერთთვიურის საკითხები უნებურად დაჩრდილული რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ერთთვიურის გეგმის მთლიანად შესრულება ვერ მოხერხდა, ამ კამპანიას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან საქართველოს მესაქონლეობაში ეს იყო პირველი მასიური კამპანია და მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მესაქონლეობის რაციონალიზაციას და მის შემდგომ განვითარებას. ერთთვიურის განმავლობაში ჩატარებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

გადაკეთებული იქნა ბოსლები განსაზოგადოებულ მსხვილფეხა საქონლის ჯოგებისათვის 42 კოლექტივში, რაც შეადგენს გეგმის (67 კოლექტივი) 62,6 პროც., საქონლის მოვლა-პატრონობის, კვების და რძის გადამუშავების შესახებ ინსტრუქციები მიეცა 53 კოლმეურნეობას, შესრულებულია გეგმის (67 კოლექტივი) 79,1 პროც., საგრილებელი პუნქტი მოეწყო 5 კოლმეურნეობაში, ხოლო საორგანიზაციო მუშაობა ჩატარდა 34 კოლმეურნეობაში. შესრულებულია გეგმის 58,2 პროც., საგრილებელ პუნქტებისათვის კონტრაქტაცია ჩატარდა 145 სახულე ხბოზე, რაც შეადგენს გეგმის 59,2 პროც., განსაზოგადოებული ჯოგი გადარჩეულ იქნა და სანაშენოდ უვარგისი საქონელი გამოჰყვეს გასასაღებლად 62 კოლმეურნეობაში, რაც შეადგენს გეგმის 101,6 პროც.

ზოომინიმუმი დამუშავებულ იქნა ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით და ამ მინიმუმის განსახორციელებლად ინსტრუქცია მიეცა 63 კოლმეურნეობას, რაც შეადგენს გეგმის 58,9 პროც.; საკონტროლო სექცია მოეწყო 2 კოლმეურნეობაში; რძის გადამამუშავებელ ქარხნების აგება დაიწყო 11 კოლმეურნეობაში, რაც შეადგენს გეგმის 366,7 პროცენტს.

განსაზოგადოებულ ცხვრის ფარის ბინების მოსაწყობად არჩეული იქნა ადგილი 15 პუნქტში, რაც შეადგენს გეგმის 57,7 პროც.; ჯიშის გაუმჯობესების მიზნით შეჯვარების ჩასატარებლად გამოყოფილი იქნა 4.000 სული ვერძი. მწყემსებს მოსამზადებელი კურსები გაიარა 42 კაცმა.

განსაზოგადოებული ღორებისათვის საღორეების აგება დაიწყო 11 კოლმეურნეობაში. საღორეებისათვის სამშენებლო მასალა უკვე დამზადებულია. თვითეული საღორე შენდება 100 სული ღორისათვის. ჯიშის გასაუმჯობესებლად და სამრეწველო მიზნებისათვის ღორის ჯოგი გადარჩეულ იქნა 4 კოლექტივში (გეგმით გადარჩევის ჩატარება განზრახული იყო 33 კოლექტივში). ზოომინიმუმი დამუშავებულ იქნა 6 კოლექტივში. ღორების მოვლა-პატრონობისა და წესიერი კვების შესახებ ახსნა-განმარტება მიეცა 4 კოლმეურნეობას (გეგმის თანახმად ახსნა-განმარტება უნდა მისცემოდა 42 კოლმეურნეობას).

განსაზოგადოებულ ცხენებისათვის თავლების და ფარდულების აგება დაიწყო 7 კოლექტივში, საგრილებელი პუნქტი მოეწყო 7 კოლექტიურ მეურნეობაში და ზოომინიმუმი დამუშავდა 8 კოლექტივში.

ქალთა კოლექტივი

ნოსირის თემში (სენაკის მაზრა) 29 მარტს ჩამოყალიბდა მარიამ ორახელაშვილის სახელობის ქალთა მებოსტნეობის კოლექტივი.

კოლექტივი აერთიანებს 53 ქალს, მათ შორის პარტიის წევრია 5, კომკავშირელი 7.

კოლექტივის მუშაობამ გავლენა მოახდინა ინდივიდუალურ მეურნე ქალებზე, რომლებშიაც გაძლიერდა ლტოლვა კოლმეურნეობისაკენ. კოლექტივს ყოველდღე მოსდის განცხადებები წევრად მიღების შესახებ.

ქალთა კოლექტივის მუშაობის გასაძლიერებლად კოლექტივზე მიმაგრებულია აგრონომი მარგო პატარაია, რომელიც ენერგიულად მუშაობს.

გ. ლობჟანიძე.

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საქ. კორესპონდენტებისა და ა-კ. დეპ. სააგენტოსაგან)

მოხნულია 11.582 ჰექტარი

ოზურგეთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). მინდვრად მუშაობა გაცხოველებით მიმდინარეობს. 16 აპრილისათვის ოზურგეთის მაზრაში მოხნული იყო 11.582 ჰექტარი. ზოგიერთ მაღლობ თემებში დაიწყო თესვა. დღემდე დათესილია კოლექტივებში 170 ჰექტარი, ინდივიდუალურ მეურნეობებში 107 ჰექტარი.

მოხნულია მიწების 100 პროცენტი

ოზურგეთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). ლესა-ქინათის კოლექტივმა პირველმა დაასრულა მიწების მოხვნა. მოხნულია 900 ჰექტარი, ანუ გეგმის 100 პროცენტი. არტელის ახალ წესდებაზე ხელი მოაწერა კოლექტივის წევრთა 92 პროცენტმა.

დათესილია 125 ჰექტარი

ოზურგეთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). ჩოხატაურის რაიონში 17 აპრილისათვის გეგმით გათვალისწინებულ 8617 ჰექტარიდან მოხნულია 2716 ჰექტარი, ანუ 31,6 პროცენტი. აქედან კოლექტივებში 661 ჰექტარი და ინდივიდუალურ მეურნეობებში 2055 ჰექტარი. მიმდინარეობს თესვა. კოლექტივებში დათესილია 47 ჰექტარი, ინდივიდუალურ მეურნეობებში 78 ჰექტარი.

შეფობა გურიანთის კოლექტივზე

ოზურგეთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). ოზურგეთის რაიონულმა სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობამ შეფობა აიღო გურიანთის კოლექტივზე, რომელსაც უფასოდ მისცა ერთი უღელი ხარი. კოლექტივის ღარიბი წევრები, რიცხვით 50 კაცი უფასოდ შეიყვანეს კოოპერატივის წევრებად.

20.000 მან. საბრუნავ თანხის გასადიდებლად

ოზურგეთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). ძირითადი საბრუნავი თანხის გასადიდებლად მთლიან კოლექტივიზაციის თემებს მიეცათ 20.000 მანეთი. აქედან ნატანებს, ჩოჩხათს, მამათს, ჯუმათს, ლესა-ქინათს და ჩიბათს—თითოს 1150 მანეთი, ლანჩხუთს და სუფსას თითოს 1100 მანეთი, ნიგოითს 1000 მან., გურიანთას, ნინოშვილს, ნიგვზიანს, შუხუთს, ნაგომარს, ბუკისციხეს, ძიმითს, სილაურს, ჯურუყვეთს და ზემო-ფარცხმას—თითოს 900 მანეთი და აცანას—800 მან.

ამხ. გ. მგალობლიშვილი ოზურგეთის მაზრაში

ოზურგეთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. მგალობლიშვილმა შემოიარა მთლიანი კოლექტივიზაციის თითქმის ყველა თემები, სადაც ესაუბრებოდა გლეხობას, ეცნობოდა მუშაობას და სხვ.

გეგმა ვერ შეასრულეს

ოზურგეთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). ნაგომარის კოლექტივს გეგმით წელს უნდა გაეშენებია 120 ჰექტარი ჩაი, აქედან 60 ჰექტარი პირველ მაისამდე. დღემდე გაშენებულია მხოლოდ 88 ჰექტარი. ამგვარად გეგმა ვერ შესრულდა.

საწარმოო გეგმის შედგენა

ოზურგეთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). დამთავრდა შუხუთის მთლიანი კოლექტივის საწარმოო გეგმის შედგენა. გეგმით უნდა დაითესოს 800 ჰექტ. სიმინდი, 80 ჰექტარი ლომი, 5 ჰექტ. ბრინჯი, 5 ჰექტ. ბოსტანი, 100 ჰექტ. სოია (წმინდა ნათესი), 180 ჰექტ. სოია (გამოთესილი), 200 ჰექტ. ლობიო, 5 ჰექტ. არახისი, 21 ჰექტ. ლუფა, 5 ჰექტ. იონჯა, 2 ჰექტ. ვენახი და 80 ჰექტ. ჩაი. გაცხოველებული მუშაობაა მიწების მოსახნავად. გეგმა თავის დროზე შესრულდება.

ახალ წესდებაზე გადასვლა

ოზურგეთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). გურიანთის მთლიან კოლექტივმა დაამთავრა არტელის ახალ წესდების დამუშავება. გლეხობა აღტაცებით აწერდა ხელს წესდებას. 552 კომლიდან ხელი მოაწერა 530 კომლმა.

მუშების კვების საქმე მოუწესრიგებელია

ოზურგეთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ ოზურგეთის კოოპერატივის გამგეობას მისცა ავანსად 25.000 მანეთი მეურნეობის მუშების კვების მოსაწესრიგებლად. მიუხედავად ამისა, მუშების კვების საქმე ცუდათ არის დაყენებული.

მუშაობას ცრუ სპეცი ხელმძღვანელობს

ოზურგეთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომიულ ზედამხედველობას ეწევა ლ. ცეცხლაძე, რომელსაც ამ საქმის არაფერი გაეგება. ამ ცრუ სპეცმა დიდი ზიანი მიაყენა მეურნეობას. გადაბარული მიწების 90 პროცენტი უვარგისი აღმოჩნდა ჩაისათვის.

ამხ. ფ. მახარაძე და ივანოვ-კავკასკი ქუთაისის ოლქში

სამტრედია, 20 აპრილი. (საქ. კორ.). 19 აპრილს ქუთაისის ოლქში ჩამოვიდნენ ამხ. ფილიპე მახარაძე და ივანოვ-კავკასკი. მათ დაათვალიერეს სამტრედიის რაიონის სოფლები. მშრომელი გლეხობა აღტაცებით ხვდება მათ. ამხ. მახარაძემ კრებებზე ჩაატარა საუბრები გლეხებთან კოლექტივიზაციის საკითხებზე

დაუდევრობის შედეგი

ლანჩხუთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). ტრაქტორისტების დაუდევრობით დაზიანებულია ორი ტრაქტორი, რომლებიც ერთი კვირაა უპატრონოდ არის მიტოვებული მინდვრად. კოლონის ხელმძღვანელი არავითარ ზომებს არ იღებს ტრაქტორების შესაკეთებლად. ტრაქტორისტები მოკლებული არიან ხელმძღვანელობას, რაც საგრძნობ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე.

მუშაობა გაცხოველებით მიმდინარეობს

შუხუთი, 20 აპრილი. (საქ. კორ.). შუხუთში ხვნა გაცხოველებით მიმდინარეობს. ყოველდღე მინდვრად მუშაობს 150 უღელი ხარი. დღემდე მოხნულია 600 ჰექტარი. გეგმით უნდა დათესილიყო 50 ჰექტარი ჩაი. 17 აპრილისათვის დათესილი იყო 65 ჰექტარი. შრომის დისციპლინა კოლექტივებში სუსტია. ამ ბოლო დროს გახშირდა სამუშაოს თვითნებურად დატოვება.

ყველა კუთხეებიდან

სოფ. ილორში (სამტრედიის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო არტელში გაერთიანებულია გლეხობის 95 პროცენტი, მაგრამ ეს გაერთიანება მოხდა ძალდატანებით. გლეხებს აიძულებდნენ შესულიყვნენ კოლ-ში და მუქარით ეუბნებოდენ—თუ არ შეხვალ კოლ-ში კოოპერატივიდან ვერაფერს მიიღებო და სხვ. სათესლე ფონდის გაწერაში დაცული არ ყოფილა მტკიცე კლასობრივი ხაზი. თესლი ერთნაირად შეაწერეს როგორც საშუალო, ისე ღარიბ გლეხებს. არტელში განსაზოგადოებულია აგრეთვე საეზოვე მიწები, რაც არტელის წესდებით დაუშვებელია. არტელს არა ჰყავს სათანადო ხელმძღვანელი, რომელიც შესძლებდა წესდებაში გარკვევას და მის ცხოვრებაში გატარებას. ა.—მია.

ზესტაფონის რაიკოლმეურნეობათა თათბირზე, რომელსაც დაესწრო ამხ. ს. ჯუღელი, დღის წესრიგში იდგა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის და შრომის ანაზღაურების საკითხები. თათბირმა მოახდინა სამუშაოთა დახარისხება. გამომუშავებულ იქნა სამუშაოთა ნორმები და სამუშაოთა ტარიფიკაცია თანრიგების მიხედვით. შ. ლ—ია.

სოფ. სვიმონიანთ-ხევის (ერწო-თიანეთის რაიონი) სასოფლო-სამ. არტელის „ნამგლის" გამგეობის თავმჯდომარეთ არის ადგილობრივი მცხოვრები, ვაჭარი და მევახშე არჩილ სანიკიძე. სანიკიძე ანტისაბჭოთა ელემენტია. საჭიროა მისი საჩქაროდ მოხსნა. ხ—ლი.

ქორეთის თემის (საჩხერის რაიონი) არტელში ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშაობს ს. ფალავანდიშვილი, კაცი შეძლებული და ყოყოჩი. ფალავანდიშვილი მეტად უდიერად ეპყრობა არტელის წევრებს და უბრალო რამეზე აჯარიმებს. არც ამავე თემის მთლიანი კოლექტივის თავმჯდომარე ქელბაქიანია ფალავანდიშვილზე უკეთესი. ის მოხუც გლეხ-კოლმეურნეებს ასეთი სიტყვებით მიმართავს ხოლმე: „თქვენ, მოხუცებო, ყველანი ერთად უნდა გადაგყარონ კლდეზე"-ო. მის ბრძანებით კოლექტივის მუშა-საქონელი ერთ პატარა სადგომში შერეკეს, რის გამო სამი ხარი მოკვდა. ასეთი ვაჟბატონების „ხელმძღვანელობის" წყალობით კოლექტივებს დაშლა მოელის. კოლმეურნე.

დუშეთის რაიონში გაცხოველებული ხვნა-თესვა მიმდინარეობს. ტრიერში გატარებულია 20526 ფუთი თესლი და შეწამლულია 4694 ფუთი. 8 აპრილისათვის ბაზალეთში დაითესა 338 დესეტინა ქერი, ანუ გეგმის 67 პროცენტი, ჰოპორტში—116 დესეტინა ქერი და 12 დესეტინა ხორბალი, გეგმის 78 პროცენტი, მჭადიჯვარში—111 დესეტინა ქერი—80 პროც.; მლეთში (მთიულეთი) თესვა ჯერ არ დაწყებულა. აღსანიშნავია, რომ შემოდგომის ნათესები მოუვლელობისაგან ფუჭდება. ჩ—ნი.

კადრების მომზადება სახალხო მეურნეობისათვის

(საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება)

სახალხო მეურნეობის განვითარების რეკონსტრუქტიული პერიოდი, ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება და ქვეყნად კლასიური ბრძოლის გამწვავება სვამს პარტიის წინაშე სახალხო მეურნეობის კადრების მომზადების საკითხს, როგორც სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ გადამწყვეტ პრობლემას.

საქართველოს პირობებში, დიდი ტექნიკურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობის, კვალიფიციურ ტექნიკური და ხელმძღვანელი კადრების უკიდურეს ნაკლებობის, სპეციალისტთა ერთი ნაწილის ნეიტრალობის და თვით მტრულ განწყობილების გამო, ახალი პროლეტარული სპეციალისტების მომზადება კომპარტიის უდიდეს პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს:

ა) ხუთწლედის კადრებით უზრუნველყოფისათვის მუშაობა დაყენებულია უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად და მიმდინარეობს დაუსაბუთებელი გეგმებით, რეალურ მოთხოვნილებათა და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად.

ბ) საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-ის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილება ტექნიკური კადრების მომზადების შესახებ ხორციელდებოდა სრულიად არადამაკმაყოფილებლად, როგორც განსახკომისა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანოების, ისე პროფკავშირებისა და პარტიული ორგანიზაციების მიერ.

საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რაც შეიძლება უფრო წარმატებით შესრულების მიზნით ც.კ.-ის პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია:

1) ყველა პარტიულ, სამეურნეო, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციების და ახ. განათლების ორგანოების ყურადღების ცენტრში დასმულ იქნეს სახ. მეურნეობისათვის საჭირო ტექნიკური და სამეურნეო კადრების მომზადება; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დეფიციტიან სპეციალობებს მრეწველობისა და კოლმეურნეობათა მშენებლობის თვალსაზრისით.

წინადადება მიეცეს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და საქართველოს კ.პ. (ბ) წევრებს გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ ახალი კადრების მომზადების სათანადო შეუფასებლობასთან, როგორც მემარჯვენე გადახრის პრაქტიკულ გამოხატულებასთან.

2) დამტკიცებულ იქნეს არსებითად საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებისა და ახალი ტექნიკუმების მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრები.

3) რადგან ტექნიკუმების დასახული მშენებლობა და [illegible] სასწავლებლების მიერ სპეციალისტების გამოშვება ხუთწლედის საჭიროებათა სრულიად დაკმაყოფილებისათვის საკმარისი არ არის, წინადადება მიეცეს საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიწსახკომს და განსახკომს გადასინჯონ და გააზუსტონ ახალი სპეციალისტების მოსამზადებლად გათვალისწინებული ციფრები და შეუფარდონ ისინი სახ. მეურნეობის კონკრეტულ მოთხოვნილებებს, განსაკუთრებით მის ახალ დარგების მოთხოვნილებებს. საჭიროთ ჩაითვალოს 1930-31 წ. ინდუსტრიალური მიწადმოქმედ. სახ.-სამ. ტექნიკუმების ქსელის გაფართოვება და უმაღლეს სასწავლებლებისა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებთან ახალი ფაკულტეტებისა და განყოფილებების გახსნა დეფიციტიან სპეციალობათათვის.

4) კადრების მომზადების ხუთწლიანი გეგმის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას არა უგვიანეს 1930 წ. მაისისა ჩაატაროს სახ. მეურნეობის ყველა დარგებში უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა, სამეცნიერო-საგამომკვლევო დარგის მუშაკთა და იმ პრაქტიკოსთა აღრიცხვა, რომელთაც ტექნიკური თანამდებობანი უჭირავთ.

5) წინადადება მიეცეს განსახკომს, მიწსახკომს და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოსპონ ერთ და იმავე კურსზე მეორე წელს დარჩენის წესი და უზრუნველყონ სპეციალისტების გამოშვება დაწესებულ ვადებში სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტიდან, სას.-სამ. ინსტიტუტიდან, სახ. უნივერსიტეტიდან და ტექნიკუმებიდან, რათა უახლოეს წლებში გამოშვება უმაღლეს სასწავლებლებიდან ავიყვანონ ოთხწლიან სასწავლებლებში მოსწავლეთა საერთო რიცხვის 20 პროცენტამდე და სამწლიან სასწავლებლებში—25 პროცენტამდე.

6) დეფიციტის დაფარვისა და საჭირო კადრების სასწრაფოდ მომზადების მიზნით, 1930—31 სამოსწავლო წელს გადიდებულ იქნეს მიღება ყველა უმაღლეს სასწავლებლებისა და ტექნიკუმებში და მიღება სამოსწავლო წლის განმავლობაში წარმოებულ იქნეს ორჯერ

წინადადება მიეცეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და განსახკომს გამოიმუშაონ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მსმენელთა კადრებით შევსების საკონტროლო ციფრები ხუთწლედის ყველა წლებისათვის.

7) სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლების ვადათ დაწესებულ იქნეს 4 წელი, ხოლო ცალკე ფაკულტეტებსა და განყოფილებებში, [illegible] გამოხატული სპეციალიზაცია ახასიათებს, სწავლების ვადა შემოკლებულ იქნეს 3 წლამდე.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და უმაღლეს სამხატვრო ტექნიკური ინსტიტუტისათვის დაწესებულ იქნეს სწავლების სამწლიანი ვადა. ინდუსტრიალურ და სასოფლო-სამ. ტექნიკუმები გადაყვანილ იქნეს სამწლიან სწავლებაზე.

8) საწარმოო სპეციალისტების მოსამზადებელ სწავლებაში საწარმოო პრაქტიკის შემოღება-შეთანერგვის მიზნით სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამ. ინსტიტუტის, უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკური ინსტიტუტისა და სახ. უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის, ინდუსტრიალურ და სასოფლო-სამ. ტექნიკუმების მოსწავლენი 1930-31 წლის დასაწყისში გადაყვანილ იქნენ განუწყვეტელ საწარმოო პრაქტიკაზე, საწარმოო პრაქტიკის დროის გადიდებით 40-50 პროცენტამდე; შემოღებულ იქნეს თეორიული სწავლების და საწარმოო პრაქტიკის რიგრიგობითი წარმოება (მაგალითად,—1 თვე — სწავლება—1 თვე პრაქტიკა; 3 თვე სწავლება, 3 თვე პრაქტიკა და სხვ).

9) რადგან სკოლა—წარმოებისა და სკოლა—საბჭოთა მეურნეობის დაარსება ცდის სახით საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშა-ძალის მომზადებისათვის მიზანშეწონილად არის ცნობილი, დაევალოს კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებას, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და მიწსახკომთან ერთად დაამუშაონ 2 თვის განმავლობაში 1—2 სკოლა—წარმოებისა და სკოლა—საბჭოთა მეურნეობის მოწყობის საკითხი.

10) საშუალო ტექნიკურ სკოლისა და საწარმოს შორის უფრო მჭიდრო კავშირის უზრუნველსაყოფად საჭიროდ იქნეს ცნობილი 1930—31 სამოსწავლო წლიდან ინდუსტრიალური ტექნიკუმის გადაცემა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში და სასოფ. სამ. ტექნიკუმების—მიწსახკომის განკარგულებაში.

11) ორგანიზაციული და სამრეწველო ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, რ.ს.ფ.ს.რ-ის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთა და უმაღლეს სასოფლო-სამ. სასწავლებლების გამოცდილებისა და მიღწევათა გადმონერგვისათვის საქ. უმაღლეს სასწავლებლებში და მათთვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენის გაუმჯობესების მიზნით, აღძრულ იქნეს საკითხი საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-ის წინაშე საქ. სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ს.ს.რ. კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების მთავარმმართველობის განკარგულებაში გადაცემისა და საქ. სასოფ.-სამეურნეო ინსტიტუტის სსრ. კავშირის მიწსახკომის განკარგულებაში გადაცემის შესახებ.

12) წინადადება მიეცეს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიწსახკომს, კოლმეურნეობათა ცენტრს და სხვა სამეურნეო ორგანოებს ყოველმხრივ განამტკიცონ საწარმოების, ტრესტების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობის კავშირი უმაღლეს სასწავლებლებთან და ტექნიკუმებთან, და პასუხისმგებლობა საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობისათვის მთლიანად დააკისრონ სამეურნეო ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს; სამეურნეო ორგანოების სამეცნიერო-საგამომკვლევო ინსტიტუტები და ლაბორატორიები გამოიყენონ უმაღლესი სასწავლებლების და ტექნიკუმების სასწავლო მუშაობისათვის, ხოლო ეს უკანასკნელი კი—სამეურნეო ორგანიზაციების ტექნიკური ამოცანების დამუშავებისათვის.

13) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ (განსახკომსა და მიწსახკომთან ერთად) უახლოესი თვის განმავლობაში გამოიმუშავოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის გეგმები დამოუკიდებელი ინსტიტუტების შესაქმნელად (მაგ., მედიკური, პედაგოგიური, ეკონომიური) და სასოფლო-სამ. ინსტიტუტის რეორგანიზაციის გეგმები—იმ ფაკულტეტების რიცხვის გასადიდებლად, რომელნიც ამზადებენ სპეციალისტებს მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედების ყველა დარგებისათვის; ამ მიზნით გატარებული იქნეს სპეციალიზაცია პირველი კურსიდან (ინჟენერ-აგრონომები და სხვ.)

14) საქ. განსახკომმა სასწრაფო წესით გადაიყვანოს ყველა უმაღლესი სასწავლებლები ერთმმართველობაზე და მმართველობის (რექტორები, დეკანები და სხვ.), არჩევითი წესი შესცვალოს დანიშვნის წესით. ამავე დროს შექმნას მათთან საბჭოები პროფკავშირების, სამეურნეო ორგანოების, პროფესურისა და სტუდენტობის პასუხისმგებელ წარმომადგენელთა შემადგენლობით.

15) წინადადება მიეცეს განსახკომს მოახდინოს მუშფაკების ორგანიზაცია მათი სპეციალიზაციის და მიზნობრივი დანიშნულების პრინციპის მიხედვით და მიამაგროს ისინი სათანადო სასწავლებლებს; ამასთან ერთად მომავალში გაადიდოს მუშფაკის განყოფილებათა რიცხვი სამრეწველო რაიონებში, დაწესებულ იქნეს მუშფაკებში მუშათა და მუშაქალთა მიღება არა ნაკლებ 90 პროცენტის რაოდენობით, საჭიროთ იქნეს ცნობილი 1930-31 სამოსწავლო წლის განმავლობაში სასოფლო-სამ. მუშფაკის დაარსება საქართველოს სახ.-სამეურნეო ინსტიტუტთან და ამ მუშფაკში მისაღებათ 75 პროც. მაინც შერჩეულ იქნეს მუშების, მოჯამაგირეებისა და კოლმეურნეებისაგან.

16) კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ განსახკომსა, სახ. მეურნეობის უმ. საბჭოსა და მიწსახკომთან ერთად გადასინჯოს საშუალო ინდუსტრიალურ-ტექნიკური და სახ.-სამ. განათლების სისტემა და სწავლა დამთავრებულ სპეციალისტების მიზნით მოახდინოს ყველა ტექნიკუმების დარაიონება და მტკიცე სპეციალიზაცია სახ. მეურნეობის ცალკე დარგების მოთხოვნილებასთან შეფარდებით

17). წინადადება მიეცეს განსახკომს და სახალხო განათლების ყველა განყოფილებებს, მიიღონ გადამწყვეტი ზომები მეორე საფეხურის სკოლების მოწაფეთა სწავლა-მომზადებისა და მათი სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მუშების, მოჯამაგირეების და გლეხთა შვილების პროცენტის გადიდებით და აგრეთვე მოწაფეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით (განსაკუთრებით მუშათა რაიონებში), გააფართოვონ მუშათა რაიონებში საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელთა ქსელი და გადააკეთონ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები კოლმეურნეობათა ახალგაზრდობის სკოლებად.

18) საკმაოდ პროლეტარულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობით გამსჭვალულ სოციალისტურ მეურნეობის საქმისადმი ერთგული სპეციალისტების მომზადების მიზნით წინადადება მიეცეს საქართველოს კ პ. (ბ) საოლქო და სამაზრო კომიტეტებს და კომკავშირის ორგანიზაციებს ყოველმხრივ გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ტექნიკუმების მოწაფეთა შორის.

წინადადება მიეცეს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიწსახკომს დაამუშავონ საშუალო და უმაღლესი მომზადების დაუსწრებელ მომზადების სისტემა სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და ცალკე ტექნიკუმებთან.

19) განსახკომმა მიიღოს გადამწყვეტი ზომები უმაღლეს სასწავლებლებისა და ტექნიკუმების საპროგრამო-მეთოდიურ ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად და მათთვის ახალი გეგმების და პროგრამის მიხედვით შედგენილ წიგნებით და სამოსწავლო სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად. მოწესრიგებულ იქნეს ტექნიკური და აგრონომიულ ლიტერატურის გამოწერა უცხოეთიდან და აგრეთვე გაუმჯობესებულ იქნას უცხო ენების შესწავლის საქმის დაყენება უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

20). წინადადება მიეცეს განსახკომს რიცხვობრივად გააფართოვოს და გააუმჯობესოს ახალი სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში შეუთავსებლად ჩაბმულ მასწავლებელთა რიცხვი, შეავსოს მასწავლებელთა კადრები საწარმოებსა და სამეურნეო სამუშაოში ჩაბმულ სპეციალისტებით. ამასთან ერთად გააძლიეროს ბრძოლა რეაქციონურ-შოვინისტურად განწყობილ პროფესურის წინააღმდეგ და უფრო ენერგიულად მოამზადოს და დააწინაუროს ახალგაზრდა მეცნიერული ძალები (ასისტენტები) იმ მუშებისა და კომუნისტებისაგან, რომლებთაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები.

21). დაევალოს სამდივნოს მიიღოს ზომები უმაღლეს სასწავლებელთა გასაძლიერებლად სამეურნეო-ადმინისტრატიულ მუშაკებით.

აღინიშნოს მუშათა [illegible] ერთგვარი გადიდება 1929-30 წ. მიღებულთა შორის; მუშების და მუშის შვილების რაოდენობა სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 1930-31 წ. მისაღებთა შორის აყვანილ იქნეს 70 პროცენტამდე მაინც; სახ.-სამ. ინსტიტუტში მუშების, მოჯამაგირეების, ღარიბ გლეხების, კოლმეურნეების და ამ კატეგორიის მუშათა შვილების პროცენტი აყვანილ იქნეს 75 პროცენტამდე მაინც, ხოლო პროლეტარული ნაწილი სახ. უნივერსიტეტისა და უმ. სამხატვრო ტექნიკურ ინსტიტუტისა გადიდებულ იქნეს 70-მდე მაინც. ამავე დროს გაძლიერებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებისა და ტექნიკუმების გაწმენდა მტრულად განწყობილ ელემენტებისაგან—მოსწავლეთა შემადგენლობის შესწავლისა და შემოწმების გზით.

მოწონებულ იქნეს სამდივნოს გადაწყვეტილებანი 620 მუშის, 100 მოჯამაგირის და კოლმეურნის, 480 კომკავშირელისა და პარტიის წევრის მომზადების შესახებ სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სასოფლო-სამ. და სამ. ინსტიტუტებში შესასვლელად.

22). წინადადება მიეცეს საქ. პროფკავშირების საბჭოს ფრაქციას და პროლეტ-სტუდენტთა ცენტრალურ ბიუროს, სასწრაფოდ მოახდინონ პროფესიონალურ და სტუდენტთა ორგანიზაციების მუშაობის რეორგანიზაცია. გაანთავისუფლონ ისინი ადმინისტრატიულ-პედაგოგიური ფუნქციებისაგან და აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა სტუდენტთა ორგანიზაციების მხრივ ადმინისტრატ. ფუნქციებში ჩარევის წინააღმდეგ.

23) წინადადება მიეცეს საქ. კომპ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტს და უმაღლეს სასწავლებელთა პარტორგანიზაციებს გააძლიერონ მუშაობა სტუდენტობის პოლიტიკურ აღზრდის დარგში—მიაღწიონ პარტიულ-კომკავშირული შემადგენლობის შრომის დისციპლინის და სწავლის ეფექტივობის საფუძვლიან გაუმჯობესებას და აწარმოონ ენერგიული მუშაობა სტუდენტთა ორგანიზაციების მხრივ ადმინისტრატიულ ფუნქციებში ჩარევის ლიკვიდაციით. პარტორგანიზაციებმა განახორციელონ პარტიული გავლენა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობა და არ ჩაერიონ მმართველობის დეტალებში და ადმინისტრაციის უშუალო განკარგულებებში

24). წინადადება მიეცეს საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტს სამეცნიერო მუშაკთა სექციის და საქ. საინჟინერო-ტექნიკურ ძალთა სასექციათაშორისო ბიუროს ფრაქციას მიიღონ ზომები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობის გასაუმჯობესებლად სამეც. პედაგოგიურ კადრთა შორის (პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა განხილვა, მათ შორის—მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელ წრეების მოწყობა და სხვ.). საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ფრაქციამ და აგიტაციისა და მასიური კამპანიების განყოფილებამ უახლოეს დროში გამოიმუშაონ ღონისძიებანი სპეციალისტა შორის პოლიტიკურ პროფესიონალურ მუშაობის გასაუმჯობესებლად ს.კ.პ. (ბ) ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

25). სტუდენტობის უკიდურესად არადამაკმაყოფილებელი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროთ იქნეს ცნობილი 1930-31 წ. უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთა და უმაღლეს სასოფლო-სამ. სასწავლებელთა სტუდენტების 70 პროცენტის და ტექნიკუმები მოწაფეთა 50 პროცენტის უზრუნველყოფა სახელმწიფო და სამეურნეო სტიპენდიით; უზრუნველყოფილი იქნენ აგრეთვე კონტრაქტაციის იმავე წესით სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სტუდენტების 25 პროც., სასოფლო,-სამ. ინსტიტუტის სტუდენტების 15 პროც., ინდუსტრიალურ ტექნიკუმების მოწაფეთა 15 პროც. და სახ.-სამ. ტექნიკუმების მოწაფეთა 10 პროც.

26). წინადადება მიეცეს სახკომსაბჭოს ერთი კვირის განმავლობაში განსაზღვროს კადრების მომზადების 5 წლიან გეგმასთან შეფარდებით დაკონტრაქტებულთა რაოდენობა, რომელიც სავალდებულო იქნება სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოებისათვის.

27). სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო-სამ. ინსტიტუტისა და ტექნიკუმების უმეტესი ნაწილის სამოსწავლო მოწყობილობათა (კაბინეტები, ლაბორატორიები და სხ.) სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობის გამო, საჭიროთ იქნეს ცნობილი, რათა განსახკომმა, მიწსახკომმა და სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოითხოვონ სპეციალური სახსრები ამ საჭიროებისათვის 1930-31 საბიუჯეტო წელს.

28). სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო-სამ. ინსტიტუტის და ტექნიკუმების მეტი ნაწილის სასწავლო შენობათა უზრუნველყოფის მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობის გამო, რაც დიდ ხარჯს მოითხოვს, აღძრულ იქნეს ს.კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წინაშე საკითხი კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო სახსრების გაღების შესახებ.

29). წინადადება მიეცეს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყოველ მხრივ გააძლიეროს უახლოესი წლების განმავლობაში საწარმოო პრაქტიკულ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურებულ მუშების მომზადება, მათი წინსწრევით მაღალ სახელმძღვანელო თანამდებობებზე და ისეთი მდგომარეობის შექმნით, რომ მათ შეიძლოთ პრაქტიკული ცოდნის სისტემატიური შევსება და თეორიული განათლების შეძენა. 3 წლის განმავლობაში გადაამზადოს მრეწველობაში და ტრანსპორტზე ტექნიკურ თანამდებობაზე მომუშავე —მუშა-პრაქტიკოსების მთელი მასა.

30) წინადადება მიეცეს მიწსახკომს, კოლმეურნეობის და საადგილ-მამულო ორგანოებს გააძლიერონ სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ პრაქტიკოსების—კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობის და საადგილ-მამულო ორგანოების მუშაკთა სისტემატიური გადამზადება.

მიწსახკომმა საქ. განსახკომთან ერთად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სასოფლო-სამ. ტექნიკუმებთან გამართოს სასწრაფო კურსების ქსელი აგრონომიული ცოდნით აღჭურვილ კოლმეურნეობათა მუშაკების მოსამზადებლად იმ ანგარიშით, რომ უახლოეს წლის განმავლობაში დააკმაყოფილოს კოლმეურნეობათა მშენებლობის მოთხოვნილება ამ კადრებზე.

ამავე დროს, კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის საჭირო კადრების დეფიციტის დასაფარავად საჭიროთ ჩაითვალოს სახ.-სამ. განხრიანი ათწლედების რიცხვის გადიდება, მათ შორის კოლმეურნეობათა ანგარიშწარმოების დარგშიაც.

მეორე საფეხურის სკოლების, ტექნიკუმების და სხვათა პროგრამის განხილვის დროს მიღებულ იქნეს მხედველობაში რუსული ენის სწავლების გაძლიერება.

31) სპეციალისტების (ინჟენრების, აგრონომების, ტექნიკოსების და სხვ). ფაქტიური შემადგენლობის კვალიფიკაციის სისტემატიური გაძლიერებისა და მათთვის ტექნიკისა და მეცნიერების უახლოეს მიღწევათა გაცნობის მიზნით, საჭიროთ ჩაითვალოს მათი პერიოდული ხელახალი კვალიფიკაცია და ცალკე სპეციალისტებისა და სამეცნიერო ძალების (ასისტენტები და სხ.). ს.ს.რ. კავშირისა და უცხოეთის ცენტრალურ რაიონებში სამეცნიერო მივლინება.

დაევალოს სახ. საგეგმო კომისიას სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიწსახკომთან ერთად გამოიმუშავოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში ჩაბმული სპეციალისტების გადამზადების სპეციალური გეგმა.

32) წინადადება მიეცეს საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიწსახკომს, შრომის სახ. კომისარიატს, კოლმეურნეობათა ცენტრს და სოფლის კავშირს გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა არსებულ კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის, ახლების დაწინაურებისა და სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უმაღლესი სამხატვრო-ტექნიკური ინსტიტუტისა და სახ. უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა გამოყენებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲛᲐᲠᲐ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲘ—ᲓᲠᲝᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲛᲝᲕᲙᲘᲓᲝᲗ ᲮᲔᲚᲘ

დანაკარგებთან ბრძოლა ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲡᲘᲡᲢᲔᲛᲝᲓ ᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ

დაუზოგავად ამოვფხრათ უყაირათობა და მუშაობის დახავსებული მეთოდები

ᲛᲘᲣᲢᲔᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲑᲐ

დანაკარგებთან ბრძოლის ერთთვიური ყველა საწარმოებში საჭირო აქტივობით არ მიმდინარეობს. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს გადაწყვეტილება დანაკარგების გამოფენის მოწყობის შესახებ ბრკოლდება უმთავრესად იმის გამო, რომ დღემდე მრეწველობის თითქმის არც ერთ დარგს არ წარმოუდგენია დანაკარგების ნიმუში. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ სატყეო მრეწველობა და ისიც არა მთლიანად: სატყეო მრეწველობის მხოლოდ რამდენიმე ფაბრიკა-ქარხანამ გადმოგზავნა დანაკარგების ნიმუშები გამოფენისათვის. ამავე დროს უდავოა, რომ არ არის არც ერთი საწარმო, სადაც დანაკარგებს ადგილი არა აქვს. მარტო ტყავის მრეწველობა რათ ღირს, სადაც ყოველდღიურად ილუპება ისეთი დეფიციტიანი საქონლის დიდძალი ჩამონაჭრები, როგორიცაა ტყავი და ლანჩები.

ადგილობრივი ორგანოები უმეტეს შემთხვევაში ჯერ კიდევ არ შესდგომიან საქმეს. ფაბქარხკომებს, საწარ. თათბირებს და რაციონალიზაციის ბიუროებს ბევრგან სძინავთ. დანაკარგებთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ გადაქცეულა მძლავრ მასიურ კამპანიად.

არც ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები იჩენენ ინიციატივას. იშვიათია ისეთი საწარმო, სადაც დანაკარგებთან ბრძოლაში პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციები საჭირო ხელმძღვანელობას უწევენ ფაბქარხკომებს. უმეტეს შემთხვევაში საქმე მოხსენებებისა და სათანადო რეზოლიუციებს იქით არ წასულა. არის საწარმოები, სადაც ორგანიზაციულ სამზადისს ერთთვიურის ჩასატარებლად არაჩვეულებრივ დიდი დრო მიაქვს.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დანაკარგებთან ბრძოლას ჩვენი მრეწველობისა და, საერთოდ, მთელი სახალხო მეურნეობის წარმატებისათვის. ამ მიზეზით დანაკარგებთან ბრძოლა არ უნდა შემოვფარგლოთ მარტო მრეწველობით: **კამპანია ენერგიულად უნდა გაიშალოს სოფლადაც; კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში, ხე-ტყის დამამზადებელ რაიონებში და სხვ.** დღემდე ამ მიმართულებით თითქმის არაფერი გაკეთებულა. (ცნობილია, თუ რამდენი სიმდიდრე ილუპება ხე-ტყის მასალის დამზადების დროს. ხშირად ეს ხდება უბრალო დაუდევრობით, სამეურნეო აპარატის მოუქნელობისა და ბიუროკრატიზმის გამო. მაგალითად, დიდძალი მასალა იკარგება ხეების უხეიროთ მოჭრის, მათი მორებად დახერხვისა და გადაზიდვის დროს. ამას ადგილი აქვს ხე-ტყის დამამზადებელ ყველა რაიონში. დანაკარგებით გამოწვეული ზარალი დიდია აგრეთვე საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს ველარ გაგრძელდება. უყაირათო მუშაობას, სახალხო დოვლათისადმი უყურადღებობას, გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. უნდა ვისწავლოთ და გავამტკიცოთ შრომის კულტურული რაციონალური ფორმები, როგორც ამას მოითხოვს სოციალისტური მშენებლობა.

დაუყოვნებლივ უნდა გამოვამჟღავნოთ ყველა ისინი, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ აბრკოლებს დანაკარგებთან ბრძოლას. დანაკარგებთან ბრძოლის ერთთვიურმა მტკიცე საძირკველი უნდა ჩაუყაროს შრომის ახალ, ნამდვილ ბოლშევიკურ მუშაობის კულტურას.

ᲓᲠᲝᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲗ

ყველა ტრესტების საწარმოებთან ჩამოყალიბდა დანაკარგებთან მებრძოლი მუშათა შტაბები, ჩატარდა საუბრები მუშებს შორის დანაკარგებთან ბრძოლის პრაქტიკულ საკითხებზე, საწარმოებში დამთავრდა სხვადასხვა სახის დანაკარგების აღრიცხვა. ადგილობრივი რაციონალიზატორები შეუდგნენ პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებას.

წინასწარი სამზადისი უკვე ჩატარდა და ერთთვიურიც დაწყებულია: აბრეშუმის ტრესტის, ტყავის ტრესტის და თამბაქოს ტრესტის საწარმოებში. 16 აპრილიდან ერთთვიური დაიწყო ლითონის ტრესტის საწარმოებშიც.

მრეწველობის დარგში დანაკარგებთან ბრძოლისათვის **სამზადისი სუსტად მიმდინარეობს ქიმიური კომბინატის საწარმოებში.** ქიმკომბინატის ხელმძღვანელებმა ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ შეიძლეს, რომ ამ საქმისათვის სათანადო ყურადღება მიექციათ.

შედარებით სუსტად მიმდინარეობს წინასწარი სამზადისი **სამრეწველო მშენებლობის ხაზითაც.** ამ დარგში დანაკარგებთან ბრძოლის საქმეს ხელმძღვანელობს საქ. „სახმრეწმშენი". არავინ იცის როდის დაიწყება ერთთვიური სამრეწველო მშენებლობაში. ამავე დროს საამშენებლო სეზონი უკვე გაცხოველებით მიმდინარეობს.

ᲡᲐᲘᲛᲞᲝᲠᲢᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲣᲥᲛᲐᲓ ᲓᲒᲐᲡ

ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲭᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ

ტყავის მრეწველობაში სხვა დანაკარგებთან ერთად უდიდესი ადგილი უჭირავს ტყავების ჩამონაჭრებს და ე.-წ. სადაბაღო ნარჩენებს. დღემდე, საქართველოს ტყავის მრეწველობის ყველა ეს ნარჩენები, რომლებიც ყოველწლიურათ ათასეულ ფუთებს უდრიან — ნაგავში ყრებოდა. ტყავის ქარხნების მახლობლად ეხლაც არის მთელი გორაკები ასეთი ნარჩენებისაგან.

სპეციალისტთა გადმოცემით ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი არც ერთი საშუალება, რომ ტყავის ნარჩენები გამოყენებულ იქნან რაიმე სხვა სამრეწველო მიზნებისათვის. ამავე დროს გამორკვეულია, რომ ეს ნარჩენები წარმოადგენენ საუკეთესო საწვავ მასალას. სატყეო მრეწველობის დარგში ჩატარებული ცდებიდან გამოირკვა, რომ ხის ნახერხებისაგან სპეციალური მანქანის წყალობით შესაძლებელია საწვავი ბრიკეტის დამზადება, რომელიც შეიცავს თითქმის ორჯერ მეტი რაოდენობის სითბოს ენერგიას, ვიდრე უბრალო ნახერხი. ასეთი მანქანა სატყეო მრეწველობის ტრესტს ორი ცალი აქვს. ერთი ამჟამად უკვე ამუშავებულია მცხეთის სახერხ ქარხანაში, ხოლო მეორე უქმათ არის.

ამიტომ დაისვა საკითხი ტყავის ნაჭრებისა და სადაბაღო ნარჩენებისაგან საწვავი ბრიკეტების დამზადების შესახებ. საამისოთ საჭირო იქნება მთელი რიგი ცდების ჩატარება, რისთვისაც აუცილებელია საბრიკეტე მანქანა.

ტყავის ტრესტმა ამ საკითხს—განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და მიიღოს ზომები, რომ უცხოეთიდან შემოტანილი ის მანქანა, რომელიც ამჟამად უსარგებლოთ ძევს გამოყენებულ იქნეს.

ᲮᲔᲔᲑᲘᲡ ᲣᲮᲔᲘᲠᲝ ᲛᲝᲭᲠᲘᲗ

ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲘᲙᲐᲠᲒᲔᲑᲐ

დანაკარგებთან ბრძოლის მიზნით ამიერკავკ. სატყეო მრეწველობის ტრესტმა ხელშეკრულება დასდო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან, რომ უკანასკნელმა საკუთარი ძალებით ჩაატაროს ცდები ხეების მოჭრის მექანიზაციის მოსაწყობათ საქართველოს ტყეებში. გადაწყვეტილია გამოყენებულ იქნეს უცხოეთიდან შემოტანილი სპეციალური კონსტრუქციის წვრილი ხერხები, რომელთა საშუალებით ხე იჭრება მიწის გასწვრივ.

შესაფერი ცდები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა უნდა ჩაატაროს მიმდინარე ზაფხულის განმავლობაშივე.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲐᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ

საქ. ს. მ. ი. ს. შრომის ეკონომიკის განყოფილებამ დაამუშავა ცნობები მიმდინარე ხუთწლედის განმავლობაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტების საჭიროების შესახებ. მიღებული ცნობებიდან ირკვევა, რომ ამჟამად საქართველოში მუშაობს შემდეგი რაოდენობის სპეციალისტები: **სამთამადნო დარგში** — 66 კაცი, **მეტალურგიულ მრეწველობაში**—3 კაცი, **ლითონების ტეხნოლოგიაში**—74, **მანქანათმშენებლობაში**—87, **მექანიკისა და სითბოს ტეხნიკის დარგში**—78, **ელექტრო-ტეხნიკურ მრეწველობაში** (ქარხნები და სახელოსნოები) —90 კაცი, **საფეიქრო მრეწველობაში**—109, **ქიმიურ მრეწველობაში**—88, **გემო-კვების წარმოებებში**—20, **სატყეო მრეწველობაში**—54 და **საამშენებლო მრეწველობის დარგში**—160 კაცი.

სულ ამგვარად, საქართველოს ყველა წარმოებებში მუშაობს 829 სპეციალისტი. აქედან 332 ინჟინერ-ტეხნიკოსია, უმაღლესი განათლებით, ხოლო დანარჩენები საშუალო ან დაბალი განათლებით არიან. გარდა ინჟინერ-ტეხნიკოსებისა ამავე წარმოებებში მუშაობს აგრეთვე 546 ეკონომისტი, მათ შორის მხოლოდ 222 კაცია უმაღლესი განათლებით.

ხუთწლედის ბოლომდე, ე. ი. 1932-33 წლისათვის, საქართველოს მრეწველობის სპეციალისტებით უზრუნველსაყოფად საჭირო იქნება მომზადებულ იქნენ 2.002 სპეციალისტი მრეწველობის ცალკე დარგებისათვის და 911 ეკონომისტი. ხუთწლედის ბოლოსთვის ყველაზე მეტი მოთხოვნილება იქნება—ქიმიურ **მრეწველობაში**, რისთვისაც მომზადებული უნდა იქნეს **406 სპეციალისტი**, შემდეგ საამშენებლო მრეწველობის დარგისთვის უნდა მომზადდეს **889 სპეციალისტი** და ელექტრომრეწველობისათვის—მომზადებული უნდა იქნეს **249 სპეციალისტი**.

ᲢᲧᲔ ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲢᲧᲔᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲐᲬᲔᲬᲘᲚᲘᲐ. — ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ 22.800 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. — 99.506 ᲙᲣᲑ. ᲛᲔᲢᲠᲘ ᲨᲔᲨᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ 54.502 ᲙᲣᲑ. ᲛᲔᲢᲠ. ᲨᲔᲨᲐ. —ᲣᲧᲐᲘᲠᲐᲗᲝᲑᲐ, ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲖᲔᲠᲔᲚᲔᲓ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲔᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲗᲔᲚ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

გასული წლის ნოემბერში საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტმა მიიღო რამოდენიმე ცნობა იმის შესახებ, რომ ფოთის დამამზადებელ რაიონში ყველაფერი რიგზე არ იყო. ტრესტმა გამოყო სარევიზიო კომისია ფოთის რაიონში შექმნილი მდგომარეობის გამოსაკვლევათ. რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ფოთის რაიონში არეული იყო ანგარიშწარმოება, გამეფებული იყო უსისტემობა, უწესოთ სწარმოებდა ავანსების გაცემა მუშებისათვის და სხვ.

რევიზია დამთავრდა დეკემბერში. ტრესტს არავითარი ზომები არ მიუღია ამ უმსგავსოებათა აღმოსაფხვრელად. ფოთის რაიონის წახალისებული მუშაკები გათამამდნენ. ავანსების თანხა ერთი ორათ გაიზარდა, ჯამაგირზე აყვანილი უსაქმური ხალხის რიცხვი გამრავლდა, გახშირდა შეშის უყაირათოდ ხარჯვა და სხვ. ნოემბერში დაწყებულმა რევიზიამ, სხვათა შორის, ისიც გამოარკვია, რომ მთელ დამამზადებელ რაიონში არსად აღმოჩნდა 22.000 კუბ. მეტრი შეშა, რომელიც უნდა ყოფილიყო.

ათისთავები და ქვერაიონების ხელმძღვანელები აქ საქმეებს აჭახრაკებდნენ ისე, როგორც თითონ მოეპრიანებოდათ, ხოლო კანონებისა და არსებული წესების შესრულებას არავინ აქცევდა ყურადღებას. ამის შედეგათ, აღმოჩნდა, რომ მარტო ერთ ათისთავს ამბროსი ჯოჯუას ანგარიშ ქვეშ გაცემული თანხიდან დააკლდა 22.800 მანეთი. მას ანგარიშ ქვეშ მიცემული ჰქონია სულ 36.974 მანეთი.

გარდა ამისა, სატყეო მასალათა დამზადებაზე მომუშავეთათვის დასარიგებელი სურსათ-სანოვაგის განაწილებაშიაც რაიონში ადგილი ჰქონდა დაუშვებელ გულგრილობას და უყაირათობას. ჯერ ერთი, რომ ცენტრიდან მუშებზე დასარიგებლათ გაგზავნილ სურსათ-სანოვაგეს ინახავდნენ უყურადღებოთ, რის გამოც ლპებოდა და უსარგებლოთ იყრებოდა სურსათის დიდი ნაწილი. იყო, მაგალითად, შემთხვევა, რომ ცუდათ შენახვის გამო დალპა 28 ფუთი სიმინდი, რომელიც გადაყრილ იქნა. მიღებული სურსათ-სანოვაგის აღრიცხვას არავინ აწარმოებდა. პროდუქტების დარიგება მუშებისათვის ხდებოდა არა თვითღირებულების ფასებში. სურსათ-სანოვაგის დარიგებას აწარმოებდა მოქ. სუსკირია, რომელსაც სულ გაუცია 21.059 მანეთის საქონელი, ხოლო აქედან შემოსული თანხის ანგარიშში კი ჩანს მარტო 19.911 მანეთი. დანარჩენი თანხა სად გაქრა არავინ იცის.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲓᲐ

ასეთ პირობებში შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ფოთის დამამზადებელმა რაიონმა შეასრულა საწარმოო გეგმა. უყაირათობა და გულგრილობა, რომლის თავიდან აშორება ვერ მოახერხა რაიონის გამგემ ამხ. დოლბაიამ—შეუძლებელ ხდიდა საწარმოო გეგმის შესრულებისათვის ნორმალურ მუშაობას.

მთელ ფოთის რაიონს 1928-29 სამეურნეო წლის განმავლობაში და მიმდინარე წლის პირველ აპრილამდე, ე. ი. წელიწად ნახევარში უნდა დაემზადებია 99.506 კუბიკური მეტრი შეშა, ხოლო ფაქტიურათ დამზადებულია მარტო 54.502 კუბიკური მეტრი.

შეშის დამზადების საქმეშიაც ირკვევა აღმაშფოთებელი გულგრილობა. რაიონში ხშირია ისეთი ადგილები, სადაც დამზადებული შეშის გამოსატანათ საჭირო ხდება ჭომბების გაღება. რომ ასეთ ადგილებზე ურმებს უჭირო ადვილათ ევლო, ჭომბებს ამაგრებდნენ დამზადებული მასალით. ამ დახარჯული მასალის შესახებ არავითარი დოკუმენტი არ იწერებოდა. არ სწარმოებდა აგრეთვე მანქანების ასამუშავებლათ დასაწვავი შეშის აღრიცხვა. საერთოდ ანგარიშწარმოებისა და აღრიცხვის საქმეს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა.

ავანსების მიღებაში ბუხჰალტერიის შტატიც არ ჩამორჩებოდა სხვებს. ბუხჰალტერიაში მომუშავე 7 კაცზე გაცემულია ავანსათ 2.900 მანეთი, მაგრამ ავანსის დაფარვა არ ხდებოდა თავის დროზე.

იყო ასეთი **შემთხვევაც:** ბუხჰალტერიას უნდა შეემუშავებია რაიონის მუშაობის ბალანსი. ბუხჰალტერმა ზებიამ, რომ ბალანსი კარგი გამოსულიყო, მასში შეიტანა რამოდენიმე არა სწორი ცნობა.

ᲕᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲝᲡ

პირველ რიგში საჭიროა, რომ სატყეო მრეწველობის ხელმძღვანელმა ორგანომ მიიღოს სასწრაფო ღონისძიებები რაიონში მომუშავეთა შემადგენლობის გასაჯანსაღებლათ. დაუყოვნებლივ უნდა იქნენ მოხსნილი სამუშაოდან ყველა ის პირები, რომლებიც თავის უთაურობით წყალში ყრიდნენ სახალხო ქონებას. საჭირო არის მოიხსნას სამუშაოდან ჭალადიდის ქვეუბნის გამგე მოქ. **თომა ჩაჩიბაია**, რომლის უბანშიაც ჰქონდა ადგილი თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უმსგავსოებებს. უნდა მოიხსნან აგრეთვე სამუშაოდან ათისთავები—**ვენე ჯიქია და ლადო დარჯანია**, მოანგარიშე—**არსენ გაბრავა** და **ბუხჰალტერი ტერენტი გაბილაია**. უნდა დაისაჯოს აგრეთვე ბუხჰალტერი ზებია, რომელიც ასე „ორიგინალურად" ადგენს ბალანსებს. სურსათ-სანოვაგის ცუდათ შენახვისათვის და გულგრილობისათვის პასუხი უნდა მოეთხოვოთ ექსპედიტორებს—**მოქ. ბარნაბ გაბუნიას და ჯვებე სუსკირიას.**

ტ—ძე.

ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბი შეუდგა დანაკარგებთან ბრძოლის შესახებ დიდი მუდმივი გამოფენის მოწყობას. კლუბის შუამდგომლობის თანახმად საქ. ს. მ. უ. საბჭომ დაავალა ყველა ქვემდებარე ტრესტებს და ცალკე წარმოებებს, რომ მათ დაუყოვნებლივ გადმოგზავნონ კლუბში გამოფენისათვის იმ დანაკარგების ყველა ნიმუშები, რასაც ადგილი აქვს მათ წარმოებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ-ჯერობით გამოფენისათვის საჭირო ექსპონატებს, როგორც თბილისის, ისე პროვინციის საწარმოები ძალიან ცოტა და უმნიშვნელო რაოდენობით გზავნიან და ეს აბრკოლებს გამოფენის გახსნასაც.

ამჟამად **გამოფენაზე მიღებულია სატყეო მრეწველობის დანაკარგთა ზოგიერთი ნიმუშები, ხოლო მრეწველობის დანარჩენი დარგები სრულებით არ არიან წარმოდგენილი.** დანაკარგებთან ბრძოლის შესახებ ყველაზე უკეთესადაა წარმოდგენილი ბორჯომის საკასრე ქარხანა.

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

მიმდინარე წელს საგრძნობი გაცხოველება დაეტყო ტყიბულის ქვა-ნახშირის წარმოებას. წარსულთან შედარებით მაღაროებს მნიშვნელოვანი მიღწევებიც აქვს. გეგმის გადაჭარბება თვალსაჩინო იყო ჯერ კიდევ პირველ კვარტალში, ხოლო მეორე კვარტალმა წინ წაიწია როგორც პროდუქციის დამზადების, ისე თვითღირებულებისა და რეალიზაციის საქმეში.

პირველი ნახევარი წლის საწარმოო-ფინანსიური გეგმის შესრულება შემდეგ სურათს იძლევა:

— გეგმით უნდა დამუშავებულიყო 45.000 ტონა ქვა-ნახშირი, დამუშავდა კი—48.258 ტონა, ანუ გეგმა შესრულებულია 107,2 პროცენტით.

თვითღირებულება ტონა ქვისა გეგმით გათვალისწინებული იყო 12 მან. 55 კ., ფაქტიურად დაჯდა—12 მან. და 43 კ., ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან მუშათა ხელფასი გაიზარდა საშუალოდ 42 კაპეიკით, რაც 12,9 პროცენტს უდრის, ხოლო მარტიდან მოსამსახურეთაც გაუდიდდა ჯამაგირი. ეს ხარჯები დაერიცხა თვითღირებულებას. მიუხედავად ამისა თვითღირებულების დაკლება მაინც მიღწეულ იქნა.

აღსანიშნავია, რომ წარსული წლის პირველ ნახევართან შედარებით მიმდინარე წლის პირველი ნახევარი თვალსაჩინო გადაჭარბებას იძლევა. ასე მაგალითად, თუ შარშან პირველ ნახევარ წელში გეგმა შესრულდა 88,3 პროცენტით, წელს გეგმა შესრულებულია 107,2 პროც. ასეთივე სურათია თვითღირებულების დაკლების დარგშიც:

გაცდენილი დრო შემდეგ პროცენტულ შეფარდებას იძლევა: შარშან გაცდენილი იყო 25,55 პროც., წელს—12,14 პროც.

ნახშირის აგურაკები გეგმით უნდა დამზადებულიყო 2.000 ტონა, ხოლო დამზადდა 1812 ტონა. გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 90 პროცენტით. თვითღირებულებამ კი დაიკლო 3,3 პროცენტით.

ზ. რიონიძე.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲨᲐᲚᲝᲗ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲯᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐ-ᲐᲕᲘᲐᲥᲘᲛᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

მეტი ყურადღება წითელჯარში მორიგ გაწვევას

წითელ ჯარში გაწვევის მოსამზადებელი მუშაობის პირველი საფეხური—გასაწვევი ახალგაზრდობის მიწერა შესაკრებ უბნებზე—დამთავრდა. ამჟამად მიმდინარეობს გასაწვევ ახალგაზრდობის ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის გამორკვევა. ამასთან ერთად სწარმოებს გასაწვევთა გადარჩევა, რომ წითელ ჯარში მოხვდნენ მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ელემენტები. ადგილებიდან მოსული ცნობების თანახმად გასაწვევთა ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის გამორკვევა ყველგან არ მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. ზოგიერთ რაიონებში (მაგ. ბორჩალოში) არ ექცევა ამ საქმეს სათანადო ყურადღება, რის გამო ბრკოლდება შეღავათების მინიჭება ჯარში გასაწვევთათვის. ასეთი მდგომარეობაა არა მარტო სოფლად. ქალაქადაც, მილიციის ორგანოები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ გასაწვევთა ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის გამორკვევა, ვერ იჩენენ სათანადო უნარს. თბილისის პირველი რაიონის სამილიციო უბანში ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის გამორკვევა სუსტად მიმდინარეობს.

ფრიად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს გასაწვევთა კლასობრივ გადარჩევას. წითელ ჯარში, მორიგ გაწვევის დროს, არ უნდა მოხვდეს არც ერთი უცხო ელემენტები.

ადგილებზე შექმნილია კომისიები პარტიულ, კომკავშირის და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლებით, რომლებსაც დავალებული აქვთ გასაწვევთა შერჩევა. ამ კომისიებს უნდა გაეწიოს ყოველმხრივი დახმარება, რათა მათ წარმატებით შეასრულონ თავისი მოვალეობა. გასაწვევთა შერჩევის საქმეში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღონ თვით გასაწვევებმა, რომლებმაც უნდა ჩამოაყალიბონ დამხმარე ჯგუფები.

აღსანიშნავია, რომ საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა გაწვევის ირგვლივ თითქმის არსად არ მიმდინარეობს. პარტიული და პროფორგანიზაციები ამ მხრივ უმოქმედობას იჩენენ და ელოდებიან გაწვევის დაწყებას, რათა მაშინ შეუდგნენ მუშაობას. ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია. საგიტაციო მუშაობა ეხლავე უნდა იქნას დაწყებული. ყოველმა გასაწვევმა უნდა იცოდეს თავისი—როგორც მომავალი წითელი მებრძოლის მოვალეობა. გასაწვევებს აგრეთვე უნდა გავაცნოთ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებები, მიმართული წითელ არმიელთა ოჯახების უზრუნველსაყოფად. საგიტაციო მუშაობით ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყაზარმაში მოსვლისას ახალწვეული ნათლად ერკვეოდეს წითელი არმიის [illegible], იცოდეს თუ რა არის დისციპლინა და რას მოითხოვს მისგან პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

ცვალებად წითელ არმიელთა სამთვიანი შეკრება

მიმდინარე წლის პირველ მაისიდან მეორე ქართ. მსრ. დივიზია ატარებს ცვალებად წითელარმიელთა სამთვიან სამოსწავლო შეკრებას. შეკრებაზე გამოცხადება ეხებათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც გაწვეული იყვნენ წითელ ჯარში 1927 წლის შემოდგომაზე და რომლებიც ჩაირიცხნენ ტერიტორიალური დივიზიის ერთეულებში.

სამთვიანი სამოსწავლო შეკრების ჩატარების შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს მეორე ქართ. მსრ. დივიზიის შტაბში შემდეგი აცნობეს:

სამთვიან სამოსწავლო შეკრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალწვეულთა მომზადებისათვის. სამი თვის განმავლობაში ახალწვეულებმა ერთეულებში მეცადინეობის დროს უნდა შეითვისონ სამხედრო ხელოვნების ძირითადი საფუძვლები, გათვითცნობიერდნენ პოლიტიკურად და ამ დარგებში გაუთანასწორდნენ 1929 წლის შემოდგომაზე გაწვეულ თავის ამხანაგებს, რომლებიც იმყოფებიან საკადრო ერთეულებში. შეკრების დრო ძალიან მცირეა, ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შეკრებაზე თავის დროზე და დაუყოვნებლად გამოცხადებას. დივიზიის სარდლობას ამ მხრივ ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა, პროფესიონალურმა, კომკავშირის და საბჭოთა ორგანიზაციებმა. საჭიროა შეკრების ირგვლივ ფართე საგიტაციო მუშაობის ჩატარება. ამ მუშაობის შედეგათ ჩვენ უნდა მივაღწიოთ ცვალებადელთა მთელი 100 პროც. შეკრებაზე გამოცხადებას. ყოველმა ახალწვეულმა-ცვალებადელმა უნდა იცოდეს შეკრების დრო და ადგილი, უნდა დაუგვიანებლად მოვიდეს თავის ერთეულში და ამით ხელი შეუწყოს შეკრების წარმატებით ჩატარებას.

ახალ წვეულ ცვალებადელებს შეკრებაზე გასვლის წინ სამსახურის ადგილიდან ეძლევა ერთდროული დახმარება ხელფასის 2 კვირის რაოდენობის მიხედვით. შეკრების განმავლობაში მას ენახება ადგილი სამსახურში. წარმოება-დაწესებულებებმა დროზე უნდა განთავისუფლონ ახალწვეულნი სამსახურიდან და გაუსწორონ ანგარიში. შეკრება ტარდება სწორედ იმ დროს, როდესაც სოფლად მიმდინარეობს გაცხოველებული სასოფლო-სამეურნეო მუშაობა. შეკრებაზე წასვლით კოლექტივებს და ინდივიდუალურ მეურნეობებს მოაკლდება მრავალი მუშა-ხელი. ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ კოლექტივებმა, სასოფლო-საბჭოებმა და სოფლის პარტ. და კომკავშირის ორგანიზაციებმა და ამ თავითვე უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რომ მუშაობა სოფლად არ შეფერხდეს. კოლექტივებმა დროზე უნდა აიყვანონ აღრიცხვაზე ახალწვეულები და მათი მუშაობა უნდა გაუნაწილონ კოლექტივის სხვა წევრებს. სოფლის საბჭოებში ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ შეკრებაზე გაწვეულთა ოჯახებს. შეკრებაზე გაწვეული ახალწვეული ითვლება წითელარმიელად და სარგებლობს ყველა იმ უპირატესობებით და უფლებებით, რომლებიც, კანონის მიერ, მინიჭებული აქვთ წითელარმიელებს. ახალწვეულთა ოჯახებზე ვრცელდება წითელარმიელთა ოჯახების ყველა უფლებები.

სამოსწავლო შეკრება იწარმოებს ზემო-ავჭალის ბანაკში და გასტანს 1-ლ აგვისტომდე. შეკრებიდან არავინ არ იქნება განთავისუფლებული. ამიტომ დივიზიის სარდლობა არ განიხილავს არც ერთ შუამდგომლობას შეკრებიდან განთავისუფლების შესახებ. ის ახალწვეულები, რომლებსაც ავადმყოფობის გამო არა აქვთ შესაძლებლობა გამოცხადდნენ შეკრებაზე, წინასწარ უნდა წარადგინონ სათანადო ერთეულში ექიმის მოწმობა.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებაში, გუშინ შესდგა გაფართოებული თათბირი 1907 წელში დაბადებულთა ტერიტორიალური შეკრების შესახებ. თათბირს დაესწრნენ პარტიული, პროფესიონალური და ჯარის ნაწილების წარმომადგენლები.

ახალ წვეულთა ტერიტორიალური შეკრების შესახებ თათბირმა მოისმინა ამხ. ბერიძის მოხსენება, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა. წ. 1 მაისიდან თბილისში და მის ოლქში დაიწყება 1907 წელში დაბადებულ ახალ წვეულთა სამთვიანი ტერ-შეკრება. შეკრების წარმატებით ჩატარება დიდათ არის დამოკიდებული პარტიულ-პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს ამ დარგში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დეფექტებს. პარტიული, პროფესიონალური ორგანიზაციებმა და პრესამ სუსტი მონაწილეობა მიიღეს შეკრებაში. აღნიშნული ნაკლი უნდა აღმოიფხვრას.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები მოითხოვდნენ, რომ შეკრების ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ყველა საბჭოთა და პარტიულმა ორგანიზაციებმა და პრესამ. ადგილებზე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა აქედანვე უნდა შეუდგნენ სამზადისს შეკრებისათვის და წინასწარ გამოკიდონ წარმოებებში სია იმ ახალგაზრდების, რომელთაც შეკრებაზე გასვლა ეხებათ. ამასთან ერთად ქარხნის ადმინისტრატორებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ გასაწვევ ახალგაზრდებს დროზე გაუსწორონ ანგარიშები.

თათბირმა მიიღო პრაქტიკული წინადადებები შეკრების წარმატებით ჩასატარებლად.

როგორ მიმდინარეობს

ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲗᲐ ᲬᲕᲔᲕᲐᲛᲓᲔ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ამ დღეებში შესდგა სამოქალაქო სკოლებში მომუშავე სამხედრო ლექტორების პირველი კონფერენცია, რომელზედაც განხილულ იქნა წვევამდელთა მზადების საკითხი. კონფერენციას დაესწრნენ სამხედრო ლექტორების გარდა განათლების სახ. კომისარიატის და სამხედრო უწყების წარმომადგენლებიც.

წვევამდელთა მზადება სამოქალაქო სკოლებში (ტეხნიკუმებში, მე-2 საფეხურის სკოლებში) დაიწყო მიმდინარე სამოსწავლო წელში. სამხედრო საგნებმა სკოლებში მოიპოვეს მოქალაქეობრივი უფლება და მოსწავლე ახალგაზრდობაც ხალისიანად იძენს სამხედრო ცოდნას. სკოლებთან მოწყობილია სამხედრო კაბინეტები, სკოლები უზრუნველყოფილია საუკეთესო სამხედრო ლექტორებით.

რა ნაკლი აქვს მოწაფეთა წვევამდე მზადებას? კონფერენციამ აღნიშნა, რომ მოწაფეთა ფიზიკური აღზრდა, რომელიც უშუალოდ არის დამოკიდებული საბრძოლო მომზადებასთან, სკოლებში სუსტად არის დაყენებული და იგი არ არის დაკავშირებული წვევამდე მზადებასთან.

კონფერენციამ საჭიროდ სცნო თბილისის ტირების მოწყობა, რაც დიდათ შეუწყობს ხელს სროლის საქმის გაუმჯობესებას. ეზოებში სროლის წარმოება მიზანშეუწონელია და სახიფათო.

კონფერენციაზე გამოირკვა, რომ მწვავედ სდგას სამხედრო სახელმძღვანელოების საკითხი. ქართულ ენაზე დღემდე არ მოიპოვება არც ერთი სახელმძღვანელო სამხედრო საგნებში. ის წესდებები კი, რომლებიც არის ქართულ ენაზე, სავსებით უვარგისია და მათი ხმარება სკოლებში შეუძლებელია. კონფერენციამ საჭიროდ სცნო, რათა სახელგამთან დაარსდეს სამხედრო სექტორი, რომელიც იზრუნებს სამხედრო წიგნების გამოცემაზე.

კონფერენციამ იმსჯელა აგრეთვე სამხედრო საგნების სწავლების შესახებ. საჭიროდ იქნა ცნობილი პროგრამის გადათვალიერება და ლაბორატორიული მეთოდის შემოღება.

სხვა, დანარჩენ ღონისძიებათა შორის, რომლებიც გააჯანსაღებენ მოწაფეთა წვევამდე მზადების, კონფერენციამ აღნიშნა მოწაფეების ველად გასვლა, სამხედრო ელემენტების შეტანა საერთო-საგანმანათლებლო საქმეში, თბილისის წითელ არმიის სახლთან და განათლების მუშაკთა სახლთან სამხედრო ლექტორთა მეთოდიურ ბიუროს დაარსება. საჭიროდ იქნა ცნობილი მოწაფეების გაყვანა ბანაკად ზაფხულობით.

კონფერენციამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თავდაცვა-ავიაქიმი არ იღებს არავითარ მონაწილეობას სკოლების გასამხედროების საქმეში. საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა შემდეგში დამყარდეს მჭიდრო კავშირი თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო ცოდნათა წრეების და წვევამდე მზადების შორის.

ნ. ირმ.

წითელარმიელები დასვენების დროს

ავიაქიმი ბანაკად

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა სამზადისს ბანაკების მოსაწყობად თავისი წევრებისათვის. ავიაქიმის ბანაკები მომავალი ზაფხულისათვის მოეწყობა თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათომში. წინასწარი მუშაობა ბანაკების მოსაწყობად უკვე დაწყებულია, შედგენილია ბანაკების გეგმა, გამოძებნილია თანხები, მიღებულია ზომები ბანაკებისათვის საჭირო მოწყობილობის შესაძენათ.

საქ. ავიაქიმის მუშაობას ბანაკების მოსაწყობად გაეცნო საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის უფროსი ინსტრუქტორი. ამხ. ვორიცკი, რომელმაც თავისი აზრი ავიაქიმის ბანაკად გასვლის შესახებ გაუზიარა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს, ბანაკის მოწყობაში ავიაქიმს —სთქვა ამხ. ვორიცკიმ,—დახმარება უნდა გაუწიონ საბჭოთა ფართე საზოგადოებრიობამ. აქ საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, წარმოება-დაწესებულებების მატერიალური დახმარება, რომ ავიაქიმმა სათანადოთ მოაწყოს ბანაკები. წარმოება-დაწესებულებებში უნდა ჩატარდეს კამპანია, რათა მუშა-მოსამსახურეებმა—ავიაქიმის წევრებმა, თავისი შვებულება გაატარონ ბანაკად და აქ შეიძინონ თავდაცვისათვის საჭირო ცოდნა და ხერხები.

თავდაცვა-ავიაქიმის ბევრ ორგანიზაციას უკვე აქვს სათანადო გამოცდილება ბანაკობის ჩატარებაში. მრავალ ორგანიზაციას აქვს საუკეთესოდ მოწყობილი ბანაკები და, უნდა ითქვას, რომ ბანაკად გასვლას მოაქვს დიდი სარგებლობა ავიაქიმის წევრებისათვის. გარდა იმისა, რომ ავიაქიმის წევრები ბანაკად ეცნობიან სამხედრო საქმეს, ამასთანავე ბანაკობა აჯანსაღებს მათ ფიზიკურადაც. საქ. ავიაქიმმა უკვე გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯი ბანაკების მოსაწყობად და იმედია, ავიაქიმის ეს პირველი ცდა წარმატებით დამთავრდება.

სამხედრო ქრონიკა

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ „ᲜᲐᲗᲚᲐ"

მიმდინარე წლის 20-დან 30 აპრილამდე, საბურთალოზე, ქიმიურ ქალაქში, იწარმოებს „ქიმიური ნათლა"—მოქალაქეების გატარება მოწამლული გაზებით სავსე კამერებში, სულ კამერაში გატარებული იქნება 25.000 კაცი: სახ. უნივერსიტეტის, სას.-სამ. ინსტიტუტის, პოლიტეხნიკური ინსტიტუტის და სამხატვრო აკადემიის მსმენელები და თავდაცვა-ავიაქიმის წევრები. ქიმიური „ნათლის" დროს იწარმოებს საუბარი მოწამლული გაზების თვისებების და ქიმიური ომის შესახებ. საუბრებს ჩაატარებენ მეთაური-ქიმიკოსები.

ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲐᲓ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ქართული წითელი ჯარის ნაწილები გაცხოველებით ემზადებიან ბანაკად გასასვლელად, გამოყოფილია წითელარმიელთა გუნდები, რომლებიც გაემგზავრნენ ბანაკის ადგილას და შეუდგნენ ბანაკების მოწყობას.

ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲣᲪᲝᲓᲘᲜᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐ

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია წითელი ჯარის ნაწილებში მთავრდება. ზოგიერთ ნაწილებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უკვე დამთავრდა. 1-ლი მაისისათვის წითელ ყაზარმაში არ იქნება არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არმიელი.

„ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲘᲪᲘ"

1-ლ მაისს—საერთაშორისო პროლეტარიატის დღეს—1907 წელში დაბადებული წითელარმიელები მიიღებენ წითელ ფიცს. წითელი ფიცის მიღებას მიეცემა საზეიმო ხასიათი.

ᲡᲐᲥ. ᲪᲐᲙᲨᲘ

ᲥᲕᲔᲛᲝ-ᲡᲘᲛᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲖᲔ

ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა ქუთაისის საოლქო აღმასკომის შუამდგომლობა სოფ. ქვემო-სიმონეთის სასოფლო საბჭოს ჩხარის რაიონიდან გამოყოფისა და ქუთაისის რაიონზე მიწერის შესახებ.

ქუთაისის საოლქო აღმასკომის აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია და ქვემო-სიმონეთის სასოფლო საბჭო მიეწერა ქუთაისის რაიონს.

ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲔᲑᲘ ᲦᲐᲠᲘᲑ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო და დაამტკიცა დადგენილების პროექტი ღარიბ ებრაელთათვის საარჩევნო ხმის უფლებებში აღდგენის დროს სხვადასხვა შეღავათების მიცემის შესახებ.

საარჩევნო ხმის უფლებაში აღდგენილი იქნებიან ის უღარიბესი ებრაელები, რომლებიც წინეთ იძულებული იყვნენ არა სასარგებლო შრომით ეარსებებიათ, მაგრამ ამჟამად კი სასარგებლო შრომაში არიან ჩაბმულნი.

ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს წევრათ ნაცვლად ამხ. ერასტი როდანაიასა, ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ამხ. გიორგი მგალობლიშვილი.

ᲬᲛᲔᲜᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲨᲙᲝᲝᲞᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲠ.-ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

საბჭოთა აპარატის გამწმენდ რესპუბლიკანურმა კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა რაიონული კომისიების თავმჯდომარეთა მოხსენება თბილისის მუშკოოპის და სატრანსპორტო კოოპერაციის აპარატების და სავაჭროების თანამშრომელთა წმენდის პირველი შედეგების შესახებ.

მოხსენებებით გამოვიდნენ ამხ. მაისურაძე (ლენრაიონი), ამხ. მონტინი (ქალაქის რაიონი) და ამხ. ვასილიევი (26 კომუნარის სახელობის რაიონი).

როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა, სამთავე რაიონულ კომისიას ჯერ-ჯერობით წმენდაში გაუტარებია ორასამდე თანამშრომელი. კოოპერატიული მუშაკების წმენდა ყველა რაიონებში მუშა-მომხმარებელთა შორის უდიდეს ინტერესს იწვევს. კლუბების დარბაზები სადაც წმენდა სწარმოებს, დამსწრეებით ყოველთვის სავსეა და აუდიტორიის აქტივობაც დიდია.

წმენდის პირველი ათი დღის შედეგებიდან ირკვევა, რომ კოოპერატიული მუშაკები საკმარისად არ არიან ჩაბმული საზოგადოებრივ მუშაობაში. პარტიული და კომკავშირული მასებიც ვერ არიან სათანადოდ დატვირთული საზოგადოებრივად და პოლიტიკური მუშაობით. ამავე დროს ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც განსაზღვრული რიცხვი ამხანაგებისა ზედმეტად არიან გადატვირთული.

კოოპერატიულ ორგანიზაციებში პარტუჯრედების და ადგილკომების მუშაობა ვერ არის სათანადოდ გაშლილი, რომლის შედეგად კოოპმუშაკების უმეტესი ნაწილი ვერ ერკვევა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ხასიათის ელემენტარულ საკითხებში.

ამხ. მონტინმა განაცხადა, რომ ქალაქის რაიონში არსებულ მუშკოოპის სავაჭროებში მომუშავეთა შემადგენლობაში ვხვდებით დიდ ძალ ყოფილ ვაჭრებს, რომელთაგან ზოგს ვაჭრობისათვის დანებებული აქვს თავი ხუთი წლის წინ, ზოგს სამი წლის წინ და ზოგიც ისეთია, რომელთაც შარშან და შარშანწინ დაუკეტიათ საკუთარი სავაჭროები და ბირჟის საშუალებით მოხვედრილან მუშკოოპში.

ირკვევა, რომ შრომის ბირჟა ძალიან ზერელედ ექცევა კოოპერატიულ სავაჭროებში მუშაკების გაგზავნას. იგი არ აქცევს ყურადღებას სამუშაოზე გასაგზავნ პირთა შერჩევას და ამის შედეგი ის არის, რომ ნამდვილი მშრომელი ისევ ბირჟის კარებზე რჩება, ხოლო გუშინდელი ვაჭარი კი მეორე დღესვე მუშკოოპში ეწყობა სამუშაოზე.

ამხ. მაისურაძემ რესპუბლიკანური კომისიის ყურადღება შეაჩერა იმ გარემოებაზე, რომ მუშკოოპში წმენდისათვის წინასწარ-მოსამზადებელი მუშაობა ძალიან სუსტად არის ჩატარებული. სატრანსპორტო კოოპერაციის ხაზით კი ამის საწინააღმდეგო სურათს ვამჩნევთ. იქ მუშათა ბრიგადებს დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ. მათ გარდა მთელი აპარატისაც შესწავლილი აქვთ თითოეული თანამშრომელი პერსონალურად.

ამხ. ვასილიევმა მოუთხრო კომისიას, რომ კოოპერატიული აპარატის წმენდა „26" კომუნარის სახელობის რაიონში ნორმალურად მიმდინარეობს.

მართალია პირველ დღეებში ადგილი ჰქონდა დარბაზში ხულიგნურ გამოსვლებს, მაგრამ ეს ეხლა აღმოფხვრილია სათანადო ღონისძიებათა მიღებით.

სხდომაზე წამოყენებული იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ წმენდაში გაატარონ მხოლოდ ის თანამშრომლები, რომლებზედაც მოიპოვება რაიმე საბრალმდებლო მასალები. ეს საკითხი წამოიჭრა იმ მოსაზრებით, რომ თბილისის მუშათა კოოპერაციის თანამშრომელთა რიცხვი ძალიან დიდია და თითოეული მათგანის პერსონალური წმენდა დიდ დროს მოითხოვს.

ეს საკითხი ჯერ ღიად არის დატოვებული და მას რესპუბლიკანური კომისია საბოლოოდ განიხილავს მორიგ სხდომაზე.

ᲐᲛᲮ. ᲗᲐᲥᲗᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ამ ერთი წლის წინად პარტიამ დაჰკარგა ერთ-ერთი მედგარი მებრძოლი ლენინიზმისათვის. ამხ. ილო თაქთაქიშვილი. იგი დაიღუპა ბანდიტების ხელით კახეთის ოლქში, ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის საპასუხისმგებლო დავალების შესრულების დროს.

ამხ. თაქთაქიშვილი ძველი მებრძოლი რევოლიუციონერი იყო. მან მთელი თავისი სიცოცხლე რევოლიუციონურ ბრძოლას შესწირა. ამ ბრძოლის გზას იგი დაადგა 1901 წლიდან და ითვლებოდა სოციალიზმის საქმისთვის თავდადებულ ამხანაგად. დაახლოვებით 40 წელიწადს იგი განუწყვეტლივ დაზგასთან იყო და აწარმოებდა აქტიურ პარტმუშაობას.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრად არჩევის შემდეგ იგი კეთილსინდისიერად და ბეჯითად ასრულებდა პარტიის მიერ დაკისრებულ დავალებებს.

ამხ. თაქთაქიშვილი იშვიათ სიმტკიცეს იჩენდა პარტიულ დავალებათა შესრულებაში, შეუდრეკლად და ამავე დროს მოფიქრებულად და ფრთხილად უდგებოდა დავალებულ საქმეს და ამის მეოხებით დაიმსახურა ამხანაგების სიყვარული.

პარტია არ დაივიწყებს მის თავდადებულ მუშაობას.

ᲡᲐᲥ. Კ.Პ.(Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠ. ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠ. ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ.

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ამით ცხადდება პარტიის ყველა იმ წევრებისა და კანდიდატების საყურადღებოდ, რომლებსაც დაედოთ პარტიული სასჯელი პარტიის გენერალური წმენდის დროს, რომ რესპუბლიკანური საკონტროლო კომისიების გადაწყვეტილებებზე საპელაციო განცხადებების შეტანის უკანასკნელ ვადად დანიშნულია **1930 წლის 30 აპრილი.**

„ᲕᲐᲘ, ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲕ!"

I

მსოფლიო მენშევიზმის ქურუმები გაიძახოდნენ და გაიძახიან დღესაც: ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲖᲛᲘ ᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ, ᲫᲘᲠᲡ ᲣᲗᲮᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲡᲝ. ასეთია მთავარი დებულება, რომელსაც ემყარება მენშევიზმი ბოლშევიზმთან ბრძოლაში. ორიოდე „საბუთი" მხოლოდ.

ევროპიულ მენშევიზმს, უკეთ რომ ვსთქვა, სოციალ-ფაშიზმის მთავარი თეორეტიკოსი—ᲙᲐᲠᲚ ᲙᲐᲣᲪᲙᲘ ღრმა სიბერის უკანასკნელ „ტკბილ დღეებს" იმწარებს „ახალ კომუნიზმზე" ხელაღებულ თავდასხმით. საერთოდ ცნობილია, რამდენად დამკარგა ამ „პატივცემულმა მოხუცმა" მოთმინება და წონასწორობა. ბოლშევიზმთან იდეოლოგიური ბრძოლა შეადგენს კაუცკის უმთავრეს მოვალეობას. ამაშია კაუცკის მთავარი დანიშნულება.

კაუცკი სწერს:

„ბოლშევიზმი ანადგურებს სწორეთ იმას, რაც შეადგენს სოციალიზმის წინასწარ პირობას—განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ საწარმოო ძალებს"[1].

საწარმოო ძალების განადგურება, კაუცკის აზრით, ბოლშევიზმის შინაგანი ბუნებაა, თვისებაა. ამიტომაც ბოლშევიზმი და სოციალიზმი სხვადასხვა ცნებაა. აი ამის ყოვლად „უდაო" მაგალითი:

„ბოლშევიზმი იმარჯვებს დღემდე რუსეთში, მაგრამ სოციალიზმი კი იქ დღემდე მარცხს განიცდის"[2]

მაგრამ ბოლშევიზმი ხომ მსოფლიო მოვლენაა. ეს „მარცხი", რასაკვირველია, მსოფლიო ბოლშევიზმის მარცხია. კაუცკი უფრო მაგრათ გამოსთქვამს ამ „მარცხს": ესაა,—ირონიულათ ასკვნის კაუცკი—

„სოციალიზმის განსაზღვრულ მეთოდის მორალური კატასტროფა"[3].

რა იქნება ამ „მორალური კატასტროფის" შედეგი? კაუცკის „ღრმა მეცნიერული" „გამოანგარიშებით" შედეგი მხოლოდ ერთი იქნება: „ახალი კომუნიზმის" „დასაფლავება". ბოლშევიზმს „დაასამარებს" „ცხოვრების ბარბაროსული ფორმები". სიტყვა-სიტყვით:

„იმავე, როგორც ძველი კაპიტალიზმი, ეს ახალი კომუნიზმი თვითონ ამზადებს თავის მესაფლავეებს. მაგრამ ძველი კაპიტალიზმი ამზადებდა არა მარტო მესაფლავეებს, არამედ ახალ მდიდარ მატერიალურ საწარმოო ძალებსაც".

„ახალი კომუნიზმიც" „თვითონ ამზადებს თავის მესაფლავეებს"—განაგრძობს კაუცკი, მაგრამ ერთი „პაწია" განსხვავებით:

„მის მესაფლავეებათ მოგვევლინება არა ცხოვრების უმაღლეს ფორმებზე გადასვლა, არამედ ცხოვრების ბარბაროსული ფორმები"[4].

მაშასადამე, კაუცკის ბნელი აზრები ნათელია საკმაოთ. ბოლშევიზმი ანადგურებს „მატერიალურ საწარმოო ძალებს", ანვითარებს „ცხოვრების ბარბაროსულ ფორმებს", მოკლეთ—ძირს უთხრის „სოციალიზმის წინასწარ პირობას". ყველაფერი ეს, რა თქმა, ბოლშევიზმის „მორალური კატასტროფაა" და სხვა არაფერი.

„ასე ამბობდა" მენშევიზმის „ზარატუსტრა"!

ამასვე ამბობს ნიცშეს ეს ცოცხალი ზარატუსტრა ᲓᲦᲔᲡᲐᲪ. მაგალითად, მის წერილში „ᲣᲑᲔᲓᲣᲠ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ" იგივე მოთქმა, გოდება, იგივე სიტყვები ბოლშევიზმის მიერ მატერიალური და ინტელექტუალურ ძალების განადგურებაზე. ეტყობა, ხვილოს მეხსიერება აწუხებს კაუცკის, ახლაც ახსოვს მას „დემოკრატიის ოაზისის" უტკბილესი მოგონება: მენშევიკურ სამზარეულოს შუშხუნა მწვადები და რამიშვილ-ჩხეიძეების ქეიფი ღვინით სავსე სამთვრებით...

ცხადია, კაუცკი მარტო როდი სდგას ბოლშევიზმთან ბრძოლის ველზე. Один в поле не воин. „ჭკვიანი" ᲛᲐᲠᲢᲝᲕᲘᲪ უმაგრებს მას ზურგს. რაში მდგომარეობს ბოლშევიზმის ბუნება? მარტოვი გვიპასუხებს: ბოლშევიზმის ბუნებაა

„საზოგადოებრივი წარმოებისადმი უყურადღებობა, მომხმარებლის თვალსაზრისის გაბატონება... მწარმოებლის თვალსაზრისზე"[5].

„დინჯი" მარტოვი დინჯათ ეთანხმება კაუცკის. ბოლშევიზმი მოკლებულია „მწარმოებლის თვალსაზრისს", მისი ბუნებაა—„მოხმარება", სხვანაირათ——ნგრევა და არა შენება. ამის „დამტკიცება" მოასწრო მარტოვმა სიკვდილამდე. გზა არ გადაეჭრა სიკვდილს, ვინ იცის, როგორ „დაასაბუთებდა" ის ამ უაზრობას.

ვიქონიოთ სტოიკური მოთმინება და მოუსმინოთ კიდევ ერთს „თეთრი და შავი მენშევიკების" ბანაკიდან—Ნ. ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ. აი მისი „ხმა სამარიდან".

„ყველა ევროპიული რევოლიუცია—საუკუნეო მეცნიერის კილოზე ლაპარაკობს ჟორდანია.—დიდი თუ პატარა, თავდებოდა ქვეყნის საწარმოო ძალების გაძლიერებით, სახელმწიფოს ძალ-ღონის გამაგრებით, სულიერი და მატერიალური კულტურის აღორძინებით. რევოლიუცია უშუალოთ ამოძრავებდა წინ საზოგადოებას.... სავსებით საწინააღმდეგო შედეგი მოგვცა ოქტომბრის გადატრიალებამ. სრული განადგურება საწარმოო ძალების, განიავება და მოსპობა წინეთ დაგროვილ სიმდიდრის, მთელი სულიერი კულტურის დაცემა, სულიერი და ლიტერატურული გალატაკება, სახელმწიფოს უსუსურობა და მისი გადაქცევა უცხოეთის კაპიტალის საწველ ფურათ—აი ბოლშევიკური რევოლიუციის ნაყოფი"[6].

როგორც ვხედავთ, ჟორდანიამ წინ გაუსწრო კაუცკისა და მარტოვსაც გაბედულ დასკვნების გამოყვანაში. მისი აზრიც „ორიგინალურია" საკმაოთ, აქ ახალი მომენტიცაა მოცემული: ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲖᲛᲘ ᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ, კიდევ მეტი,—პროლეტარული დიქტატურის „სახელმწიფო უსუსურია", ის „გადაიქცა ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲕᲔᲚ ᲤᲣᲠᲐᲗ". ასეთია ჟორდანიას გონებრივ დაქვეითების „რევოლუციის ნაყოფი". ჟორდანია იქვე ასკვნის: ეს „უსუსურობა" და „საწველი ფურობა" იმითაც „ადვილათ" ასახსნელია, რომ ბოლშევიკებს „არ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ".

არ გამოუდგები კამათს, მოვსჩრი მოკლეთ: რამდენათ „უსუსურია" ჩვენში პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო, რამდენად „არ შეუძლიათ" ბოლშევიკებს „ახალი რუსეთის მშენებლობა", ამას—დღეს მაინც —ალბათ საუკეთესოთ გრძნობს თვით ნ. ჟორდანია „საკუთარი გამოცდილებით", საკუთარ ზურგზე. მაგრამ განსაკუთრებით „ორიგინალურია" და ყოვლად „გენიოსური" მისი „ღრმა დაკვირვება", რომელიც შეიცავს „უსუსურ" სახელმწიფოს „უცხოეთის კაპიტალის საწველ ფურათ" გადაქცევას. პარიზიდან ამ „დაკვირვებს" მიხედვით, „ბოლშევიკურ რუსეთში" კაპიტალიზმი „ოდნავადაც არ გაქანებულა". მოუსმინოთ ავტორს:

„ბოლშევიკებმა კერძო პირს ჩამოართვეს მრეწველობა და გამოაცხადეს ამით კაპიტალისტური სისტემა მოვსპეთო. ნამდვილათ კი ეს სისტემა ოდნავადაც არ გაქანებულა"[7].

საინტერესოა, რატომ „ეს სისტემა ოდნავადაც" მაინც „არ გაქანდა" უძლიერესი პროლეტარული რევოლიუციის შემდეგ? ამის მიზეზი, ჟორდანიას აზრით, ძალიან მარტივია:

„ბოლშევიკებს კაპიტალი ეგონათ მისი გარეგანი გამოხატულება; მათ დაანგრიეს მხოლოდ ისარი საათისა, მექანიზმი კი ხელუხლებლათ დარჩა. უკანასკნელის დარღვევა მათ არ შეეძლოთ, რადგან ის არ არის დასარღვევათ მომწიფებული"[8].

აქ სრულად გამოთქმულია მენშევიზმის ტალმუდისებური სიბრძნე. ამ სიბრძნეს მარტივად, გასაგებათ გადმოგვცემს ჟორდანია: კაპიტალიზმი „არ არის დასარღვევათ მომწიფებული". ამიტომ ისარის დანგრევა ადვილი იყო, მაგრამ „მექანიზმი კი ხელუხლებლათ დარჩა". ხოლო კაპიტალიზმის „დასარღვევათ მომწიფებისათვის", როგორც ჟორდანია ამბობს, „ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ". ეს „გვარიანი დიდი ევოლიუცია" არ განუვლია რუსეთს, რომელიც,

„არა თუ უკან ჩამორჩენილი სამრეწველო ქვეყანაა. ის სრულიად არ არის სამრეწველო ქვეყანა.... ის იმყოფება ბურჟუაზიულ რევოლიუციის ხანაში"[9].

მენშევიკური სიბრძნე, ავტორის აზრი გასაგებია. „გვარიანი დიდი ევოლიუცია" „ბურჟუაზიული რევოლიუციაა". კაპიტალიზმი ამ „გვარიანი დიდი" „ბურჟუაზიულ რევოლიუციით" თავისთავად „დასარღვევათ მომწიფდება". დღეს კი რუსეთი „სრულიად არ არის სამრეწველო ქვეყანა", სოციალიზმისათვის ის „მკვახეა", ბოლშევიზმმა „ოდნავადაც არ" „გააქანა" „კაპიტალისტური სისტემა".

ცხადია, ეს არაა ჩემი წერილის მიზანი, თორემ დავაყენებდი კითხვას, რომელიც ბუნებრივათ იბადება: ვსთქვათ, დავეთანხმოთ ერთ წუთს ჟორდანიას; კაპიტალიზმი ჩვენში „არ არის დასარღვევათ მომწიფებული". მაგრამ დასავლეთი ევროპა, ამერიკა ხომ „სამრეწველო ქვეყანაა", ᲘᲥ ᲮᲝᲛ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘ „ᲓᲐᲡᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲗ ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲣᲚᲘᲐ"? ᲛᲐᲨ ᲠᲐᲗ ᲐᲠ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲖᲛᲘ „ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ", ᲠᲐᲗ ᲐᲠ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲘᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲡ?... ამ კითხვაზე სოციალფაშიზმის პასუხი მხოლოდ ერთია—დუმილი, ანდა პასუხი—მაუზერის ენაზე.

ამრიგათ, ჟორდანიას „მტკიცება" გასაგებია: ბოლშევიზმი ანადგურებს საწარმოო ძალებს, მაგრამ, რაღაც განგებით, ეს განადგურება ეხება მხოლოდ კაპიტალის „ისარს" და არა „მექანიზმს". რასაკვირველია, აქ საცოდავ წინააღმდეგობაშია ქართული „საერთაშორისო" მენშევიზმის იდეოლოგი ჩავარდნილი: განა საწარმოო ძალების განადგურება არ ნიშნავს თვით ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ განადგურებას? როგორ შეიძლება, მაგალითად, ამის მტკიცება: კაპიტალისტური მეურნეობის საწარმოო ძალები განადგურდა, მაგრამ თვით კაპიტალი „ოდნავადაც არ გაქანებულა". კაუცკის აზრი ვიცით ჩვენ—„ცხოვრების ბარბაროსული ფორმები". ახლა ვეკითხოთ: თუ „მექანიზმი" ხელუხლებლად დარჩა, მაშ რას შეიცავს ამ „ბარბაროსულ ფორმების" შინაარსი? კაუცკისა და ჟორდანიას შორის აქ სრული წინააღმდეგობაა. მიზანი ერთია, ერთნაირი საშუალება—ორი, ორნაირი. კაუცკი ლოღიკურია თავის მენშევიკურ აზრთა მსვლელობაში: ბოლშევიზმი ანადგურებს საწარმოო ძალებს, ანგრევს—კაპიტალსაც და გადადის ცხოვრების ბარბაროსულ ფორმებზე". ჟორდანია თავიდან ბოლომდე ულოღიკოა: ბოლშევიზმი ანადგურებს საწარმოო ძალებს, მაგრამ კაპიტალის „მექანიზმი" ხელშეუხებელია, მაშასადამე—შეგვიძლია დავასკვნათ—არც „ცხოვრების ბარბაროსული ფორმებია" გამეფებული.

აქ ორივე „თეთრი და შავი მენშევიკის" ენათა აღრევაა და მეტი არაფერი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ კაუცკი გაცილებით უფრო ჭკვიანი მენშევიკია, ვინემ ჩვენი დონკიხოტი ლანჩხუთელი. ჟორდანიას სურს უფრო მწარეთ უკბინოს ბოლშევიზმს, ის ამის სურვილით დაბრმავებულია. გასაგებიცაა კიდეც: პროლეტარული რევოლიუციის „სილა" მან იგემა უშუალოთ. სურვილი დიდი აქვს, შეძლება კი—ნაკლები: მისი კბილაც „უგემურია", კბენისათვის საჭიროა მაგარი კბილები. აი უკბილო კბენის იშვიათი ნიმუშიც:

„ბოლშევიკებს პირიქით ეზარებათ ეკონომიური განვითარება, ვინაიდან ეს ბოლოს მოუღებს მათ პოლიტიკურ განვითარებას"[10].

ასეთია მენშევიკური სიბრძნე, რომელსაც—ლენინის არ იყოს, ყოველი „ᲛᲣᲨᲐ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲰᲝᲛᲔᲠᲝᲡᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲘᲗ"[11]. მაგრამ ბურჟუაზიის დაქირავებული მავრები ამით აკეთებენ თავიანთ საქმეს—პირნათლათ ემსახურებიან კაპიტალის ინტერესებს. „პატივცემული გვამი" ქ. კაუცკი აშკარათ გვამცნობს საკუთარი „გულის ძახილს", როცა მსოფლიო ბოლშევიზმს, კერძოთ—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ასე თავგამოდებით იბრძვის. კაუცკი სწერს თეთრზე შავათ:

„დასავლეთ ევროპის მუშებზეა... დამოკიდებული უფრო მიზანშეწონილ მეთოდით, უფრო მნიშვნელოვან შედეგის მიღწევა, — და არა ისეთ შედეგის, რომელსაც მიაღწიეს აღმოსავლეთში (ე. ი. ჩვენში. გ. მ.). ამისათვის საჭიროა, რათა დასავლეთ ევროპის მუშებმა ისწავლონ აღმოსავლეთის შეცდომებზე და ბრძოლისა და აღმშენებლობის სხვადასხვა მეთოდები გაიცნონ ამ მეთოდების შედეგებით"[12].

ვეთანხმები ავტორს საკითხის ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲐᲚᲣᲠ დაყენებაში. „დასავლეთ ევროპის მუშებმა" უნდა გაიცნონ „სხვადასხვა მეთოდები და ამ მეთოდების შედეგებით" მათ უნდა შეადარონ ერთმანეთს „ბრძოლისა და აღმშენებლობის" მენშევიკური და ბოლშევიკური „მეთოდები". მართალია, კაუცკი უკვე ავანსად ამბობს „აღმოსავლეთის შეცდომებზე", მაგრამ ამას ნუ მივაქცევთ ყურადღებას — ნამდვილი, გამოცდილება, „შედეგები" არ საჭიროებს ავანსებს მენშევიზმის ყვითელ სალაროდან. აქ საინტერესოა მხოლოდ შემდეგი კითხვის გამორკვევა: კაუცკიმ „გაგვაცნო" „აღმშენებლობის" ბოლშევიკური მეთოდი—ესაა ქვეყნის საწარმოო ძალების სრული განადგურება, „ცხოვრების ბარბაროსული ფორმები", „სოციალიზმის განსაზღვრული მეთოდის კატასტროფა", მაგრამ ჩვენს ყოვლად უბადლო მოაზროვნეს არაფერი უთქვამს მეორე, „ბრძოლისა და აღმშენებლობის" მენშევიკურ მეთოდზე. მართალია, სთქვა გაკვრით —„უფრო მიზანშეწონილი მეთოდი"-ო, რომლითაც შეიძლება თურმე „უფრო მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა". რა არის ეს მენშევიკური თილისმა, რაში მდგომარეობს ასეთი ყოვლად „მიზანშეწონილი მეთოდი"? ამაზე კაუცკიმ პირდაპირ უნდა გვიპასუხოს. მართალია, დაგვიანებით, მაგრამ ამის პასუხს კაუცკი მაინც იძლევა. ცნობილი ვეებერთელა ნაწარმოებში, რომელსაც „ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲐ" ეწოდება, კაუცკი „მეცნიერული" სიდინჯით და მოფიქრებით არკვევს „ბრძოლისა და აღმშენებლობის სხვადასხვა მეთოდებს". კაუცკი აშუქებს ორ მეთოდს — მენშევიკურსა და ბოლშევიკურს. აი მენშევიკური მეთოდი:

„მუშების რბილი კაპიტულიაცია (glatte Kapitulation) კაპიტალისტების წინაშე, რასაკვირველია, (რასაკვირველია!! გ. მ.), არა სამუდამოთ, დროებით"[13].

ბევრს გააოცებს ეს, მოჩვენება ჭექა-ქუხილათ მოწმენდილ ცაში. არაფერია გასაკვირი —მენშევიზმმა მიაღწია „ბუნებრივ განვითარების" კარებს, რაზედაც აწერია: „მუშების რბილი კაპიტულიაცია კაპიტალისტების წინაშე". კაუცკი შენიშნავს მაცდურ ღიმილით: „რასაკვირველია, არა სამუდამოთ, დროებით". ეს ტაქტიკაა, ანკესია, რომელსაც უნდა წამოეგოს „რევოლიუციის ორაგულები". მაგრამ ამაოთ. ვარწმუნებთ კაუცკის, მის ანკესს არავინ წამოეგება. ამის მაგალითია მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის ჩქარი განვითარება ევროპის სახელმწიფოებში, ყველაზე უფრო—თვით კაუცკის კაპიტალისტურ სამშობლო გერმანიაში. აი ამ „რბილ კაპიტულიაციის" მენშევიკურ მეთოდს უპირისპირდება ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ბოლშევიკური მეთოდი. კაუცკის აზრით, ეს მეთოდია:

„მუშების გადასვლა უაზრო ძალადობაზე: ყველა ფაბრიკის ხელში ჩაგდება, კაპიტალისტური საკუთრების განიავება... როგორც ეს მოხდა რუსეთში 1917 წელს,—რასაც არსებულ პირობებში მივყევართ არა სოციალისტურ წარმოებისაკენ, არამედ ქაოსისაკენ"[14].

ყველაფერი გასაგებია, თვალსაჩინოა, აშკარა, როგორც პურის მარცვალი ხელის გულზე. მენშევიკური მეთოდი — „მუშების რბილი კაპიტულიაცია კაპიტალისტების წინაშე", ბოლშევიკური მეთოდი — „მუშების გადასვლა უაზრო ძალადობაზე", „კაპიტალისტური საკუთრების განიავება". ამ „საკუთრების განიავებას" კი იძლევა „არა სოციალისტურ წარმოებას, არამედ ქაოსს". აქ პირნათლად სდგას ქ. კაუცკი კაპიტალისტურ საკუთრების სადარაჯოზე. მისი დახასიათება მხოლოდ ლენინის გენიოსური ფრაზით შეიძლება: „**Сторожевой пес священной капиталистической собственности**"[15]. მხოლოდ ეს სიტყვებია თანამედროვე მენშევიზმსა და მის იდეოლოგებზე ზედგამოჭრილი.

სიტყვას მოვსჩრი და ვასკვნი კიდეც: დე, შეადარონ დასავლეთ ევროპის და მთელ მსოფლიოს მუშებმა „ბრძოლისა და აღმშენებლობის სხვადასხვა მეთოდები" — მენშევიკური „რბილი კაპიტულიაციის" და ბოლშევიკური — მაგარი რევოლიუციის, შეადარონ „ამ მეთოდების შედეგებით". გაიხარებს კაუცკი: უკვე დადგა მისი ამ „გენიოსური" აზრის განხორციელების მომენტი. „აღმოსავლეთის სოციალიზმის" და დასავლეთის კაპიტალიზმის „შედეგების" ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ. მენშევიზმი არ აცნობს დასავლეთის მუშებს „შედეგს, რომელსაც მიაღწიეს აღმოსავლეთში". არ აცნობს, და ვერც გააცნობს, ცხადია. არავის უნდა საკუთარი ხელით გაითხაროს სამარე, საკუთარი ფეხით ჩაწვეს ამ სამარეში. ეს გასაგებია. მაგრამ „შემოწმება" მიდის, კაუცკის სურვილის მიუხედავათ. მსოფლიო მენშევიზმის ბებერი მელია უყურებს ამ „ხიერს", უთვალთვალებს, როგორ ამოწმებს მსოფლიო პროლეტარიატი საბჭოთა კავშირის მიღწევებს სოციალიზმის ფრონტზე და, ძალიან საეჭვოა ითქვას, რომ მენშევიზმის ბებერი „მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით". ცხადია, მენშევიზმი და მისი ბელადი ველარ გაიტეხს იმედს; კაუცკი კიდევ შერჩა „სიცილ - ღიმილს", მაგრამ ბავშმაც კი იცის, „ზოგჯერ სიცილი ცრემლზე უფრო მწარეა". აი ამ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲡ გავაცნობ მკითხველს.

ᲒᲠ. ᲛᲣᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

(გაგრძელება იქნება)

---

[1] Karl Kautsky, Terrorismus und Kommunismus. ბერლინი. 1925. გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 285. ხაზი ჩემია.

[3] იქვე, გვ. 297. ხაზი ჩემია.

[4] იქვე, გვ. 292. ხაზი ჩემია.

[5] Ю. Мартов. Мировой большевизм, ბერლინი 1923. გვ. 13. ხაზი ჩემია.

[6] Н. Жордания. Большевизм, გვ. 81-82, ხაზი ჩემია.

[7] ნ. ჟორდანია. ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი. გვ. 47. ხაზი ჩემია.

[8] იქვე, გვ. 45. ხაზი ჩემია.

[9] იქვე, გვ. 51. ხაზი ჩემია.

[10] ნ. ჟორდანია. ჩვენ და ისინი. გვ. 36.

[11] Ленин. Соч. ტ. XV, გვ. 392.

[12] Kautsky. Terrorismus und Kommunismus. გვ. 5. ხაზი ჩემია.

[13] Karl Kautsky. Die materialistische Geschichtsauffassung, ბერლინი, 1927, ტ. II, გვ. 475. ხაზი ჩემია.

[14] იქვე. ხაზი ჩემია.

[15] Ленин. Собр. соч. ტ. XVI, გვ. 9-10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი კვების შემოწმება

მუშათა ბრიგადები დაუნდობლად ააშკარავებენ საზოგადოებრივ კვების დარგში არსებულ ნაკლოვანებებს

მუშკოოპის სასადილოები მეტი მოგების მიზნით ხელოვნურად ადიდებენ ფასს

პროვინციებში სახალხო კვების საქმე უნდა გადავიდეს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგებლობაში

საზოგადოებრივი კვების გაჯანსაღებისათვის

ახლანდელ პირობებში მუშა - მოსამსახურეთა ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება საზოგადო კვების საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენების გარეშე.

ამავე დროს, საზოგადოებრივი კვების საქმე ჩვენში ორივე ფეხით მოიკოჭლებს: „სახკვება" და კოოპერატიული ორგანიზაციები უძლურნი აღმოჩნდნენ საზოგადოებრივ კვების სწორი ორგანიზაციის საქმეში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოოპერატიული ორგანიზაციების სასადილოებში გამეფებულია შეუწყნარებელი ანტისანიტარული მდგომარეობა და უპასუხისმგებლობა. ხშირ შემთხვევებში „სახკვება"-ს სასადილოები გადაქცეულია სპეკულიანტების და ყოფილ მიკიტნების თავშესაფარად, რომელნიც თავიანთ ოინბაზობით უმოწყალოდ აცალიერებენ ჩამორჩენილ მუშების ჯიბეებს.

13 აპრილს მთავარ სახელოსნოს მუშამ წიკლაურმა — სწერს ჩვენი მუშკორი ლენინის რაიონიდან — მიიღო ჯამაგირი 80 მანეთის რაოდენობით. წიკლაური იმავე საღამოს შევიდა „სახკვების" № 14 სასადილოში და ერთი თვის ჯამაგირი სამი საათის განმავლობაში გაანიავა".

არის ისეთი ფაქტებიც, როდესაც „სახკვება"-ს სასადილოებში მთვრალ მუშებს ნაცვლად იმისა, რომ ღვინო აარიდონ, კიდევ უფრო აძალებენ ღვინის სმას იმ მიზნით, რომ სიმთვრალით გონება დაკარგულებს უფრო „სწორად" ჩუნგარიშონ დანახარჯი.

მუშები პირდაპირ გოდებენ იმ აუტანელ მდგომარეობაზე, რომელიც შექმნილია საზოგადოებრივ კვების დარგში: სიბინძურე, სურსათ - სანოვაგის უვარგისობა, ლოთობა, სიძვირე და სასადილოების ადმინისტრაციის თავაშვებულობა — აი ის უმსგავსოებანი, რომელსაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ კვების საქმეში.

საზოგადოებრივი კვების საქმე კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია პროვინციებში. აი რაც გვწერს ჩვენი კორესპონდენტი საზოგადოებრივ კვების შესახებ ხობის რაიონიდან, (ზუგდიდის მაზრა), ხობის რაიონში საზოგადოებრივ კვებას განაგებს სარეწაო კოოპერაცია. ამ კოოპერაციის სასადილოებში მთავარი „საკვები" არის ღვინო. სოფ. ხეთის, ხობის, ქვალონის და ნოჯიხევის სასადილოებში ღვინისათვის საჭირო „ზაკუსკის" გარდა არაფერი საჭმელი არ მზადდება. ყველა სასადილოებში საშინელი სიძვირეა. სასადილოები ადგილობრივ გლეხების და მუშების თვალწინ ბოთლ ღვინოს 25 კაპეიკად ყიდულობენ და სასადილოში იმავე ღვინოს ექვს აბაზად ჰყიდიან. ადგილობრივი სასადილოები საგანგებოთ ემზადებიან იმ დღისათვის, როდესაც მუშები ხელფასს იღებენ. მუშები ჩივიან „ამ დუქანმა ტყავი გაგვაძრო და ის უნდა დავწვათო".

ამ მდგომარეობას არავინ ყურადღებას არ აქცევს და სასადილოების მესვეურები კი ხალხის მოტყუებით ჯიბეებს ისქელებენ".

ამ მდგომარეობას გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს. უპირველესად ყოვლისა უნდა დაჩქარდეს საზოგადოებრივ კვების საქმის სერიოზული და პასუხისმგებელი სამეურნეო ორგანოების გამგებლობაში გადაცემა.

გარდა ამისა, ახლავე უნდა იქნას მიღებული ზომები სასადილოების იმ საეჭვო პირებისაგან და ყოფილ მიკიტნებისაგან გასაწმენდათ, რომელნიც სახკვების საქმეს პირადი სარგებლობისათვის იყენებენ. ამავე დროს უნდა გაძლიერდეს მუშების დაწინაურება საზოგადოებრივ სასადილოს გამგეების თანამდებობებზე.

რაც შეეხება პროვინციის სასადილოებს, ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადავიდნენ სამომხმარებლო კოოპერაციის განკარგულებაში და ამ უკანასკნელთ უნდა დაეკისროს უშუალო პასუხისმგებლობა სახკვების სათანადოთ დაყენების საქმეში.

დასასრულ საჭიროა ლოთობასთან ბრძოლის გაძლიერება. ამისთვის, სასადილოებში უნდა მოეწყოს ლოთობის საწინააღმდეგო ლოზუნგების, პლაკატების და სურათების გამოფენა. სასურველია აგრეთვე საექიმო კონსულტაციის და საუბრების მოწყობა ლოთობის დამღუპველი გავლენის გასარკვევად და სხვ.

საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების დარგში მუშების მოთხოვნილება დაკვრითი წესით უნდა შესრულდეს.

ახალი

სასადილოა თუ თავლა

(გურჯაანი)

კახეთის საოლქო ცენტრის გურჯაანში გადმოტანის გამო, გურჯაანში ერთი სამად გადიდდა მცხოვრებთა რიცხვი. ეს გარემოება ავალებდა სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელებს გაედიდებიათ სასადილოების ქსელი ქ. გურჯაანში, მაგრამ ეს არ მოხდა.

გურჯაანში არის ერთი უკაცრავად სიტყვაა „სასადილო", იგი თავლას უფრო წააგავს ვინემ სასადილოს. მიუხედავათ ერთი-ათად გადიდებული მოთხოვნილებისა — გურჯაანის „ეპოს" არავითარი ზომები არ მიუღია აღნიშნული სასადილოს გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად.

ზემოაღნიშნულ სასადილოში, რომ ისადილო ორი საათი რიგში უნდა იდგე; ხშირია შემთხვევები, როდესაც მუშა - მოსამსახურეები სამუშაო საათის დამთავრებამდე სტოვებენ დაწესებულებას და გარბიან აღნიშნული სასადილოს რიგში ჩასადგომად.

მიუხედავათ იმისა, რომ გურჯაანში ყოველთვის შეიძლება საღი სურსათ - სანოვაგის საკმარისად შოვნა — სასადილოში მაინც ყოველთვის „კრიზისია", რაც სასადილოს ადმინისტრაციის უთავბოლობით და შეუფერებლობით უნდა აიხსნას.

დამტკიცებულია, რომ გურჯაანის სასადილოში მსახურებენ გადამდები ვენერიული სნეულებით შეპყრობილი თანამშრომლები, მაგრამ მათი ჩამოსაშორებლად დღემდე არავითარი ზომები არ მიუღიათ.

გურჯაანი კახეთის საოლქო ცენტრია. იქ თავს იყრიან ოლქის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გლეხები, მუშები, ბრიგადები და სხვ. ადგილობრივი სასადილო ვერ წვდება ამგვარად გადიდებულ მოთხოვნილებას.

საჭიროა გურჯაანში საზოგადოებრივი სასადილოების საკმარისი ქსელის დროზე მოწყობა. ახლანდელი სასადილო კი დაუყოვნებლივ უნდა გადაკეთდეს და უნდა გაიწმინდოს შეუფერებელი თანამშრომლებისაგან.

ფართხუ

ბურჟუაზიული სასადილო

პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიის სამი მუშისაგან შემდგარ ბრიგადამ დაათვალიერეთ პლეხანოვის გამზირზე მდებარე მუშკოოპის სასადილო.

გამოირკვა, რომ აღნიშნული სასადილოს მუშები მეტად აუტანელ პირობებში მუშაობენ. სამზარეულოს მუშებს არა აქვთ სპეცტანსაცმელი, ჭურჭლის სარეცხი ვანა და პირის საბანი.

გარდა ამისა, სასადილოში აუტანელი სიძვირეა მაგალითად, მაკარონი ღირს 60 კაპ., ლობიო 40 კაპ., კატლეტი 60 კაპ., ინდაურის ხორცი 3 მან. და სხვ.

თვით სასადილოს გამგემ დაადასტურა ის გარემოება, რომ ზედმეტი სიძვირის გამო სასადილოში მუშები იშვიათად დადიან; სასადილოში ყოველდღიურად სადილობს 600 კაცი, აქედან მუშები მხოლოდ არიან 35-დან 40-მდე. იმის მიზეზი, რომ სასადილოში მუშები არ დადიან, მხოლოდ და მხოლოდ ფასების არაჩვეულებრივი სიდიდით უნდა აიხსნას.

სასადილოში ზის ორი მოლარე მაშინ, როდესაც ერთიც თავისუფლად შეასრულებდა მოლარის მოვალეობას.

გარეგნულად სასადილო სუფთად და მიმზიდველად არის მოწყობილი. საჭიროა აღნიშნულ სასადილოს მუშაობის ისე დაყენება, რომ იგი მუშებს და ხელმოკლე მოსამსახურეებსაც იზიდავდეს.

ელ. მურაკაშვილი

რა ვნახეთ

თბილისის ტრამვაის მუშების მიერ გამოყოფილმა ბრიგადამ ა. წ. 16 აპრილს დაათვალიერეთ „სახკვების" მეორე, მეოცე და სასტუმრო „ევროპის" სასადილოები.

მეორე და მეოცე სასადილოებში სისუფთავე, როგორც სამზარეულოში, ისე სასადილოში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული; ამ სასადილოს თანამშრომლები თავიანთ თანამდებობის შესაფერისნი არიან და ისინი მოსადილეებსაც ზრდილობიანად და თავაზიანად ეპყრობიან.

რაც შეეხება სასტუმრო „ევროპას" სასადილოს, იგი სადილზე და ყოველგვარ სურსათ - სანოვაგეზე უაღრესად გადიდებული ფასებით განირჩევა ყველა სასადილოებისაგან. აღნიშნულ სასადილოში ფასები გადიდებულია არა მარტო ძვირფას საჭმელებზე, არამედ ისეთი მასიური მოხმარების სანოვაგეზეც, როგორიცაა პური, მწვანილი და სხვ.

სასტუმრო „ევროპას" სასადილოში ზომაზე მეტად გადიდებულია ფასები პურზე: ბრიგადის წევრები მოწმენი ვიყავით ისეთი ფაქტისა, როდესაც ორ მოსადილეს უანგარიშეს 6 აბაზის პური.

სწორედ ამისათვისაა, რომ სასტუმრო „ევროპა"-ს სასადილოში თითქმის სრულებით არ დადიან მუშები და დაბალი ხელფასის მოსამსახურეები. აღნიშნული სასადილო „დიდი კაცების" და წვრილ - ბურჟუაზიულ - მეშჩანურ წრეებისათვისაა მხოლოდ ხელმისაწვდომი.

საჭიროა აღნიშნულ სასადილოში არსებული ფასების გადასინჯვა და მისი იმგვარად შემცირება, რომ მუშებმა შესძლონ ამ სასადილოთი სარგებლობა.

გ. შინ.

საქ. პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალურ ბიუროს პლენუმი

19 აპრილს შესდგება საქ. პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალურ ბიუროს პლენუმი. პლენუმის სხდომაზე გაირჩა სტუდენტთა ორგანიზაციებში მომხდარი უმსგავსოებანი. პლენუმი ერთხმად შეუერთდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებებს სახელმწ. უნივერსიტეტის აღმასბიუროს და ცენტრალურ ბიუროს შესახებ და მიიღო ის ცხოვრებაში გასატარებლად. პლენუმმა დაადგინა—დაშლილად გამოაცხადოს სახელმ. უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასბიურო და გამოჰყო კომისია ამხ. გაბიანის, ბარამიძის და ვაშაკიძის შემადგენლობით სახ. უნივერს. სტუდენტთა აღმასბიუროს ხელახალ არჩევნების ჩასატარებლად. სახელმწ. უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასბიუროს ხელახალი არჩევნები დანიშნულია 28 აპრილისათვის.

ამხ. ხ. გეგენავას მაგიერ პლენუმმა პროლეტ. სტუდენტთა ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ვაშაკიძე. პლენუმის დადგენილებით პროლეტარულ სტუდენტთა სრულიად საქართველოს ყრილობა მოწვეულია 3 მაისისათვის.

ანტონ ნატროშვილი

18 აპრილს თბილისში გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი და ისტორიკოსი ანტონ ივანეს ძე ნატროშვილი.

ა. ი. დაიბადა 1852 წ. ქვემო მაჩხაანში. 50 წლის განმავლობაში განსვენებული მოღვაწეობდა პედაგოგიურსა და საზოგადო ასპარეზზე. (1885 წლიდან 1927 წლამდე მასწავლებლობდა სხვადასხვა სასწავლებლებში).

მის კალამს ეკუთვნის მრავალი ისტორიული არქეოლოგიური გამოკვლევები, როგორც მაგ. მცხეთაზე, ათონზე. „საქართველოს გეოგრაფია" 2 ტომი. „საქ. გეოლოგიური თვალდასავალი", „ქიზიყის სიმდიდრენი", „კრებული არითმეტიკული ამოცანებისა", «Критический разбор учения Огюста Конта о трех фазисах развития человечества». «Религиозные воззрения тушов, пшавов и хевсуров» და სხვ. მრავალი. მასვე ეკუთვნის მრავალი ნაშრომები სამეურნეო საკითხებზე: „კავკასიის კამეჩი", „თუთის პლანტაციები საქართველოში", „საქ. მეცხვარეობა", „სათრიმლავი ხეები საქ-ში", „მსხვილი რქოსანი საქონელი საქ-ში" და სხვ.

ან. ნატროშვილს მრავალი ლექციები აქვს წაკითხული საქ. დაბა სოფლებში გეოლოგიიდან და სხვ. ითვლებოდა სარედაქციო კოლეგიის წევრად გაზ. „Кавк. общ. сельского хозяйства", წევრად თბილისის საარქეოლოგიო საზოგადოების, „საისტორიო საეთნოგრაფიო საზ-ბისა", კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა და სხვ.

დაკრძალვა მოხდება ხვალ, ორშაბათს, 21 აპრილს, დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

გ. ლ.

ქრონიკა

განსაკუთრებულ გამოსაღების დაწესება სასტუმროებსა და რესტორანებში

საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: სასტუმროებსა და რესტორანებში დანახარჯებზე დაწესდეს განსაკუთრებული დანარიცხები.

ამ დადგენილების მიხედვით იმ რესტორანებსა და სასადილოებში, სადაც იყიდება მაგარი სასმელები, მომხმარებელი 1 მან. 50 კაპეიკს ზევით დანახარჯის საერთო ჯამზე დამატებით იხდის 15 პროც.

თბილისის სასტუმროში მცხოვრებნი, იმ შემთხვევაში, როცა დანახარჯი აღემატება დღიურად 5 მანეთს, დანარიცხის სახით ზედმეტად იხდიან დანახარჯის 15 პროც., ხოლო ოლქის დანარჩენ ადგილებში არსებულ სასტუმროებში მობინადრენი დანარიცხს იმავე რაოდენობით იხდიან 3 მანეთზე ზევით.

დანარიცხებიდან შემოსული თანხები შეტანილ უნდა იქნას აღმასკომის სალაროში.

საქონლის გაყიდვა კერძო პირებზე

სათანადო უმაღლეს ორგანოების დადგენილებით, სავაჭრო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კერძო პირებზე განსაზღვრულ რაოდენობის ზევით საქონლის გაყიდვა. იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად სრულდება აღნიშნული დადგენილება, თბ. აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელმა განყოფილებამ მოახდინა შესაფერი გამოკვლევა.

აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი სავაჭროები დიდი რაოდენობით აწვდიან საქონელს კერძო პირებს. ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად საქონლის საფასურს სწერენ სხვადასხვა და რამდენიმე ჩეკით.

მიღებულია ზომები დამნაშავეთა დასასჯელად.

წითელი მილიციის ცხრა წლის თავი

წითელი მილიციის ცხრა წლის თავის აღსანიშნავი დღესასწაული, რომელიც უნდა გამართულიყო 20 აპრილს, გაიმართება 25 აპრილს.

ანტისააღდგომო კამპანია

ანტისააღდგომო კამპანიასთან დაკავშირებით, საქ. ავტო-გზამ მოაწყო ველოსიპედისტების გადარბენა შემდეგი მიმართულებით: თბილისი-ლიუქსემბურგი და უკან. გადარბენაში მონაწილეობს 30 ველოსიპედისტი, 1 მოტოციკლეტი და 1 საბარგო ავტომობილი.

გადარბენა დაიწყო გუშინ დილით. გადარბენაში მონაწილენი დაბრუნდებიან დღეს.

მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქის კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ხვალ, 22 აპრილს. მლაშე ტბის რაიონში იწარმოებს. საბრძოლო საარტილერიო სროლა.

თათბირები მევენახეობის საკითხებზე

სრ. საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კოოპერატიულ და კოლმეურნეობათა რაიგანაერთების კავშირი „საქართველოს ღვინო" თანხმად გასულ წლის „საქართველოს ღვინო"-ს თაოსნობით მოწვეულ თათბირის დადგენილებისა, აპრილის დამლევ რიცხვებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მართავს სპეციალისტების და აგრონომების თათბირებს. თათბირები განიხილავენ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს მიმდინარე წელს ვაზის სნეულებების და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა.

ტრაქტორები ძველმანების შეგროვებისათვის

ამიერ-კავკასიის სახბანკი საუტილიზაციო ნედლეულის საზ-ბასთან ერთად შეუდგა ამიერ-კავკასიაში სატრაქტორო ახალ სესხის: —„სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის" გავრცელებას. იმ კოლექტივებს და გლეხებს, რომლებიც შეაგროვებენ ძველმანებს და გადასცემენ საუტილიზაციო ნედლეულის საზოგადოებას, ჩაბარებულ ძველმანების საფასურით მიიღებენ აღნიშნულ სესხის ობლიგაციას.

სულ ამიერ-კავკასიაში უნდა გავრცელდეს 1.000.000 მანეთის ობლიგაცია. ობლიგაციების ღირებულებით შეძენილი იქნება 330 ტრაქტორი, რომლებიც განაწილდება ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის.

კოლმეურნეობებში ანგარიშწარმოების მუშაკთა გადასამზადებელი კურსები

კოლმეურნეობებისათვის აღრიცხვის მუშაკთა გადასამზადებელ კოლმეურნეობის ანგარიშწარმოების 3 კვირიან კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 22 აპრილს, საღამოს 7 საათზე.

აღრიცხვის ყველა მუშაკები, რომელნიც ჩაეწერენ აღრიცხვის მუშაკთა გაერთიანების რესპუბლიკანურ ბიუროში და ნებაყოფლობით განაცხადეს სურვილი სოფლად კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოზე წასვლის, უნდა გამოცხადდნენ აღნიშნულ დროზე შემდეგ მისამართით: ლერმონტოვის ქ. № 8. მე-72 შრომის სკოლის შენობაში.

სხვადასხვა

◆ პედაგოგიურ ფაკულტეტთან არსებულ დიალექტიკურ მატერიალიზმის წრეში დღეს, საღამოს 7 საათზე (აუდიტორია 28) დოც. ქ. ბაქრაძე წაიკითხავს მოხსენებას: „დიალექტიკური და ფორმალური ლოღიკა".

ფართოვდება ქალაქის კეთილმოწყობა

თბილისის საბჭოს პლენუმი

მუშათა თეატრის დარბაზში 18 აპრილს შესდგა თბილისის საბჭოს პლენუმი. პლენუმზე საფინანსო განყოფილების გამგემ ამხ. ნიორაძემ 1929-30 წლის ქალაქის ბიუჯეტის შესახებ გააკეთა ვრცელი მოხსენება.

მომხსენებელი პირველ რიგში შეეხო საშემოსავლო წყაროებს და იმ საშუალებებს, რომლითაც შესაძლებელი ხდება ქალაქის კეთილმოწყობაზე, კომუნალურ მეურნეობაზე, სახ. განათლების და ჯანმრთელობის საქმეზე, წელს გაცილებით მეტი დაიხარჯოს, ვიდრე შარშან იქნა გაღებული. გარდა ადგილობრივ შემოსავლის წყაროების მაქსიმალურად გამოყენებისა, აღმასკომის ბიუჯეტის გადიდებას ხელს უწყობს რესპუბლიკური და საკავშირო ფონდებიდან საგრძნობი დოტაციები.

წელს შარშანდელთან შედარებით გადიდებული საგასავლო ნაწილი უმთავრესად მოხმარდება სოციალურ-კულტურულ საქმის გაძლიერებას და კომუნალურ მშენებლობას. ასე მაგალითად, თუ სახ. განათლებაზე შარშან დაიხარჯა 3.021.546 მ., წელს დაიხარჯება 3.902.314 მანეთი; სახალხო ჯანმრთელობის დასაცავად წელს გადადებულია — 2.540.479 მ., შარშან გაღებულ იქნა— 2.519.798 მ.

სოციალურ-უზრუნველყოფაზე წელს დაიხარჯება 141.179 მ., ანუ 30.000 მ. მეტი შარშანდელთან შედარებით.

შრომის დასაცავად და უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად გადადებულია 124 ათ. მანეთი, შარშან კი ამ საქმეზე დაიხარჯა მხოლოდ 64.513 მანეთი.

სასოფლო მეურნეობის საქმის გაუმჯობესებას 45.000 მ. ნაცვლად წელს მოხმარდება 134.442 მანეთი.

ადგილობრივ მრეწველობაზე შარშან დაიხარჯა—666.936 მანეთი, წელს ახალი ქარხნების ასაგებად, არსებულ ქარხნების გასაკეთებლად და გასაფართოებლად გადადებულია 1.004.110 მანეთი.

განსაკუთრებით საგრძნობი თანხები იხარჯება კომუნალურ მეურნეობაზე და წარმოებებზე, რაც გამოწვეულია ქალაქის კეთილმოწყობის საქმის გაფართოებით, ახალ კომუნალურ წარმოებების მოწყობით და საბინაო მშენებლობის გაძლიერებით.

კომუნალურ მეურნეობაზე თუ შარშან დაიხარჯა 2.188.682 მ., წელს იხარჯება — 3.507.496 მანეთი.

არსებულ კომუნალურ წარმოებების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ახალი წარმოებების მოსაწყობად გადადებულია — 12.637.342 მანეთი, ანუ 2 მილიონით მეტი შარშანდელთან შედარებით.

აქედან მარტო ნატახტარის წყალსადენის გამოსაყვანად დაიხარჯება 2.150.000 მანეთი, ახალ საბინაო მშენებლობაზე—1.200.000 მანეთი, აგრეთვე გაძლიერებული იქნება მუშაობა უბნების კანალიზაციისა და წყალსადენის ქსელი, ტრამვაის მშენებლობა და სხ.

ქალაქში საზოგადოებრივ წესრიგის დასაცავად და ადმინისტრატიულ ხარჯების დასაფარავად გათვალისწინებულია 812.631 მანეთი. შარშან კი გაღებული იყო 689.200 მანეთი. ადმინისტრატიულ ხარჯების ზრდა გამოწვეულია მილიციელთა ხელფასის გადიდებით და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებით. 1 იანვრამდე მილიციელს თვეში ეძლეოდა 45 მანეთი, ეხლა ეძლევა 55 მანეთამდე.

განათლების დარგშიაც ბიუჯეტის გადიდება გამოწვეულია მასწავლებელთა ხელფასის გადიდებით და სკოლების კაპიტალური შეკეთების მიზნით.

სხვადასხვა მოულოდნელ ხარჯებისათვის გადადებულია 3.336.305 მანეთი. ამრიგად ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი (საბრუნავი თანხების გამოკლებით) უდრის 28.417.367 მანეთს, ხოლო შემოსავალი 32.810.734 მანეთს; განსხვავება 4.393.000 მანეთი მოხმარდება ოლქში საბჭოთა მშენებლობის გაძლიერების საქმეს.

შემდეგ თანამოხსენებით გამოვიდა საფინანსო-სამრეწველო სექციის წარმომადგენელი ამხ. რუდნევი.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა ცხოველი კამათი. კამათში გამოსულ ამხანაგები მოითხოვდენ ბიუჯეტის მტკიცედ დაცვას, საკანცელარიო სამმართველო ხარჯების შემცირებას, საბინაო მშენებლობისათვის მეტი ყურადღების მიქცევას, გარეუბნების კეთილმოწყობას, სკოლებთან კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობას და სხ.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია. პლენუმმა მიიღო აგრეთვე რეზოლიუცია წინა სხდომაზე კომუნალური მეურნეობის შესახებ გაკეთებულ ამხ. ქ. ოდილავაძის მოხსენების ირგვლივ.

ხელოვნება

ხარლამპე ივანეს ძე სავანელი

(1845—1890 წ.)

23 აპრილს სახ. კონსერვატორიაში შესდგება განსაკუთრებული საღამო-კონცერტი ხარლამპე სავანელის მოღვაწეობის აღსანიშნავად მუსიკალურ სწავლა-განათლების დარგში. 40 წელიწადი სრულდება ხარლამპე სავანელის გარდაცვალების დღიდან. საბჭოთა ქვეყანაში ხარლამპე სავანელი არ უნდა იქნას დავიწყებული.

ხარლამპე ივანეს ძე სავანელი დაიბადა 1845 წელში, საშუალო სწავლა დაამთავრა თბილისის ვაჟთა სასწავლებელში და უმაღლეს სწავლა-განათლების მისაღებად გაემგზავრა ლენინგრადში (ყოფილ პეტერბურგში), სადაც სწავლობდა მისი ძმა ვასილ სავანელი. აქ ხ. სავანელი გაიტაცა რევოლუციონურ მოძრაობამ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა პირველ აჯანყებაში. დიდხანს ინახავდა ხ. სავანელი თავს მეფის ოხრანკის კლანჭებიდან, ცხოვრობდა არალეგალურად მეტად მძიმე პირობებში. მაგრამ მაინც ვერ გადაურჩა პოლიციას. ის და მისი ძმა ვასილ დაპატიმრებულ და მოთავსებულ იქნენ პეტრე-პავლეს ციხეში. როდესაც ხ. სავანელი განთავისუფლდა საპატიმროდან, აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტიდანაც გამორიცხული იყო. ამის შემდეგ მან ხელი მიჰყო სიმღერის სწავლას, და შევიდა პეტერბურგის ახლად დაარსებულ კონსერვატორიაში ვოკალურ ფაკულტეტზე, სადაც დაუახლოვდა იმავე კონსერვატორიის სტუდენტს შემდეგში ცნობილ კომპოზიტორ პ. ი. ჩაიკოვსკის. თავისი შესანიშნავი ხმით (ბარიტონით) და ნიჭით ხ. სავანელმა მიიქცია რუბინშტეინის ყურადღება. რუბინშტეინისა და ზარემბას ხელმძღვანელობით მან შეისწავლა მუსიკის თეორია და ამავე დროს გაიარა სიმღერის სკოლა პროფ. [illegible] კლასში. სავანელმა წარჩინებით დაამთავრა კონსერვატორია, რის შემდეგაც დაბრუნდა თბილისში. აქ ის მაშინვე შეუდგა საქმეს, შეადგინა სიმღერის მოყვარულთა გუნდი და 1874 წლის 24 აპრილს გამართა პირველი კონცერტი საქართველოში და ამავე დროს ამიერ-კავკასიაშიაც. ამის შემდეგ მან თავი შეუყარა თბილისში მყოფ მუსიკოსებს: ალიხანოვს, მიზანდარს, გაბაშვილს, ეპკეინს და სხვ. მოაწყო ფორტეპიანოს, სიმღერის, ვიოლინოს, ფლეიტის და სიმღერის თეორიის კლასები. ამგვარად ჩამოყალიბდა თბილისის მუსიკალური სკოლა—პირველი მუსიკალური სასწავლებელი ამიერ-კავკასიაში. სკოლის საქმიანობამ მალე მიიქცია ყურადღება. შემდეგში ეს სკოლა გაფართოვდა და ჩამოყალიბდა სახელმწიფო კონსერვატორიად.

ხარლამპე სავანელი ვერ მოესწრო ამ თავის შრომით შექმნილ დიდ საქმის დაბოლავებას. 1890 წლის 20 აგვისტოს ის გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით ქ. ლენინგრადში, სადაც გადასახლებული იყო ძველი მთავრობის მიერ.

დღეს, ჩვენი სახ. კონსერვატორია იგონებს თავის პირველ დამაარსებელ ხარლამპე სავანელს და მის ხსოვნის აღსადგენად ახალგაზრდობაში მართავს საზეიმო კონცერტს.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

სასამართლო

„ზაქმიასოტორგის" ყოფ. დირექტორის საქმე

დღეს უზენაეს სასამართლოში დაიწყება „ზაქმიასოტორგის" „მოღვაწეთა" ჯგუფის საქმის განხილვა ყოფ. დირექტორ მელიქის მეთაურობით, რომელსაც ბრალდება თანამდებობის ბოროტად გამოყენება, სახელმწიფოსათვის არახელსაყრელ და საზარალო ხელშეკრულების დადება კერძო პირებთან, სამსახურისადმი გულგრილი დამოკიდებულება და სხვ., რასაც მოჰყვა სახელმწიფოსთვის 350.000 მანეთის ზარალი და ამიერ - კავკასიის ხორცის ბაზრის მომარაგების შეფერხება.

პროცესი დაიწყება დილის 10 საათზე უზენაეს სასამართლოში ამხ. სუფხიშვილის თავმჯდომარეობით.

ბრალს სდებს რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე ამხ. კაპანაძე. ვერ.

რკინის გზა შირაქში

შირაქის რკინის გზის შტოს გაყვანას თან დაკავშირებით ისმება შუა კავკასიის რკინის გზის გაყვანის საკითხი

შირაქის ველზე ნავთის სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი შირაქის ველზე რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ. რკინის გზის შტომ უნდა უზრუნველჰყოს შირაქის ველზე წარმოებული ნავთის სამუშაოები საღმშენებლო მასალებით.

შტოს გაყვანის პროექტის შედგენა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მიანდო ამიერ-კავკასიის რკინის გზას, რომელმაც ადგილობრივ უკვე ჩაატარა კვლევა-ძიებითი მუშაობა და შეიმუშავა მისი გაყვანის სამი ვარიანტი. მათ შორის ყველაზე უკეთესად და მიზანშეწონილად გზის სპეციალისტების მიერ ცნობილია ვარიანტი, რომლის მიხედვით შტო უნდა დაიწყოს ბაქან კაჭრეთიდან (სადგ. ბადიაურისა და მელანის შუა კახეთის ხაზზე) და მიაღწიოს სოფ. ალექსანდროვკამდე, აქედან იგი მთაგორიან ადგილებზე გავლით ჩაიდეს საგიდავა-სერის უღელტეხილამდე, იქიდან მთა ქაჩებამდე და ასე შემდეგ.

შტოს მთელი სიგრძე უდრის 60—64 კილომეტრს. აქედან 40 კილომეტრის მანძილზე იგი გაივლის მთაგორიან ადგილებში.

ამ ვარიანტს ის უპირატესობა აქვს დანარჩენებთან შედარებით, რომ ტექნიკურად მისი შესრულება უფრო იოლია. ამასთანავე მისი უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ამ ვარიანტის მიხედვით შირაქის ველზე რკინის გზის გაყვანა სწყვეტს შუა-კავკასიის რკინის გზის მაგისტრალის გაყვანის მომავალ საკითხს.

შუა-კავკასიის რკინის გზის გაყვანის საკითხს დიდი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომამდე იყო დასმული საკითხი ამ გზის გაყვანის შესახებ. ჩატარებული იყო ყოველგვარი წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა, საღმშენებლო კომიტეტიც კი დაარსეს, რომელიც უნდა შესდგომოდა მუშაობას 1914 წელს, მაგრამ იმპერიალისტურმა ომმა შეაფერხა ეს საქმე და იგი ჩაიშალა. აღსანიშნავია, რომ ამ გზის გაყვანაში მონაწილეობა უნდა მიეღო საფრანგეთის კაპიტალს.

მაშინდელი პროექტით გზა უნდა დაწყებულიყო წნორის-წყალიდან, უნდა გაევლო ზაქათალაზე, ნუხაზე და მიეღწია ბაქომდე.

გზას უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ეძლეოდა მით, რომ იგი გაივლიდა [illegible] აზერბეიჯანის ეკონომიურად მეტად მდიდარ რაიონებზე (ზაქათალა-ნუხის ოლქი).

დღეს ამ გზას, გარდა ეკონომიური მნიშვნელობისა, ეძლევა პოლიტიკური მნიშვნელობაც და ამისათვის ხსენებული გზის გაყვანა დღეს საბჭოთა აღმშენებლობის ცენტრშია მოქცეული. გათვალისწინებულია მისი შენების დაწყება მეორე ხუთწლედში, მაგრამ უკვე არის აზრი, რომ სამუშაოებს შეუდგნენ პირველ ხუთწლედშივე.

ვინაიდან შუა-კავკასიის რკინის გზის გაყვანის საკითხი ასე პრინციპიალურად არის დასმული, შირაქში წარმოებულ ნავთის სამუშაოსთან დაკავშირებით წამოყენებულია მოსაზრებები ამ გზის მიმართულების ცოტაოდენ შეცვლის შესახებ ისე, რომ იგი დაიწყოს არა წნორის-წყალიდან, არამედ კაჭრეთიდან და მაშინ პროექტით გათვალისწინებული შირაქის რკინის გზის შტო ჩაითვლება შუა-კავკასიის მაგისტრალის დასაწყის უბნად. ამ შემთხვევაში გზა დაიძვრება თუკურმიშიდან („კრასნიე კოლოდცი") ალაზნის ველზე და ამგვარად შირაქის შტო მის მთელ სიგრძეს შეამცირებს 25—30 კილომეტრით.

შირაქის რკინის გზის შტოს გაყვანის ასეთი ვარიანტი ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ წარუდგინა ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს, რომელიც მას განიხილავს და გამოიტანს სათანადო დასკვნას.

შირაქის რკინის გზის შტოს გაყვანის სამუშაოები გადაეცემა ალბად ამიერ-კავკასიის ახალ რკინის გზების საღმშენებლო კომიტეტს.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) დ. ჯაკობია (ახალ-სენაკი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) ხ. კალანდაძე (თბილისი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

8 დეკემბრის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა.

ამოცანა ხ. კალანდაძის. შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. კa7—b8 (ეe5× მუქარით) I. 1.., ეd6 2. მ:d6× II. 1.., ეa3—a5 2. ეe3× III. 1.., ეe6 2. ეc4× IV. 1.., მf3 2. gf× და სხვა...

ამოცანა ა. ჩირაძის. შამათი სამ სვლაში, გადაწყვეტა: 1. მe5—f7!

I. 1.., მფg4 2. მe3+, მფh3 (ან h4, h5 და ან მფf4) 3. ეh6× ან ეf6× II. 1.., მფf4 2. მe3, მფf3 3. ეf6×

პასუხი მკითხველებს

ხ. კალანდაძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. ჩირაძემ, კ. სანაძემ, გ. ლომსაძემ, აპ. ხუნჯუამ, პ. ქაცარავამ, ა. შათირიშვილმა (ქუთაისი), ო. ჯინორიამ (სამტრედია), შ. ჭიპაშვილმა (ხაშური), ი. კოტრიკაძემ (სამტრედია), ა. გეგენავამ (სენაკი), ს. ლოლობერიძემ (სოფ. გოჩა-ჯიხაისი) და დ. ჩომახიძემ (სამტრედია).

ა. ჩირაძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: პ. ქაცარავამ, გ. ლომსაძემ, ალ. ძაძამიძემ, კ. სანაძემ, ლ. მაღნარაძემ, დ. ჯაკობიამ (სამტრედია), შ. ჭიპაშვილმა (ხაშური), ს. ლოლობერიძემ (სოფ. გოჩა-ჯიხაისი), ა. შათირიშვილმა (ქუთაისი), ა. გეგენავამ (სენაკი), ვ. ქავთარიამ, ი. კოტრიკაძემ და დ. ჩომახიძემ (სამივე სამტრედიიდან).

ო. ჯინორიას (სამტრედია): თქვენს ამოცანაში იდეათ იგივე გაქვთ აღებული, რაც ი. კოტრიკაძის და ჯ. ჩომახიძის ამოცანაში იყო (29 იანვარი), რომელიც იქ უფრო კარგათაა გამოყენებული. ამას გარდა ამოცანას აქვს მეორე გადაწყვეტაც 1. ლc6. მეორეთ გამოგზავნილი ამოცანაც დასაბეჭდათ არ გამოდგება.

ბ. თავდუბაძეს (სამტრედია): თქვენი ამოცანები დასაბეჭდათ არ გამოდგება. უმეტეს ნაწილათ არ გაქვთ დაცული ამოცანისადმი წარდგენილი პირობები.

ი. კოტრიკაძეს (სამტრედია): ამოცანები მარტივია.

—:—

შეცდომის გასწორება

11 აპრილის №-ში მოთავსებულ ხ. კალანდაძის ამოცანაში თეთრი მეფე უნდა გადისვას h1-ზე და კუ კი h8-ზე.

შემთხვევები

მოწამვლა

ლუბა კონსტანტინეს ასულმა ივანოვამ (მცხ. განოვის ქ. № 14) მოიწამლა თავი, რომელიც იმავე დღეს გარდაიცვალა.

უეცარი სიკვდილი

აბანოს ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა გრიგოლ ოგანეზის ძე კრუეანი.

ხულიგნების დაპატიმრება

მილიციამ ხულიგნობისათვის დააპატიმრა გიორგი ბეხოიაშვილი, ორენ ერეტიანი და გიორგი ცილიძე.

ბავშვის დაკარგვა

17 აპრილს სახლიდან სკოლაში წავიდა და დღემდე არ დაბრუნებულა ფედია ვასილის ძე იეფიმოვი (მცხ. დიდუბის შესახ. № 9).

ქურდობა

ქეთევან სოკოლოვას (მცხ. გოგებაშვილის ქ. № 13) მოპარეს 300 მანეთად ღირებული ოქროს საათი,—გაქურდეს ლეონტი სუთიძის ბინა (ვერცხლის ქ. № 49)—ტრამვაის ვაგონში ნიკოლოზ სარდაროვს ჯიბიდან ამოაცალეს 244 მ. სახაზინო ფული.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 2

საქ. ს.ს.რ. შრომის სახკომისარიატის, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და პ-კავშირთა საბჭოსი

„სპეც-ნორმების საგნების მომარაგება ბელ კომისიის დაარსების შესახებ"

იმ მიზნით, რათა მრეწველობის მუშა-მოსამსახურეების სპეც-ტანსაცმელების, ფეხსაცმელების და მცველი საგნების მომარაგების საქმეში შეტანილ იქნეს საერთო გეგმიანობა —საქ. შრომის სახალხო კომისარიატი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და პროფკავშირთა საბჭო ადგენენ:

1. დაარსებულ იქნეს შრომის სახალხო კომისარიატთან მსხვილ საწარმოთათვის საჭირო სპეც-ტანსაცმელის და სხ. გეგმიურად მომარაგების კომისია საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სახელმწიფო ვაჭრობისა და თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლების შემადგენლობით, საქ. შრომის სახკომისარიატის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

შენიშვნა: აღნიშნულ კომისიის მომსახურეობა სწარმოებს საქ. შრომის სახკომისარიატის აპარატის მიერ.

2. ყველა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებს, ტრესტებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებებს და სხ. ევალებათ არა უგვიანეს 1930 წ. აპრილის 20-სა წარმოადგინონ აღნიშნულ კომისიაში განცხადებები 1930-31 წელში მუშა-მოსამსახურეთათვის საჭირო სპეც - ტანსაცმელი, ფეხსაცმელის და მცველი საგნების შესახებ ამა დადგენილებასთან დართულ ფორმის მიხედვით.

შენიშვნა: მე-2-ე მუხლში აღნიშნული ორგანოები კომისიისადმი განცხადების შეტანის მიუხედავად ვალდებულნი არიან იზრუნონ მუშების სპეც-ტანსაცმელების და სხვა სათანადო მცველი საგნებით უზრუნველსაყოფად და სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ასეთი საგნებით მუშების თავის დროზე მომარაგების საქმეში.

3. ფაბქარხკომებს და პროფრწმუნებულებს ევალებათ საჭირო დახმარება აღმოუჩინონ სამეურნეო ორგანოებს მეორე მუხლში აღნიშნულ ცნობების შედგენაში.

4. შრომის ადგილობრივ ორგანოებს ევალებათ სათანადო თვალყურის დევნება ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

საქართველოს შრომის სახკომისარი: — მზარეულაშვილი.

საქ. სახ. მეურნეობის უმ. საბ. თავმჯდ.: საბაშვილი.

საქ პროფკავ. საბჭოს თავმჯდომ. მაგ.: მაშკევიჩი.

დანართი: ს.ს.ს.რ. შრომის სახკომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და პროფკავშირთა საბჭოს 1930 წ. მარტის „—" თარიღით და „—" №-ით გამოცემულ დადგენილების მე-2-ე მუხლისა.

საქ. შრომის სარკომისარიატთან არსებულ „სპეც-ნორმების საგნების მომარაგებელ კომისიას"

ამასთანავე გიგზავნით 1930-31 წლისათვის საორიენტაციო გეგმას „ " წარმოებისათვის საჭირო სპეცტანსაცმელის, სპეც-ფეხსაცმელის და მცველი საგნების რაოდენობის შესახებ.

№ რიგი.	პროფესიების სახელწოდება.	საგნების სახელწოდება.	ქსოვილ. ან ტყავის სახელწოდება.	რაოდენობა.	ფარების ვადა.

ადმინისტრაციის ხელისმოწერა:

ფაბქარხკომის ხელისმოწერა:

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი
ორშაბათს, 21 აპრილს, მე-4 აბონემ. მე-15 წარმ. დ. დ. გოლოვინის მონაწილეობით ჯამბაზები საკონცერტო განყოფილება მ. ტ. სემიონოვას, დ. დ. გოლოვინის და ვ. ა. ხემიონოვის მონაწილეობით
სამშაბათს, 22 აპრილს აბონემენტის გარეშე დ. დ. გოლოვინის მონაწილეობით ევგენი ონეგინი
ოთხშაბათს, 23 აპრილს, აბონემენტის გარეშე აბესალომ და ეთერი
ნ. 665

აპოლო — 1-ლი ხეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — მხატვრული ფილმი სომხეთის კინოს ნაწარმოები შავი ფრთის კვეშ
რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი) — უკანასკნელ დღეს მხატვრული ფილმი ოპიუმი
ხოლეი — 1-ლი ხეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — უცხოეთის მხატვრული სურათი ბიძია თომას ქოხი ბიჩერ-სტოუს ცნობილი რომანის მიხედვით
პალასი — 1-ლი ხეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. — ახალი სურათი იუდა რეჟისორი—ივანოვ-ბარკოვი
სპარტაკი — ყოფ. არფასტო — მხატვრული სურათი წითელი ქალაქი
დარბაზი — 1-ლი ხეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. — დუგლას მაკ-ლინი კომედიაში ლეიტენანტი რილეი ცნობილი ჰუმორისტების ტრიო ბროუნტალის გასტროლები.

დღეიდან 21 აპრილიდან, ორშაბათიდან
კინო-თეატრ სპარტაკში (ყოფ. არფასტო) რ. პუჟნაია, ე. ცესარსკაია, მაქსიმოვა, გნედოჩკინი სურათში წითელი ქალაქი რეჟისორი ო. პრეობრაჟენსკაია
კინო-დარბაზში ცნობილი ჰუმორისტების ტრიო ბროუნტალის (მამა შვილებით) გასტროლი ეკრანზე კომედია ლეიტენანტი რილეი დუგლას მაკ-ლინის მონაწ.

ხ. ს. განათ. კომის. ნებართვით
თვითგანვითარებისთვის და საშემოდ. გამოცდებისათვის ვამზადებ მოწაფეებს
7 წლ. და 10 წლედ. დამთავრებულებს სპეც-ტეხნიკუმში: ინდუსტრ. ქიმიურ. ფარმაც. და უმაღლეს სასწავლებელში მუშათა ფაკულ. 1 და 2 კურს. და მუშათა უნივერსიტ. შესასვლელად, შემდეგ საგნებში: არითმეტ. ალგებ. გეომ. ტრიგონომ. ფიზიკაში, რუსულსა და გერმანულ ენაში, ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტ მოწაფეებსაც. შესდგება 2 ჯგუფი დილის და საღამოსი ჯგუფში 10 კაცი. ნახვა და ჩაწერა 1—7 საათამდის. მისამართი: კარლ მარქსის მოედნის ახლოს (ყოფ. ვორონცოვის მოედანი) პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 5.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში და ოდონტოლოგიურ ინსტიტუტში (პლეხანოვის პრ. № 126) დაიწყო ავადმყოფების მიღება საღამოს საათებში შეღავათიან ფასებში.
4—6-მდე კბილების მკურნალობა.
6—8-მდე ხელოვნ. კბილების ჩასმა.
25—3 818

მოხსენება სახ. უნივერსიტეტში
სახელმწიფო უნივერსიტეტის კოოპერაციის კათედრა ეკონომიურ სამეცნიერო წრესთან ერთად 21 აპრილს, საღამოს 6 საათზე ყოფილ ქიმიურ აუდიტორიაში აწყობს მოხსენებას „ლენინის კოოპერატიულ გეგმაზე" მომხსენებელი სოც. ეკონომიური ფაკულტეტის დეკანი ამხ. ა. ერქომაიშვილი. 2204

კურორტთა მთავარი სამმართველო
საკურორტო პერსონალის საყურადღებოთ აცხადებს, რომ საშუალო და უმცროს პერსონალმა დამდეგი სეზონისთვის სამსახურში აყვანის შესახებ უნდა მიმართონ ადგილობრივ საკურორტო სამმართველოებს ექიმებმა, სამნეო-ადმინისტრატიულ პერსონალმა და მზარეულებმა უნდა მიმართონ კურორტთა მთავარ სამმართველოს (ძმელაძის ქ. № 30 ა. წ. 5 მაისამდე.
საკურორტო სამმართველო. ნ. 669

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები (დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.
— მეტრიკ. ამონაწ. № 1433—ბეგლარ გიორგის-ძე გოგიშვილის სახ. 2209
— უვადო პირადი ვინაობის მოწმ.— ბენიამინ მოშეს-ძე დათიკაშვილის სახელზე. 2199
— ზაკტპოს საწ. წიგნ. № 24241—კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ადამიას სახელზე. 2201
— ერკოპის წიგნ. - ბარნაბ ი. ხაჭაპურიძის სახელზე. 2202
— აღმშენ. კავშ. საწ. წიგნ. № 13/41714—გიორგი ტერენტის ძე ზაქარაშვილის სახელზე. 2203
— პურის წიგნ. № 1526—დავით გალდავას სახელზე. 2207
— პურის წიგნ. № 766—მინადორა ვალდავას სახელზე. 2208
— უვადო პასპორტი—სანდრო სამანიაშვილის სახელზე. 2205
— ავადმყოფობის ფურცელი შორაპნის რკ. გზის ქსენონიდან გაცემული—გიორგი მეზარიშვილის სახელზე. 2205
— სამხ. სამსახ. განთავისუფ. მოწმ. იასონ მურღულიას სახელზე. 2205
— პირად. მოწმ. № 8157 და კავშ. წიგნ. № 1956—სილოვან შალამბერიძეს სახელზე. 2205
— კოოპ. წიგნ. № 2281—ლადო ქავთარაძის სახელზე. 2205
— სამხ. საალრ. ბილ. № 237—თედო ლალაშვილის სახელზე. 2205

ღრმად დამწუხრებულნი: სიძე იპოლიტე მამალაძე, შვილები: ვალენტინა და ანგელინა აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, მათთვის საყვარელ ადამიანის, გრიგოლ დავითის-ძე დოლიძის ტრაღიკ. გარდაცვ., დაკრძალვა 22 აპრ. სოფ. ბოხვაურში. ნ. 668

დამწუხრებულნი ვარდო და გრიგოლ ჩიჩუა შვილებით: ჟუჟულია, მუპუტა, დუტა, მიშა და კუპუნი, გრიშა ჟღენტი და მაცოცია დოლიძე იუწყებიან საყვარელი ადამიანის სახალხო მასწავლებლის გრიგოლ დავითის ძე დოლიძის ტრაღიკულად გარდაცვალებას. (ს)

ნატანების თემის შვიდწლიანი შრომის სკოლის პედსაბჭო, განათლების კავშირის წევრები: პროკოფი მამეშვილი, აკაკი მოკია, გ. ბოლქვაძე, იასონ წუწუნავა, ქეთო ნაკაიძე, ვალერიან ბაქანიძე, ვარლამ მალაზონია, ელენე ურუშაძე, გრიშა დოლიძე ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ 35 წლის დამსახურებული მასწავლებლის და უძვირფასეს ამხანაგის გრიგოლ დათას-ძე დოლიძის ტრაღიკულად დაღუპვის გამო. ნ. 676

საქართველოს განათლების მუშ. ოზურგეთის სამაზრო გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს პედაგოგიურ ასპარეზზე 35 წლის უანგარო და ენერგიული მოღვაწის, აქტიური პროფმუშაკის გრიგოლ დავითის-ძე დოლიძის გარდაცვალების გამო. დასაფლავება 22 აპრილს, ს. ბოხვაურში (გურია) ნ. 675

საქართველოს გან. მუშ. კავშირის ც. გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დამსახურებული პედაგოგის და აქტიური მუშაკის გრიგოლ დავითის-ძე დოლიძის ტრაღიკულად გარდაცვალების გამო. ნ. 675

დამწუხრებული: ფილიპე და პასიკო გიორგაძენი შვილებით: ოლია, ილიკო, მიშა, მარუსია, ლადო, ვერიკო, და ნინა, სიძე იერონიმე არსენიშვილი შვილებით და რძალი ვერა შვილით იუწყებიან, რომ სამშაბათს, 22 აპრილს, 4 საათზე დანიშნულია უდროოდ დაკარგულ კოლია გორგაძის ხსოვნის აღსანიშნავათ სამოქალაქო პანაშვიდი ქალ. ქუთაისში, საფირჩხის სასაფლაოზე. 2185

მეუღლე ელისაბედ დავითის ასული ნატროშვილისა, შვილები ლიდია ნატროშვილი და ელენე აბაშიძისა, სიძე კონსტანტინე ილიას ძე აბაშიძე შვილებით—თინა და ზურა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ანტონ ივანეს-ძე ნატროშვილი გამოსვენება უნივერსიტეტის კლინიკიდან (კამოს ქ. № 103) დღეს, 4-ნახ. საათზე დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 2210

ნიკა, სვიმონ, ზაქარია და კოლა ნატროშვილები ოჯახის წევრებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ბიძა ანტონ ივანეს ძე ნატროშვილი დაკრძალვა დღეს, დიდუბის პანთეონში. (ს)

გულდათუთქული დედა ნატაშა, ძმა ბუბუ, მამიდები: თეოლინე და კატო, თამარა და ლადო კასაბაშვილი შვილებით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს რომ ოთხშაბათს, 23 აპრილს 5 საათზე ქ. ხონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგული სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტის მიშა გარქაიას ხსოვნის აღსანიშნავად. (ს)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ერმონია, შვილი პეტო, რძალი ანნა, შვილიშვილები ვალია, ქსენია და თინიკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი და დაუვიწყარი ილია იოველის-ძე შალიბაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხაშურში, ორშაბ. 21 აპრ. 2200

მე-29 შრ. სკოლის პედ. საბჭო და მშობელთა დამხმარე საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე სკოლის მე-IV ჯგუფის მოწ. შალვა არჩილის-ძე გიორგაძის უდროოდ გარდაცვალებას. 2206

ხუთშაბათს, 24 აპრილს, ქალ. ფოთში, ნაბადულის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძაბული (ანა) კოსტანტ. ას. ჩაჩავას ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც იუწყებიან გულმოკლული დედა, მამა კოსტანტინე, ძმები მიტუშა, პეტრე, სოლომონი, შოთა, ზუტა და ნინა, რძალი ფაცია. ნ. 671

ტირაჟი—54.771
მთავლიტი № 904